რა ხდება ელიტური ბრიგადის გარშემო? A2

ცენტრი კანონს არღვევს და ბიუჯეტით ეთამაშება რეგიონს A3

კვირის TV-პროგრამა B7

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 10 იანვარი, 2003 წელი. №8 (220)

ფასი 50 თეთრი

მოსკოვი ქართველებსა და აფხაზებს იალტაში ეპატიჟება

სამშვიდობო დიალოგის განახლების წინაპირობად სოხუმი კოდორის ჩაბარებას, თბილისი კი ლტოლვილების დაბრუნებას ითხოვს

ზაზა წულაძე

რუსეთ-საქართველოს უკიდურესად გართულებული ურთიერთობის ფონზე რუსეთის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საკითხებში ვალერი ლოშჩინინი გუშინ ჩავიდა სოხუმში, სადაც დღეს, ბიჭვინთის ერთ-ერთ სანატორიუმში აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან გუშინ დაწყებულ კონსულტაციებს გააგრძელებს. აფხაზეთში ორდღიანი ვიზიტის მთავარი თემაა იალტაში ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების მორიგი რაუნდის მომზადება. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მტკიცებით, სოხუმის შემდეგ ლოშჩინინი იგივე წინადადებას საქართველოს დედაქალაქშიც ჩამოიტანს; თუმცა, გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ვერავინ ადასტურებდა ამ ინფორმაციას.

"ჩვენ გამოვედით წინადადებით, რომ შედგეს ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი ნდობის საკითხებთან დაკავშირებით, ე.წ. იალტა-2. ეს თემა

გაგრძელება A3 გვერდზე

ვალერი ლოშჩინინის (მარჯვნივ) შარშანდელი სტუმრობა ოპტიმიზმის საფუძველს იძლეოდა...

რუსეთი უცვერემონიოდ იერთებს აფხაზეთს

რუსუდან ნიკურაძე

საკ.კორ.მოსკოვში

ოფიციალური თბილისის მიერ მრავალგზის დაგმობილი ორმაგი სტანდარტები შუამავალ მოსკოვს აბსოლუტურად არ უშლის ხელს. პირიქით, თბილისის გაღიზიანება მოსკოვისათვის გარკვეული სტიმულიცაა. ამიტომ აფხაზეთთან სარკინიგზო მომოსვლის პროპაგანდისტული ფონის გასამყარებლად, დიპლომატი ლოშჩინინი გუშინ სოხუმში ჩაფრინდა.

მოსკოვმა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების ყველაზე ქმედით მექანიზმად უკვე დასახა აფხაზეთის ეკონომიკური აღორძინება და მეთოდურად ცდილობს, თბილისიც შეაჩვიოს იმ აზრს, რომ დღეიდან საქართველოს იურისდიქციის ქვეშ აფხაზეთის დაბრუნების მინიმალური იმედიც კი გადაწურულია. სამაგიეროდ აქტუალურია ამ ყოფილი ავტონომიის რუსეთის გავლენის სფეროში დატოვება.

სწორედ ამიტომაა დარეგულირების თბილისური ვარიანტი მოსკოვისათვის დღემდე აბსოლუტურად მიუღებელი. ამიტომ "არ სჯერა" მოსკოვს ქართული მხარის "სამშვიდობო ინიციატივებისა". ამის დამადასტურებლად გამოდგება ის ფაქტიც, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე და კონფლიქტის დარეგულირებაში რუსეთის პრეზიდენტის სეპცწარმომადგენელი ვალერი ლოშჩინინი უპირატესობას მაინც სოხუმის ხელისუფლებასთან საქმიან კონტაქტებს ანიჭებდა და ანიჭებს. რუსული დიპლომატიის ამ თავისებურებას ეთანხმებოდა და ეთანხმება საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელიც.

გაგრძელება A3 გვერდზე

ვოლიტიკა

ცოტნე ბაკურია: „ასლან აბაშიძე თბილისში დაბრუნდება, როგორც პრეზიდენტი საქართველოსი„

ამგვარი მომავალი უწინასწარმეტყველა ჩვენს ქვეყანას "აღორძინების დემოკრატიული კავშირის" თბილისის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ცოტნე ბაკურიამ.

A2

უცხოეთი

თურქი გენერალი სამოქალაქო ხელისუფლებას გაფრთხილებას აძლევს

გენერალური შტაბის უფროსმა პრემიერ-მინისტრი გააფრთხილა, რომ საერო სახელმწიფოში ისლამური ტენდენციების გაძლიერებისაგან თავი შეიკავოს.

A4

ეკონომიკა

კერძო აუდიტორის შეფასებით, „იტერას„ ბიზნეს-გეგმა ელემენტალურ მოთხოვნებს ვერ პასუხობს

"აზოტს" რუსთავის ბიუჯეტის რამდენიმემილიონიანი დავალიანება აქვს. რუსთავის საკრებულომ და მერიამ ქონების მართვის სამინისტროსაგან იმის გარანტია მოითხოვეს, რომ "იტერა" ამ ვალს დაფარავს.

A6

სამართალი

გატაცებული ვიცე-პოლკოვნიკი ცოცხალია

ის, რომ ზურაბ დურგლიშვილი ცოცხალია, ერთადერთი დამამშვიდებელი ინფორმაციაა, რომლითაც სამართალდამცველებმა გატაცებულის დედას შიმშილობის დაწყება გადააფიქრებინეს.

A7

საზოგადოება

მრიცხველები, მურაბა და წარმატებული "ბიზნესი"

ჩვენთან მრიცხველების გასაფუჭებლად საკმაოდ აპრობირებული მეთოდი ყოფილა მურაბის გამოყენება. ტკბილ მასასთან გროვდება უამრავი ჭიანჭველა, რომლებიც მჟავას გამოჰყოფენ. ეს კი ელექტრომრიცხველს აფუჭებს.

A8

ამინდი

თბილისი	12
ქუთაისი	13
ბათუმი	11
სოხუმი	9
ფოთი	12
თელავი	11
ზუგდიდი	11
გორი	9
ახმეტა	10
ჭიათურა	10
გაგრა	8
სამტრედია	12

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1850
ევრო	2.2853
გირვანქა სტერლინგი	3.5266
რუბლი	0.0687

პირველი თვე - პირველი რაუნდი

მოსალოდნელია, რომ 2003 წელი სერიოზული გარდატეხისა და ცვლილებების წელი იქნება ქართულ პოლიტიკაში. საპარლამენტო არჩევნები, რომელიც, წესით, შემოდგომაზე უნდა ჩატარდეს, უკვე აღარ იქნება ის რიგითი არჩევნები, სადაც "მოქალქეთა კავშირს" გამარჯვება გარანტირებული ექნება.

ეკა კვესიტაძე

"მოქალაქეთა კავშირის" მონოლითურობა, შევარდნაძის საკმაოდ დიდი პოპულარობა, ეკლექტიკურ პარტიაში ახალგაზრდა რეფომატორთა გუნდის არსებობა, არჩევნების გაყალბების მექანიზმების ეფექტური მუშაობა და რეგიონული ადმინისტრაციების ერთპიროვნული მართვა აქამდე იმის გარანტიებს იძლეოდა, რომ მმართველი პარტია ყველა არჩევნებში გაიმარჯვებდა. ასე იყო გასული საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დროსაც.

მაგრამ მას შემდეგ, რაც მმართველმა პარტიამ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა შექმნა და საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებაში ხელისუფლება შუა აზიის ქვეყნებს არ ჩამორჩა, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა.

დღეს "მოქალაქეთა კავშირი" ერთ-ერთი ყველაზე ურეიტინგო პოლიტიკოსებისაგან შედგება. მან დაიპირისპირა პოლიტიკური სპექტრის ყველაზე გავლენიანი ნაწილი. პრეზიდენტი კი, რომელიც კვლავ აღდგა პარტიის საპატიო თავმჯდომარის თანამდებობაზე, წინა წლებისაგან განსხვავებით, ძალზე არაპოპულარულია.

გაგრძელება A3 გვერდზე

ბადრი ზარანდიას მკვლელობის ვერსიები

ზუგდიდში ბადრი ზარანდიას მკვლელობის ვერსიებზე საუბარმა სამეგრელოში რამდენიმე წლის წინ განვითარებული მოვლენები და ამ მოვლენების ეპიცენტრში მყოფ იმ პიროვნებათა სახელები ამოატივტივა, რომლებიც წლების მანძილზე სამეგრელოს ტყეებს აფარებენ თავს. ეს ხალხი საზოგადოებას კი არა, სავარაუდოდ, სამართალდამცველებსაც გადაავიწყდათ. არადა, მათ რამდენიმე ადამიანის მკვლელობა, უცხოეთის მოქალაქეების მძევლად აყვანა და პრეზიდენტის წინააღმდეგ განხორციელებულ ტერაქტში მონაწილეობაც კი ბრალდებათ.

სოფიკო ჩხაიძე

სამართალდამცველებმა მკვლელობის დეტალები დაადგინეს

8 იანვარს საღამოს ზუგდიდის ცენტრში, კაფე "იდეაში" მომხდარი მკვლელობის მეორე დღეს სამართალდამცველები საჯაროდ ალაპარაკდნენ იმ ვერსიებზე, რომლებიც "24 საათის" მკითხველისთვის უკვე ცნობილი გახლდათ. ცნობილია მომხდარის დეტალებიც.

ზუგდიდის რაიონის პროკურორის, მებრძოლი ჭკადუას თქმით, საქართველოს პატრიოტთა კავშირის ერთ-ერთი ლიდერი მოკლეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა. მას ასეთი განცხადების გაკეთების საფუძველს თვითმხილველთა ჩვენებები აძლევს, რომელთა თანახმადაც, გაქცევისას ბოროტმოქმედები ქართულ ენაზე მეგრული აქცენტით ლაპარაკობდნენ.

გაგრძელება A7 გვერდზე

ერდოგანი ბაქო-ჯეიჰანის მშენებლობის დაჩქარებას მოითხოვს

რევაზ ბახტაძე

თურქეთის მმართველი პარტიის ლიდერმა ხუთდღიანი ტურნე დაიწყო აზერბაიჯანსა და ცენტრალური აზიის ნავთობით მდიდარ თურქულენოვან სახელმწიფოებში.

თურქეთის მმართველი "სამართლიანობისა და განვითარების პარტიის" ლიდერი რეჯებ ერდოგანი ბაქოს ორი დღით ეწვია. მას თან ახლავს საგარეო საქმეთა მინისტრი იაშარ იაკიში, შინაგან საქმეთა მინისტრი აბდულკადირ აკსუ, კულტურის მინისტრი ჩელიკ ჰუსეინი და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ჰილმი გულერი.

8 იანვარს გამართულ საგანგებო პრეს-კონფერენციაზე "სამართლანობისა და განვითარების" პარტიის ლიდერმა ენერგეტიკულ პროექტებზე საუბარს დიდი დრო დაუთმო. რეჯებ ერდოგანის თქმით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობის განრიგი, რომელიც ნავთობსადენის 2005 წლისათვის დასრულებას გულისხმობს, შესაცვლელია. **"2005 წელი ძალიან გვიანია. რაც მალე დავამთავრებთ მშენებლობას, მით მეტს მოვიგებთ"**, - განაცხადა ერდოგანმა.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი შეკითხვა აზერბაიჯანული გაზის თურქეთში ექსპორტირების საკითხმა გამოიწვია. ექსპერტები და პოლიტიკოსები შიშობენ, რომ ახლახან მომხდარი ეკონომიკური და საფინანსო კრიზისის შემდეგ თურქეთის ეკონომიკა სამ-ოთხ წელიწადში ვერ მოახერხებს რამდენიმე წლის წინ დაგეგმილი მოხმარების დონის მიღწევას. შესაბამისად, ანკარა ვერ შეძლებს ზედმეტი აზერბაიჯანული გაზის შესყიდვას მაშინ, როდესაც

გაგრძელება A4 გვერდზე

"ტელეფონიკა დაკარი-2003"

B5

რკინიგზის ალდგენამ, კიდევ ერთი ნაბიჯით დაგვაშორა აფხაზეთი

გვანცა კვინიკაძე

დეკემბრის ბოლოს აღდგენილ ადლერი-სოხუმის სარკინიგზო მიმოსვლას, ქართული მხარის საკმაოდ უსუსური პროტესტის გარდა, დაბრკოლება, პრაქტიკულად, არ შეხვედრია. საქართველოს ოფიციალური სტრუქტურები აცხადებენ, რომ ამ ფაქტის გამო ხმაურის ატეხვას მომავალში არც აპირებენ. არადა, ექსპერტთა აზრით, ვინც აფხაზეთის რკინიგზას გააკონტროლებს, ის უპირობო გავლენას დაამყარებს მთლიანად ავტონომიურ რესპუბლიკაზე.

კონფლიქტმა, რომელიც სწორედ რკინიგზის გაკონტროლების საბაბით დაიწყო, საქართველოს აფხაზეთი, ფაქტობრივად, მოწყვიტა. რუსეთმა კი შეძლო, ეს რეგიონი საქართველოსა და მისი ეკონომიკისათვის კიდევ ერთ, სერიოზულ "შავ ხვრელად" გადაექცია. ამჟამად რუსეთიდან საქართველოში კონტრაბანდის შემოდინების ორი ძირითადი წყაროა – ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი. ორივე ტერიტორიიდან, ექსპერტთა შეფასებებით, დაახლოებით ერთნაირი ოდენობით შემოდის არალეგალური პროდუქცია. **"აფხაზეთი რეალურ ეკონომიკურ ბლოკადაში არასდროს ყოფილა. რუსეთი მას ყველანაირად ეხმარებოდა, რკინიგზის გახსნით კი ეს ფაქტი უკვე ფორმალურადაც დადასტურდა"**, -- მიაჩნია საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის მთავარ ექსპერტს

გაგრძელება A6 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 უცხოეთი A5 რეკლამა A6 ეკონომიკა A7 სამართალი A8 საზოგადოება

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 კვირის TV-პროგრამა B8 სხვადასხვა

მოკლედ

სოხუმი. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას განცხადებით, სოხუმის ხელმძღვანელობა ემზადება მოსახლეობის აღწერისათვის, რომელიც აფხაზეთში ბოლო 14 წლის მანძილზე არ ჩატარებულა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა ვალერი ვაშაკიძემ პრეზიდენტს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ განცხადებით მიმართა. მან ეს გადაწყვეტილება მიიღო. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზეთში უკანასკნელ პერიოდში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ვახტანგ ყოლბაიამ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს, გენერალურ მდივანსა და აფხაზეთის საკითხებზე მომუშავე კომისიას სპეციალური წერილით მიმართა. ყოლბაიამ მოითხოვა სოხუმი-სოჭის მონაკვეთზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა და აფხაზეთის მოსახლეობისათვის რუსეთის მოქალაქეობის პასპორტების გაცემის საკითხების განხილვა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საარჩევნო ადმინისტრაციის კვლავაც პარტიული ნიშნით დაკომპლექტების შემთხვევაში არასამთავრობო ორგანიზაციის ძთავისუფლების ინსტიტუტი" ლიდერი გიგა ბოკერია ხელისუფლებას საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხრიდან ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერის შეწყვეტას უწინასწარმეტყველებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა არაოფიციალური "ჰალსტუხების გარეშე" შეხვედრა იანვრის მესამე დეკადაში კარპატებში გაიმართება. შეხვედრის თარიღი უახლოეს დღეებში დაზუსტდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ავთანდილ იოსელიანის განცხადებით, აფხაზეთში სარკინიგზო მაგისტრალის გახსნის შემდეგ სეპარატისტული აფხაზეთის ხელისუფლება ოთხ სამგზავრო ვაგონს ამზადებს, რომელსაც მოსკოვი—სოჭის მატარებელს მიაბამენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზეთის ლეგიტიმური უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის ინფორმაციით, უახლოეს ხანში აფხაზეთში სარკინიგზო რეისები უკვე გალი-მოსკოვის მიმართულებითაც დაინიშნება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის დეპარტამენტის თავმჯდომარე ბადრი შოშიტაიშვილი. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე აპირებს საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილისა და საქართველოში რუსეთის ელჩის ვლადიმერ ჩხიკვიშვილისგან მოისმინოს ინფორმაცია აფხაზეთის მცხოვრებთათვის რუსული პასპორტების მასიური გაცემის შესახებ. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "საქართველოს ერთიანი კომპარტიის" ლიდერი პანტელეიმონ გიორგაძე მოსკოვში, 7-9 თებერვალს მონაწილეობას მიიღებს ყოფილი სსრკ-ს კომპარტიის კავშირის პლენუმში. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ჩეჩნეთიდან დევნილები პანკისის ხეობის სოფელ დუისში პარასკევს გამაფრთხილებელი საპროტესტო აქციის გამართვას გეგმავენ. ამ ღონისძიების მთავარ მიზანს პანკისის ხეობაში მყოფ ჩეჩნეთიდან დევნილთა პრობლემებისადმი საერთაშორისო ყურადღების მიქცევა წარმოადგენს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ დაამტკიცა ეროვნული უშიშროების საბჭოს სტრუქტურათა ახალი დებულება, რომელიც ამ ორგანოს ფუნქციათა გაფართოებას ითვალისწინებს. ახალი დებულებით, ეროვნული უშიშროების საბჭო უკვე კოორდინირებას გაუწევს არა მხოლოდ ძალოვან სტრუქტურებს, არამედ ენერგეტიკული, ეკონომიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემებს გადაჭრის და საგარეო პოლიტიკის საკითხების კურირებას მოახდენს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების ირგვლივ არსებული სიტუაცია გუშინდელ შეხვედრაზე საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა მალხაზ კაკაბაძემ და საქართველოში საფრანგეთის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა კრისტიან მიშალაკმა განიხილეს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილის მრჩევლად გუშინ დანიშნული მურმან ომანიძე მზადაა, აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად სოხუმის ხელისუფლების პრემიერ-მინისტრ გენადი გაგულიას პირადად შეხვდეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის საკრებულომ დედაქალაქის 2003 წლის ბიუჯეტის ფორმირებასთან დაკავშირებით გუშინ საქალაქო სამსახურებთან შეხვედრები დაიწყო. **მედია-ნიუსი**

რა ხდება ელიტური ბრიგადის გარშემო?

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება" სპეციალურად "24 საათისთვის"

რუსეთის სამხედრო ბაზის გასვლის შემდეგ, ვაზიანის ტერიტორიაზე კოდის მე-11 მოტომსროლელი ბრიგადა დაბინავდა და მის ბაზაზე საჩვენებელი სამხედრო ქვედანაყოფის ჩამოყალიბებას ჩაეყარა საფუძველი. მეგობარი ქვეყნების დახმარებით, ვაზიანში სულ მალე აღდგენითი სამუშაოები დაიწყო, შარშან კი იქ ნატო-ს პროგრამით - "პარტნიორობა მშვიდობისთვის" - სწავლებაც გაიმართა და ნატო-ს ოფისის შექმნის იდეაც გაჩნდა. მაგრამ სამხედრო დისციპლინას მე-11 ბრიგადაში მაინც არაფერი ეშველა. ელიტურ ქვედანაყოფში მომხდარი იარაღის დაკარგვის რამდენიმე ფაქტით შეშფოთებულ თავდაცვის სამინისტროში კი გარკვეულ საბოტაჟზეც ალაპარაკდნენ.

თავდაცვის მინისტრს მე-11 ბრიგადა პირად კონტროლზე ჰყავს აყვანილი.

გიორგი ბუხაიძის ფოტო

სამხედრო სფერო ცრურწმენებს ვერ ეგუება, მაგრამ მე-11 მოტომსროლელი ბრიგადა, რომლის უმთავრეს საბრძოლო ამოცანას დედაქალაქის ოპერატიული თავდაცვა წარმოადგენს, მართლაც მოჯადოებულ სივრცეში იმყოფება. არ არსებობს სამხედრო დანაშაული, რომელიც თბილისთან ახლოს დაბანაკებულ სამხედრო ნაწილში არ მომხდარიყოს. მე-11 ბრიგადაზე ირიცხება დეზერტირობის, არასაწესდებო ურთიერთობების, მკვლელობებისა და სხეულის მძიმე დაზიანების ყველაზე მეტი შემთხვევა. სწორედ ამ ბრიგადის სახელთან არის დაკავშირებული უპრეცედენტო ფაქტი შეიარაღებული ძალების ისტორიაში, როდესაც 1998 წელს, სამხედრო დისციპლინის მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ქვეყნის პრეზიდენტმა იქ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო კოლეგიის ერთკვირიანი საველე შეკრებაც კი გამოაცხადა. თუმცა, გენერალიტეტის მობილიზებამაც ფუჭად ჩაიარა.

ამ მოჯადოებული წრის გარღვევას, გამინისტრების შემდეგ, დავით თევზაძე შეეცადა. პირდაპირი მოვალეობის გარდა, მისთვის, ეს პრინციპის საქმეც იყო, რადგან სწორედ ამ ბრიგადის სახელს უკავშირდებოდა მისი სამხედრო კარიერა და საბრძოლო ბიოგრაფიის დიდი ნაწილი აფხაზეთის ომში. ამიტომ თევზაძემ მე-11 ბრიგადა პირად კონტროლზე აიყვანა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ სამხედრო ნაწილში იყრიდა თავს საზღვარგარეთიდან მიღებული საბრძოლო ტექნიკისა და შეიარაღების, ჰუმანიტარული დახმარებების, საუკეთესო ოფიცერთა კადრების უმრავლესობა. მე-11 ბრიგადის ტერიტორიაზე ეწყობოდა ჰუმანიტარული სწავლებები და სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებები. მარტო გასულ წელს ვაზიანის ტერიტორიაზე, სადაც ეს ნაწილი იმყოფება, ნატო-ს ორი სწავლება ჩატარდა; თურქეთის დახმარებით აიგო უმაღლესი სტანდარტების სასადილო, საქვაბე, საშხაპე და სამედიცინო პუნქტი; გარემონტდა ერთი საცხოვრებელი ყაზარმა "კომანდოს" ბატალიონისთვის, რომელიც ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ მომზადებული პირველი ქართული ქვედანაყოფია.

მაგრამ ბრიგადის ფეხზე დადგომას მაინც არაფერი ეშველა. უფრო მეტიც, შარშან, ივნისის დასაწყისში, ბრიგადის საწყობებიდან 13 სატანკო ტყვიამფრქვევი და 24 რადიოსადგური "აორთქლდა". თანაც, დიდი რაოდენობის იარაღის დაკარგვის ფაქტი სრულიად შემთხვევით გახდა ცნობილი.

ნატო-ს მოახლოებულ წვრთნებთან დაკავშირებით, ნაწილში მძიმე ტექნიკის საცდელი სწავლება მოეწყო. ბოქსებიდან გამოყვანილი ტანკების უმრავლესობა კი გაძარცული აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ სამხედრო უწყების კედლებში პირველად მაშინ ალაპარაკდნენ საბოტაჟის მცდელობაზე. **"გარკვეულ ძალებს სურთ ჩრდილი მიაყენონ საქართველოს და ჩაშალონ "წვრთნისა და აღჭურვის" ამერიკული პროგრამა",** - ასე ჟღერდა იმჟამად სამხედრო უწყების მოსაზრება.

ნიშანდობლივია, რომ ამგვარი საფრთხის შესაძლებლობაზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას ღიად მიანიშნებდნენ ამერიკის ევროპული ძალების სარდლობის შეფასების ჯგუფის წევრებიც, რომლებმაც, შემოწმების შემდეგ, აქილევსის ქუსლად სამხედრო ნაწილებში იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის შენახვის ცუდი პირობები დაასახელეს.

მაგრამ გამოძიების შემდეგ სამხედრო პროკურატურამ დაადგინა, რომ დანაშაულის უკან სრულიად გარკვეული ოფიცრების უპასუხისმგებლობა იდგა. ნომერ 06670 ნაწილის მეთაურს ალექსანდრე დიასამიძესა და ერთ-ერთ პასუხისმგებელ ოფიცერს, დანაშაულის დაფარვისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამო, ერთბაშად სამი მუხლით წარედგინათ ბრალდება და მათი საქმე სასამართლოს გადაეცა. ხოლო ოპერატიული მუშაობის შედეგად აღმოჩენილი იარაღი კვლავ სამხედრო ნაწილში დაბრუნდა.

თუმცა, იარაღის დაკარგვის გვიან გახმაურებას, რაც ამ ისტორიაში ყველაზე უფრო საეჭვოა, შედეგად მოჰყვა ის, რომ დანაშაულში თანამონაწილე ორი პირი, რომლებიც რუსეთის ბაზის ყოფილი თანამშრომლები არიან, დღემდე მიმალვაში იმყოფებიან.

სამწუხაროდ, საბრძოლო იარაღის დაკარგვას ვერც "კომანდოს" ბატალიონი გადაურჩა. ორი თვის წინ, სანამ ქვედანაყოფი ჯერ კიდევ კრწანისის ბოლიგონზე იყო, მე-11 ბრიგადის საწყობში "კომანდოს" წევრების კუთვნილი 5 სატაბელო პისტოლეტი დაიკარგა. საქართველო მთავარი სამხედრო პროკურორის გია ჯიქიას განცხადებით, ვაზიანის რეგიონულ სამხედრო პრუკურატურაში სისხლის სამართლის საქმე უკვე აღიძრა და იარაღის გაფლანგვის მუხლით პასუხისგებაში მიეცა იარაღის საწყობის უფროსი, ზემდეგი გიორგი გეჯაძე.

6 იანვარს კი, იმავე მე-11 ბრიგადის ტერიტორიაზე, გამონგრეულ ღობესთან, ნაწილის ახლოს მცხოვრებმა სამოქალაქო პირებმა, რომლებიც იქ ჯართს აგროვებდნენ, მოსაპარად გამზადებული 11 ერთეული ავტომატური იარაღი იპოვეს. შემდგომი კვლევა-ძიების შემდეგ ვაზიანის რეგიონული სამხედრო პროკურატურის გამომძიებლებმა ერთ-ერთი საწყობის კარებზე ახსნილი ლუქი აღმოაჩინეს, საწყობში კი - გატეხილი იარაღის ყუთი, საიდანაც იყო წაღებული ეს 11 ავტომატი.

საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორის გია ჯიქიას თქმით, მათთვის უკვე ცნობილი ეჭვმიტანილთა სავარაუდო სია და დანაშაულის გახსნის პერსპექტივაც არსებობს. მაგრამ საგანგაშოა, რომ ელიტარულ ბრიგადაში დისციპლინა, იარაღისა და საბრძოლო მასალების შენახვა კვლავაც უკიდურესად დაბალ დონეზეა, ხოლო საყარაულო სამსახური იმდენად ფორმალურ სახეს ატარებს, რომ ზუსტად ჭირს იმის დადგენა, თუ როდის იქნა იარაღი საწყობიდან გატანილი.

იარაღის დაკარგვის ზედიზედ მომხდარი ფაქტების გამო, უკვე სამხედრო პროკურატურაც არ გამორიცხავს ვერსიას, რომ გარკვეული ძალები პირველი პროფესიული ქვედანაყოფისა და მთლიანად ამერიკული პროგრამის დისკრედიტებაზეც მუშაობდნენ.

აღსანიშნავია, რომ ელიტურ სამხედრო ნაწილში დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცების მიზნით, ერთი თვის წინ, რეგიონული სამხედრო პროკურატურის ოფისიც კი გაიხსნა. მაგრამ ასე თუ გაგრძელდა, მოჯადოებული წრიდან სამხედრო ნაწილის გამოსაყვანად და ვითარების გამოსასწორებლად, შემდგომში, შეაძლოა, ვაზიანის ტერიტორიაზე სამხედრო საბჭოს ფილიალის შექმნა ან თავად თავდაცვის სამინისტროს გადატანაც გახდეს საჭირო.

მოსკოვი ქართველებსა და აფხაზებს იალტაში ეპატიჟება

პირველი გვერდიდან

დეტალურად იქნება განხილული ვალერი ლოშჩინინის ვიზიტის დროს. ლოშჩინინი, სოხუმთან ერთად, ასევე მოინახულებს თბილისსაც, რადგან მის სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულია საქართველოს დედაქალაქში ჩასვლა," – განაცხადა გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრ იაკოვენკომ.

ლოშჩინინი გუშინ ახლად დანიშნულ დე-ფაქტო პრემიერს გენადი გაგულიასა და საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას შეხვდა. დღეს კი ვიცე-პრეზიდენტ ვალერი არშბასა და პარლამენტის თავმჯდომარე ნუგზარ აშუბასთან გააგრძელებს კონსულტაციებს. სოხუმურ შეხვედრებზე უნდა გირკვეს ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებზე აფხაზების დელეგაციის ახალი მეთაურის ვინაობა. სავარაუდოდ, ამ თანამდებობაზე ყოფილ პრემიერს ანრი ჯერგენიას შეცვლის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა. ახალმა პრემიერმა გენადი გაგულიამ ამ ფუნქციის შესრულებაზე უარი თქვა. **"ჩვენ გვაქვს საგარეო საქმეთა სამინისტრო, გვყავს პრეზიდენტის წარმომადგენელი პოლიტიკურ საკითხებში,"** – აღნიშნა გაგულიამ ქართულ-აფხაზურ დიალოგში ჩართვასთან დაკავშირებით. გუშინვე აფხაზებმა ქართულ მხარესთან დიალოგის განახლების მთავარ წინაპირობად დაასახელეს კოდორის ხეობიდან ყველა ქართული სამხედრო შენაერთის დაუყოვნებლივი გაყვანა.

როგორი იქნება ოფიციალური თბილისის რეაქცია რუსეთის ახალ ინიციატივაზე, რომელიც თბილისში ვალერი ლოშჩინინმა უნდა ჩამოიტანოს, სავარაუდოდ, დღეს, საგარეო საქმეთა მინისტრის ირაკლი მენაღარიშვილის 2002 წლის შემაჯამებელ ბრიფინგზე გახდება ცნობილი. მანამდე საგარეო და განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროები ზოგადი კომენტარით დაკმაყოფილდნენ გამომდინარე იქიდან, რომ ლოშჩინინის თბილისში ჩამოსვლის შესახებ ინფორმაციას არც ერთი უწყება არ ფლობს.

"მე ვერ დავარქმევდი იალტა-2-ის შეხვედრის გამართვის იდეას რუსეთის ახალ ინიციატივას. ჩვენ იმავე იალტაში ასეთი დონის შეხვედრების გამართვაზე ორი წლის წინათ შევთანხმდით, რაშიც აქტიური როლი შეასრულეს ჩვენმა მეგობარმა ქვეყნებმა - გერმანიამ და უკრაინამ, თუმცა შემდგომ, ცნობილი მოვლენების გამო, სამშვიდობო პროცესი საერთოდ ჩიხში შევიდა. ამ წუთში მე არ ვარ მზად, კონკრეტული პასუხი გაგცეთ, როგორი იქნება ჩვენი ოფიციალური პოზიცია მოსკოვის ამ წინადადებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ჯერ არ გავცნობივარ ამ ინიციატივას. არ ვიცი, თუ რა ფორმატით, რა შემადგენლობითა და რა საკითხებზე გვთავაზობს რუსეთი ამ მოლაპარაკების გამართვას," – გვითხრა განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა მალხაზ კაკაბაძემ.

"ჩვენ თავად შევთავაზეთ ლოშჩინინს თბილისში ჩამოსვლა, თუმცა რუსეთის მხარეს ოფიციალური შეტყობინება ამის თაობაზე არ გამოუგზავნია; ამიტომ ჩვენთვის ცნობილი არ არის, როდის ჩამოვა რუსეთის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელი. რაც შეეხება ახალ ინიციატივას, ჩვენთვის ყველა მოლაპარაკება პრიორიტეტულია იმ შემთხვევაში, თუ იქ ლტოლვილების დაბრუნების რეალური მექანიზმების შემუშავებაზე იქნება საუბარი," – ამბობს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კახა სიხარულიძე.

იალტაში პირველი ქართულ-აფხაზური დიალოგი, რომელიც მხარეებს შორის ნდობის ამაღლების მიზნით შედგა 2001 წლის 16 მარტს, რიგით მესამე იყო ჟენევის მოლაპარაკებების შემდეგ. მაშინ ქართულ დელეგაციას ყოფილი სახელმწიფო მინისტრი გია არსენიშვილი, აფხაზურს კი ყოფილი პრემიერი ვიაჩესლავ ცუგბა ხელმძღვანელობდა. ექსპერტთა აზრით, იმ ფონზე, როცა დაწყებულია აფხაზებისთვის რუსეთის პასპორტების დარიგება, გახსნილია სოჭი-სოხუმის სარკინიგზო მაგისტრალი და ჩაკეტილია ენგურის ხიდი, სადაც, როგორც საპროტესტო აქციის ერთ-ერთმა ლიდერმა ვახტანგ გამსახურდიამ გუშინ გვაცნობა – **"ლტოლვილები ბოლომდე დგომას აპირებენ"** - ქართულ-აფხაზური პოზიციების დაახლოების იმაზე გაცილებით ნაკლები შანსია, ვიდრე ეს 2001 წლის 16 მარტს იყო.

რუსეთი უცვერემონიოდ იერთებს აფხაზეთს

პირველი გვერდიდან

უყვარს ვალერი ლოშჩინინს ასლან აბაშიძე და ქართველ პოლიტიკოსებში სწორედ მას უწოდებს ყველაზე გონიერ და საღად მოაზროვნე მოთამაშეს, რომელიც თბილისისაგან განსხვავებული აზრის მქონეა და ამ ეტაპზე ბოდენის საწყალი დოკუმენტის სოხუმისათვის შეჩეჩებას კი არ ითხოვს, არამედ - აფხაზეთში ეკონომიკური სასწაულის მოხდენას.

გასული წლის ნოემბერში აფხაზეთში ხელისუფლება შეიცვალა. არძინბას რეჟიმის პრემიერი, მოსკოვის ბიზნესწრეებისა და მაღალი ჩინოვნიკებისათვის მისაღები ანრი ჯერგენია აფხაზეთის ლიდერის ოჯახური კლანის მეორე გავლენიანმა პერსონამ, გენადი გაგულიამ შეცვალა. მოსკოვში ამ უემმაკო ჩანაცვლებისათვის დიდი მნიშვნელობა არც მიუნიჭებიათ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მოსკოვიდან სოხუმში, როგორც ადრე მიდიოდა ფული, ისევ ისე მიედინება და მოსკოვი სოხუმს ჯერჯერობით არაფერს აყვედრის.

მკითხველს შევახსენებ, რომ ერთი წლის წინათ, აფხაზეთში საპარლამენტო არჩევნების დაფინანსება, პუტინის ადმინისტრაციის უფროსის ალექსანდრ ვოლოშინის უშუალო განკარგულებით, "იუკოსის" თავკაცს მიხაილ ხოდორკოვსკის დაევალა. მაშინ მოსკოვიდან სოხუმში 400 ათასი დოლარი გადაირიცხა. ხოლო ვალერი ლოშჩინინის მოადგილის სურკოვის პირადი დავალებით, რუსეთის პრემიერმა მიხაილ კასიანოვმა ჯერგენიას პრემიერობის დროს სოხუმის ხელისუფლებას 50 მილიონი დოლარი გადაურიცხა. მაშინ ამ ფაქტის თაობაზე რუსულ პრესაში შეგნებულად გაიჟონა ინფორმაცია. ამ ფაქტს ადასტურებდა რუსეთის საკანონმდებლო ორგანოში ჯერგენიას მოწინააღმდეგეთა ერთი ჯგუფიც.

"24 სათისათვის" ცნობილი გახდა, რომ ანრი ჯერგენიამ ძველი პოფესია გაიხსენა და ამჟამად რუსეთის სამხედრო პროკურორის, კოლესნიკოვის მოადგილედ მუშაობს. საუბარია გენერალ კოლესნიკოვზე, რომელიც წარმოშობით გუდაუთიდანაა და რომელიც თავის დროზე სოხუმის დაცემას რამდენიმე დღით ადრე წინასწარმეტყველებდა - სოხუმის რუსეთის ქალაქად გახდომას ტელეგამოსვლაში იმუქრებოდა.

უახლოეს დღეებში მოსკოვში განახლდება აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებაზე ორმხრივი კონსულტაციები, რაშიც ამჯერად აქტიურად აპირებენ ჩართვას აფხაზეთის წარმომადგენლებიც.

ჩვენთან საუბარში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატმა ლევ მირონოვმა გაამართლა კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი მხარის სამუშაო პროცესში მონაწილეობის ლოგიკურობა. ნებისმიერ შემთხვევაში მოსკოვი კონსტრუქციული დიალოგის მომხრეა. გამორიცხული არც ის არის, რომ მოლაპარაკების მაგიდას, მოსკოვის თხოვნით, ამჯერად ახალი პრემიერი გაგულია მიუჯდეს.

მოსკოვი ლოშჩინინის პირით საქართველოს ხელისუფლებას კიდევ ერთხელ შეახსენებს, რომ თბილისი სოხუმს, როგორც ტოლს და სწორს, ისე უნდა დაელაპარაკოს. ამას ითხოვს დღეს რუსული დიპლომატია. ამის მისაღწევად მოსკოვს თბილისთან დიალოგში მეტად ხანგრძლივი პაუზა კი გამოუვიდა, მაგრამ დრო ამ შეთხვევაში აფხაზთა სასარგებლოდ მუშაობდა. ამასობაში რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაცია გულხელდაკრეფილი არ ზის და ხმარებიდან იღებს ისეთ ტერმინებს, როგორიცაა "აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმი", "აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკა" და სხვ.

მკითხველს შევახსენებ, რომ მოსკოვში საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის ბოლო ვიზიტის დროს პუტინის ადმინისტრაციის მდივანმა ალექსანდრ ვოლოშინმა თედო ჯაფარიძეს ამ ტერმინების შეცვლის რჩევაც კი მისცა.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

ბადრი ზარანდიას მკვლელობის ადგილზე.

ცოტნე ბაკურია: „ასლან აბაშიძე თბილისში დაბრუნდება, როგორც პრეზიდენტი საქართველოსი„

ვერიკო თევზაძე

"ბატონი ასლანი შინაგანად ყოველთვის თბილისშია, ის საქართველოს სტაბილურობას ემსახურება... უტიფარ პოლიტიკოსთა ჯგუფი, თავისი მზაკვრული განზრახვით, ასლან აბაშიძეს და მის მსგავს ადამიანებს საშუალებას არ აძლევს, თბილისი გაალამაზონ. ამიტომაც არის, რომ დედაქალაქი დედაქალაქს არ ჰგავს...ასლან აბაშიძე აუცილებლად დაბრუნდება თბილისში, როგორც პრეზიდენტი საქართველოსი", - ამგვარი მომავალი უწინასწარმეტყველა ჩვენს ქვეყანას "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" თბილისის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ცოტნე ბაკურიამ, ორგანიზაციის ოფისის გუშინდელ პრეზენტაციაზე.

"აღორძინების" ბირთვი თბილისში გამარჯვებისთვის ემზადება

ასლან აბაშიძის გაპრეზიდენტებამდე "აღორძინება" საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება. ბაკურიას ინფორმაციით, თბილისის განახლებული ორგანიზაცია წარმოადგენს "სერიოზულ არმიას", ძლიერ გუნდს, რომელიც დაკომპლექტებულია პროფესიონალებით, ხელოვნების წარმომადგენლებით. დღეისთვის ათი რაიონული ორგანიზაციიდან რვა არის დაკომპლექტებული. "აღორძინება" დიდუბისა და კრწანისის რაიონებშიც მალე დაასრულებს ორგანიზაციების ჩამოყალიბებას.

"აღორძინება" ამომრჩეველს არ ჰპირდება: **"პოპულისტურ ლოზუნგებს ე. წ. რეფორმატორების დარად, რომლებიც თითქოსდა დასავლურ ღირებულებებს ამკვიდრებენ საქართველოში, სინამდვილეში კი ხალხის ზომბირებას ახდენენ".** თბილისის რეგიონული ორგანიზაცია მასებს არც **"მაამებელ, ყურისმომჭრელ განცხადებებს"** ჰპირდება.

"აღორძინება" ამომრჩეველს ჰპირდება: **"სტაბილურ ქვეყანას, სტაბილურ დედაქალაქს, იმ სტაბილურობას და ჰარმონიას, რომელსაც ძალიან ბევრმა ქვეყანამ მიაღწია და ჩვენ ამისი გამოცდილება გვაქვს."**

რატომ არ ესწრებოდა "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციის ოფისის პრეზენტაციას საკრებულოს ფრაქციის სამეული (გიორგი ტაბიძე, გია მურღულია, დავით იოსელიანი) და "აღორძინების" საპარლამენტო ფრაქციის ერთ-ერთი ბლოკის ხელმძღვანელი გიორგი თარგამაძე?

ცოტნე ბაკურია: **"ჩვენ ისინი დავპატიჟეთ, რატომ არ მობრძანდნენ, ვერ გეტყვით. შეიძლება, ვიღაცას მეუღლე ან ოჯახის რომელიმე წევრი ჰყავს შეუძლოდ... ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მათი არყოფნით დისკომფორტს არ განვიცდით და, რაც მთავარია, სიტუაციას ვფლობთ საკრებულოშიც და დედაქალაქშიც."**

გიორგი ტაბიძე: **"პირადად მე არც ოფიციალური და არც სიტყვიერი მიწვევა არ მიმიღია. რომ დავეპატიჟე?..ახლა რა მნიშვნელობა აქვს, რა გადაწყვეტილებას მივიღებდი?"**

დავით იოსელიანი: **"პრესისგან შევიტყვე, რომ პრეზენტაცია მოეწყო... ამ წუთში ვერ გიპასუხებთ, მიპატიჟების შემთხვევაში წავიდოდი თუ არა".**

გია მურღულია: **"სასიამოვნოა, თუ კი ასეთი პრეზენტაცია შედგა... თუ დამპატიჟებდნენ, ალბათ, მივიდოდი. ამგვარი პრეზენტაციები ყოველთვის საინტერესოა".**

გიორგი თარგამაძე: **"მიკვირს, ტყუილები რაში სჭირდებოდათ. ვფიქრობ, შეგნებულად არ მიმიწვიეს. ალბათ, მათთვის ზედმეტი ვარ. ეს, რასაკვირველია, იმოქმედებს ჩვენს შემდგომ ურთიერთობებზე."**

მიუხედავად ბაკურიას განცხადებისა, რომ თბილისის ორგანიზაცია ძლიერი გუნდით, ცნობილი პიროვნებებით არის განახლებული, პრეზენტაციას მაინც "აღორძინების" ძირძველი წევრები ესწრებოდნენ. რაც შეეხება რეჟისორ გიზო ჟორდანიას და მხატვარ რუსუდან ფეტვიაშვილს, რომლებიც ძველი სახეებისგან გამოირჩეოდნენ, მათ აგვიხსნეს, რომ ღონისძიებაზე სტუმრის სტატუსით იმყოფებიან.

ცენტრი კანონს არღვევს და ბიუჯეტით ეთამაშება რეგიონს

სანამ ოპოზიცია 2003 წლის ბიუჯეტის პროექტის ჩაგდებით იყო დაკავებული, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა მთავრობის მიერ ინიცირებული ცვლილებები 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, რომლითაც აჭარას ოფიციალურად მისცა სახელმწიფო ბიუჯეტში მისთვის გათვალისწინებული თანხების, ანუ 15-მდე მილიონი ლარის ხაზინის გაუვლელად, ე.ი. არსებული საბიუჯეტო კანონმდებლობისა და წესების დარღვევით, დახარჯვის უფლება.

საინტერესოა, რომ მუხლი, რომელიც აჭარას ამ უფლებას უკანონებს, პარლამენტართათვის დარიგებულ ცვლილებათა ვარიანტში არ გახლდათ შეტანილი. იგი განხილვის პერიოდში, ხელისუფლების წარმომადგენელთა ერთი თავის დაკვრისა და, რა თქმა უნდა, აჭარის დეპუტაციის მხარდაჭერით დაკანონდა.

თამარ ხორბალაძე

"უფლება მიეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან შეთანხმებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დასკვნის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის კუთვნილი შემოსავლებიდან გასწიოს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის ხარჯები ამ კანონით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში და ეს ხარჯები ასახულ იქნეს საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვით ნაწილში," - იუწყება 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 22-ე მუხლის 38-ე პუნქტში წლის მინურულს შეტანილი ცვლილება.

ცვლილების შინაარსის დასაზუსტებლად "24 საათი" ფინანსთა მინისტრის მოადგილეს ლევან ჩრდილელს დაუკავშირდა:

- ნიშნავს თუ არა ეს, რომ აჭარას ადგილზე მობილიზებული შემოსავლების ცენტრში გადმორიცხვის ვალდებულება აღარ აქვს, ცენტრი აბაშიძეს თანხების გადმორიცხვას არ სთხოვს და სადავო თანხების პრობლემა მოხსნილია?

- სადავო თანხა, მოგეხსენებათ, 38 მილიონამდე ლარია. ამ ცვლილებით კი აჭარას მხოლოდ ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში, ანუ 15 მილიონის ფარგლებში ხარჯის გაწევის უფლება ეძლევა.

- ანუ, ამ ცვლილებით აჭარას დაუკანონდა ცენტრალური ხაზინის გაუვლელად გაწეული 15 მილიონი ლარის ხარჯი?

- დიახ... თუ აჭარამ ის 15 მილიონი ლარი გასწია დამტკიცებული მუხლების შესაბამისად. წელს ასეთი ჩანაწერი პირველად გაკეთდა. დე-ფაქტო ეს ისედაც ხდებოდა."

ექსპერტები ირწმუნებიან, რომ დებულებები ცენტრალურ ხელისუფლებასთან და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმების აუცილებლობის შესახებ პირობითია. მათივე აზრით, აჭარისთვის მინიჭებული უფლება გახლავთ უპრეცედენტო უფლება საქართველოს პირობებში, რაც ქვეყანაში არსებული საბიუჯეტო სისტემის მუშაობის ძირეულ პრინციპებს ეწინააღმდეგება.

თავად ცვლილების შინაარსთან ერთად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფონი, რომლის საფიუძველზეც იგი იქნა მიღებული.

ამ საკითხის განხილვას წინ უძღოდა სახელმწიფო მინისტრის ვიზიტი აჭარაში, რომელზეც, ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციით, ბიუჯეტზე დეტალურად არ უსაუბრიათ და ვერც შეთანხმების მიღწევა მოხერხდა. ეს ინფორმაცია, თითქოს, დაადასტურა იმ ფაქტმაც, რომ 2003 წლის ბიუჯეტის პროექტი პარლამენტმა ჩააგდო. მაშინ "ბათუმური ბლოკის" შემადგენლობაში შემავალმა პარტიებმა პროექტს მხარი არ დაუჭირეს.

თუმცა, ზუსტად იმავე დღეს, პარლამენტმა უპრობლემოდ დაამტკიცა ზემოთ აღნიშნული ცვლილებები. ეს ცვლილებები, აჭარისთვის მინიჭებული უფლების გარდა, კიდევ რამდენიმე საინტერესო მუხლს გულისხმობს. "24 საათი" ჯერ კიდევ დამტკიცებამდე წერდა მათზე. ამჯერად მხოლოდ შეგახსენებთ, რომ იმავე ცვლილებებით პარლამენტმა საქართველოს პრეზიდენტს "პოსტ-ფაქტუმ" დაუკანონა 2002 წელს საკუთარი ბრძანებულებების, ანუ ერთპიროვნული გადაწყვეტილებების საფუძველზე გაწეული 10 მილიონი ლარის ხარჯი, კერძოდ - გასული წლის პრეზიდენტის ფონდი ამ 10 მილიონით გაუზარდა, სარეზერვო ფონდი კი - კიდევ 3 მილიონი ლარით.

პირველი თვე - პირველი რაუნდი

პირველი გვერდიდან

მაგრამ, რაც მთავარია, ქვეყანაში არსებული უმძიმესი კრიზისი (უკლებლივ ყველა სფეროში) და არაპოპულარობა სულაც არ აღმოჩნდა საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ შევარდნაძეს და მის ხელისუფლებას უკან დაეხია.

შევარდნაძე უკვე აღარ ცდილობს მისთვის ჩვეული პოლიტიკური ლავირებით ოპოზიციასთან საერთო ენის გამონახვას და კომპრომისებზე წასვლას. პირიქით, ოპოზიციიდან წამოსულ ნებისმიერ ნაბიჯს ის პირად გამოწვევად იღებს და საპასუხო ნაბიჯებს დგამს. ამაზე მეტყველებს მისი ბოლო ინიციატივაც, რომ კანონპროექტების ნაწილი მთავრობამ ერთპიროვნულად დაამტკიცოს და პარლამენტის თანხმობა საჭირო აღარ იყოს.

კომუნისტი ლიდერის "დემოკრატიზაციის" ხანგრძლივი პროცესის მიუხედავად, შევარდნაძე მაინც დარწმუნებულია, რომ მან თავად უნდა დატოვოს მემკვიდრე, რომელსაც ბოლომდე ენდობა და რომელიც მას გარკვეულ გარანტიებს მისცემს.

ასეთი მემკვიდრის გამოვლენაში მან ბევრი ფავორიტი შეიცვალა. თავის დროზე უარი თქვა ზურაბ ჟვანიაზეც, რისი მიზეზიც, სავარაუდოდ, პრეზიდენტის ოჯახი იყო, რომელიც არ ენდობოდა და არ უყვარდა პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე. საბოლოოდ, ოჯახისთვის ყველაზე მისაღები ფიგურა ხშირად მონაცვლე სახმინისტრებს შორის მაინც ავთანდილ ჯორბენაძე აღმოჩნდა.

ჯორბენაძეს შევარდნაძემ დანიშვნისთანავე საკმაოდ სერიოზული კარტ-ბლანში მისცა. თუმცა, პოლიტიკაში ნაკლებად გარკვეული სახელმწიფო მინისტრი ერთი პერიოდი ამ კარტ-ბლანშის მსხვერპლი აღმოჩნდა.

დაიპირისპირა უკლებლივ ყველა: პოლიტიკური ლიდერები, სამართალდამცავები, ქალაქის მერი.

ადგილობრივი არჩევნების შემდეგ კი ჯორბენაძეზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული "ახლების" მიერ პარლამენტში წამოწყებულმა წინასაიმპიჩმენტო კამპანიამ სახელმწიფო მინისტრს "წყალი შეუყენა". მაშინ ბევრი ელოდა, რომ იმედგაცრუებული პრეზიდენტი ჯორბენაძეს მალევე მოიშორებდა და ახალი მემკვიდრის შერჩევაზე იზრუნებდა.

მაგრამ სახელმწიფო მინისტრის შესუსტებული პოზიციები გაამყარა პარლამენტში ჯორბენაძის მომხრეთა მობილიზებამ და საბიუჯეტო გარღვევის გამო სპეციალური დადგენილების ჩავარდნამ, თუმცა - მხოლოდ დროებით.

რამდენიმე თვის წინ მიღწეული წარმატება სახმინისტრს არ შეერგო, რადგან წლის ბოლოს თავისი მთავარი ფუნქცია ვერ შეასრულა – პარლამენტმა მას ბიუჯეტი ჩაუგდო.

ადვილი წარმოსადგენია, რომ ამ ფაქტის გამო შევარდნაძის რისხვა მხოლოდ ოპოზიციური პარტიების დატუქსვაში არ გამოიხატებოდა და თავის წილ საყვედურს პარლამენტთან ცუდი მუშაობისთვის ჯორბენაძეც მიიღებდა.

იმ შემთხვევაში, თუ ბიუჯეტი საგანგებო სესიაზე ისევ ჩავარდა, ეს სახელმწიფო მინისტრისთვის, შესაძლოა, უკვე საბედისწერო აღმოჩნდეს. ასეთი მძიმე პერსპექტივით შეშფოთებულმა ჯორბენაძემ ღამის საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. იგი კანცელარიაში ყოველდღე იბარებს თავის მომხრეებს. სიტუაციის გაკონტროლების მიზნით კი, პარლამენტში "თემატური უმრავლესობაც" შეიქმნა.

თუმცა, ამით ბიუჯეტის გატანის შანსები საგრძნობლად არ გაზრდილა. ოპოზიციასა და "თემატურ უმრავლესობას" შორის ბრძოლის ობიექტად ვაჟა ლორთქიფანიძის ფრაქცია რჩება. ნინა კენჭისყრის დროს ბიუჯეტს ხმა "ახალი აფხაზეთის" მხოლოდ ნაწილმა მისცა. ხელისუფლების მცდელობა კი დღეს მთლიანად მიმართულია იმისკენ, რომ "ახალი აფხაზეთი" უმრავლესობის წევრი გახადოს. თუმცა, ვაჟა ლორთქიფანიძე, რომელიც დღეს, ალბათ, ძალიან მომგებიან სიტუაციაში გრძნობს თავს, პოლიტიკურ ვაჭრობას განაგრძობს და აცხადებს, რომ ამ უმრავლესობას არ ეკუთვნის.

ოპოზიცია, თავის მხრივ, ყველაფერს აკეთებს, რომ ბიუჯეტი ისევ ჩავარდეს. ოპოზიცის ლიდერებს ინტენსიური კონსულტაციები აქვთ ვაჟა ლორთქიფანიძესა და კიდევ რამდენიმე დეპუტატთან.

აშკარაა, რომ ბიუჯეტმა "საჯილდაო ქვის" ფუნქცია შეიძინა როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციისთვის. ბიუჯეტის დამტკიცებარდამტკიცების პროცესმა ჩვეულებრივზე გაცილებით მეტი პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა.

მოსალოდნელია, რომ 2003 წლის ბიუჯეტის ხელახალი ჩაგდება ავთო ჯორბენაძეს საკუთარ თანამდებობასთან გამოთხოვების ფასად დაუჯდება. თუმცა, მხოლოდ ეს არ არის მთავარი. დღეს ჯორბენაძე უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ სახელმწიფო მინისტრი. ის ხელმძღვანელობს პარტიას, უშულოდ აკონტროლებს პარლამენტის პროსახელისუფლებო ნაწილს, აკონტროლებს პარტიის რეგიონულ სტრუქტურებს და მისი თანამდებობიდან წასვლით ხუხულასავით დაინგრევა შეკოწიწებული და მკვდრეთით აღდგენილი "მოქალაქეთა კავშირი".

და რაც ყველაზე მთავარია! თუ პარლამენტმა ბიუჯეტი ისევ არ დაამტკიცა და პროცესი დიდხანს გაჭიანურდა, ეს ნიშნავს, რომ ხელფასების, პენსიების და დახმარებების გაცემა, ისევე როგორც სხვა სოციუალური მუხლების დაფინანსება, გაურკვეველი ვადით გადაიდება. ეს კი გაზრდის სოციალურ უკმაყოფილებას, რაც ყველაზე მძიმე, თითქმის სასიკვდილო დარტყმა იქნება შევარდნაძის ხელისუფლებისთვის და რაც ნამდვილად შედის ოპოზიციის ინტერესებში.

ასე რომ, პოლიტიკური ბრძოლა, რომელიც საპარლამენტო არჩევნების წლის მთავარი ლაიტმოტივი იქნება, უკვე იანვარში, ბიუჯეტის განხილვისთვის მოწვეულ საგანგებო სესიაზე დაიწყება.

პოლიტიკურ გზაჯვარედინთან

გიორგი ასანიშვილი

რომელ ტოტზეც ზიხარ, მხოლოდ მაშინ უნდა მოჭრა, თუ მასზე ჩამოხრჩობას გიპირებენ. მართლაც: რომ არა კარდინალური ცვლილებების სასიცოცხლო აუცილებლობა, საქართველოს ხელისუფლება არ მოინდომებდა იმ პოლიტიკური სისტემის ძირფესვიან გარდაქმნას, რომლის პირობებშიც მთელი რვა წლის განმავლობაში საკმაოდ კომფორტულად გრძნობდა თავს.

არადა, მის მიერვე შექმნილი და უკვე კარგად აპრობირებული მექანიზმი თუ არ შეცვალა, დღევანდელი ხელისუფლება შეიძლება სწორედ თავისივე "ქმნილების" მსხვერპლი გახდეს. თუნდაც მოქმედი საარჩევნო რეჟიმი ავიღოთ: ამა წლის შემოდგომაზე საპარლამენტო არჩევნების არსებული მოდელის ფარგლებში ჩატარების შემთხვევაში, მმართველ ძალას სრული ფიასკო თითქმის "გარანტირებული" აქვს. ამიტომაც აპირებს მმართველი ძალა, რომ გაზაფხულიდან შეუდგეს არსებული პოლიტიკური სისტემის სრულ დემონტაჟს თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მის ძირეულ რეკონსტრუქციას. სახელისუფლებო წრეებში უკვე ღიად საუბრობენ საარჩევნო ადმინისტრაციის ახალი წესით დაკომპლექტებაზე, მაჟორიტარი დეპუტატებისთვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელებაზე, ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის შეცვლაზე, მინისტრთა კაბინეტის შემოღებაზე და ა.შ.

ღრმა ცვლილებების საჭიროება იმ ახალმა რეალობებმა წარმოშვეს, რომლებიც ქართულ პოლიტიკურ საზოგადოებაში ბოლო პერიოდში მოხდა. ამ ცვლილებების შედეგობრივ გამოხატულებას წარმოადგენდა "მოქალაქეთა კავშირიდან" ჟვანიასაკაშვილისა და გამყრელიძე-გაჩეჩილაძის გუნდების წასვლა და ოპოზიციურ ძალად მათი ჩამოყალიბება. გადაჭარბებული არ იქნება იმის თქმა, რომ ხელისუფლებამ სწორედ ამის შემდეგ იგრძნო ქვეყანაში ოპოზიციის არსებობა. მანამდე კანცელარია სრულად აკონტროლებდა საკანონმდებლო ორგანოს. პარლამენტში მას არათუ უბრალო უმრავლესობა, არამედ ლამის საკონსტიტუციო უმრავლესობაც კი გააჩნდა. კანცელარიის მიერ "ოკუპირებულ" პარლამენტში ედუარდ შევარდნაძეს პრობლემები არასდროს ჰქონია. მეტიც: მორჩილი საკანონმდებლო ორგანო ყოველთვის პრეზიდენტის საიმედო პოლიტიკური დასაყრდენი იყო.

რაც შეეხება გარესაპარლამენტო ოპოზიციას, იგი სერიოზულ საფრთხეს ვერასდროს უქმნიდა ხელისუფლებას. ქუჩიდან წამოსული მკვეთრი ფრაზეოლოგია და კრიტიკა მმართველ ძალას მაინცადამაინც არ აშფოთებდა, რადგან კარგად იცოდა, რომ "ქუჩის ბიჭებს" (ქალებსაც) მოსახლეობაზე დიდი გავლენა არ ჰქონდათ, არანაირ ბერკეტებს არ ფლობდნენ და აქედან გამომდინარე, პერსპექტივაც არ გააჩნდათ. სხვა "შემთხვევაა" მოგვიანებით "დემარშისტებად" მონათლული ძალა. გარდა იმისა, რომ 2 ივნისის მუნიციპალურ არჩევნებში მათ კარგად წარმოაჩინეს თავისი შესაძლებლობები და პოტენციალი, ანგარიშგასაწევია სხვა გარემოებაც: "დემოკრატებს", "ნაციონალებს" და "ახალ მემარჯვენეებს" აქვთ ხელისუფლებაში ყოფნის გარკვეული გამოცდილება და კარგად იცნობენ იმ ტექნოლოგიებს, რომელსაც კანცელარია იყენებს. ამიტომ, მმართველი გუნდისთვის შევარდნაძის პოლიტიკურ სამზარეულოში ჩახედული "დემარშისტებისგან" მომდინარე საფრთხის ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე ერთად აღებული მთელი დანარჩენი ოპოზიციისგან.

შევარდნაძის სახელისუფლებო სისტემაში პარლამენტის როლი იგნორირებულია. საკანონმდებლო ორგანო კანცელარიის ერთგვარ დანამატს წარმოადგენს და პრეზიდენტის ნების აღმსრულებლად მოიაზრება. მხოლოდ ასეთი ატროფირებული პოლიტიკური ინსტიტუტის არსებობა შედის ამჟამინდელი ხელისუფლების ინტერესებში. იგი ვერასგზით შეეგუება იმ აზრს, რომ საკანონმდებლო ორგანომ, ერთ მშვენიერ დღეს, შესაძლოა თავისი კონსტიტუციური ფუნქციები დაიბრუნოს - განსაზღვროს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, კონტროლი გაუწიოს მთავრობის საქმიანობას და ა.შ. თუ ასე მოხდება, ეს მთლიანად დაანგრევს შევარდნაძის სახელისუფლებო სისტემას. ამიტომაც მიაჩნიათ კანცელარიაში, რომ სჯობია პარლამენტი იყოს არაქმედითუნარიანი, მაგრამ მათგან მართვადი, ვიდრე ოპოზიციის ხელში გადავიდეს და თავისი დანიშნულება შეასრულოს.

საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ დღევანდელი მმართველობითი მოდელი (მათ შორის, კასტრირებული საპარლამენტო ხელისუფლება), თავის დროზე, პერსონალურად ედუარდ შევარდნაძისთვის შეიქმნა. ამიტომ, ორიოდე წლის შემდეგ, როდესაც შევარდნაძე ხელისუფლებას ჩამოსცილდება, არსებულ მოდელს აუცილებლად დასჭირდება გადაკეთება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, სხვადასხვა სახელისუფლებო შტოებს შორის კონფლიქტი გაჩაღდეს და ამან ქვეყანაში სერიოზული პოლიტიკური კრიზისი გამოიწვიოს. ამ საფრთხის გათვალისწინებით, ალბათ, უპრიანი იქნება, არსებული მმართველობითი სისტემის მოდერნიზაციაზე აქედანვე დაიწყოს მსჯელობა. თუმცა, არა იმ სახით, როგორიც ხელისუფლებამ უკვე შემოგვთავაზა - სენატის შექმნამდე მაჟორიტარი დეპუტატებისთვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელება ნამდვილად არ არის გზა, რომელიც ხელისუფლებას და ქვეყანას ჩიხიდან გამოიყვანს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების ინიციატივა

რამდენიმე დღეა, რაც პოლიტიკურ კულუარებში აქტიურად განიხილება საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების შესაძლო ვარიანტები. ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების მორიგი (და კვლავ პარტიული) წესი, რომელიც პარტიებს მოქლაქეთა კავშირმა უკვე შესთავაზა, პარლამენტში საკმაოდ ცხარე დებატების თემა ხდება.

თამარ მჭედლიშვილი

"24 საათი" უკვე წერდა სახელისუფლებო ფრაქციის ახალ ინიციატივებზე. შეგახსენებთ, რომ ოფიციალურად მოქალაქეთა კავშირი სამ ვარიანტს ამუშავებს. პირველი მოდელი გულისხმობს საარჩევნო კომისიების სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებით დაკომპლექტებას. მეორე მოდელის თანახმად კი, ცესკო კვლავ პროფესიული ნიშნით შეირჩევა და მისი შემადგენლობა 9 წევრით განისაზღვრება. სამ-სამი წევრის დანიშვნის უფლება ენიჭებათ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს. მესამე ვარიანტი კი ცენტრალური საარჩევნო კომისიის შერეული პრინციპით დაკომპლექტებას ითვალისწინებს ანუ მეორე ვარიანტს დაემატება 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში შვიდპროცენტიანი ბარიერის გადამლახავი სამი პოლიტიკური სუბიექტის – მოქკავშირის, "აღორძინებისა" და "მრეწველების" თითო-თითო წარმომადგენელი. თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, სინამდვილეში მოქკავშირი კულუარებში მეოთხე მოდელს ანუ პარტიული პრინციპით დაკომპლექტებული ცესკო-ს შექმნას ლობირებს და იმისთვის იბრძვის, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია შემდეგნაირად დაკომპლექტდეს: წინა საპარლამენტო არჩევნებში ოთხპროცენტიანი ბარიერის გადამლახავი პარტიები პლუს პრეზიდენტის, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების თითო-თითო წარმომადგენელი.

ჯერჯერობით, რთულია იმის თქმა, კონკრეტულად რომელ მოდელს აირჩევს პარლამენტი. მით უფრო, რომ სხვა ფრაქციებსაც აქვთ საკუთარი წინადადებები. ყველაფერი საგაზაფხულო სესიის პირველსავე დღეებში გაირკვევა.

ამასობაში საარჩევნო პრობლემატიკაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები უკვე ცალსახად აცხადებენ, რომ ახალი საარჩევნო ადმინისტრაციები კვლავ პარტიათა გარიგებების ნაყოფი აღმოჩნდება და მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მოსახლეობის რეალურ არჩევანს კვლავ სერიოზული საფრთხე დაემუქრება.

ამავე დროს, საარჩევნო კომისიების პარტიული ნიშნით დაკომპლექტების შემთხვევაში, არასამთავრობო ორგანიზაციები ხელისუფლებას საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხრიდან ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერის შეწყვეტას უწინასწარმეტყველებენ.

"დღეს მოქმედ საარჩევნო კოდექსში ცალსახად არის მითითებული, რომ საარჩევნო ადმინისტრაციები სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა უნდა დააკომპლექტონ. როდესაც ამ მოდელს პარტიები უარყოფენ და ცდილობენ, შეცვალონ სხვა პრინციპით, ეს ნიშნავს, რომ ისინი არ ენდობიან არც სამოქალაქო საზოგადოებას და არც ხალხს. და კიდევ: თუ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებით ცესკო-ს დაკომპლექტება დღეს არარეალურია, მაშინ კომისიებში უნდა შევიდნენ მხოლოდ პარტიები და არავითარი სხვა სუბიექტის ან ტერიტორიული წარმონაქმნის წარმომადგენლები. კომისიებში ის პარტიებიც უნდა შევიდნენ, რომლებმაც ბოლო ადგილობრივ არჩევნებში გაიმარჯვეს. ე. ი. თუ მაინც პარტიულ პრინციპს ვირჩევთ, მაშინ უნდა გავითვალისწინოთ პოლიტიკურ ძალთა რეალური ბალანსი და არც ისე უნდა მოხდეს, რომ რეალური სურათი ვიღაცის სასარგებლოდ შეიცვალოს. ცესკო დაბალანსებული უნდა იყოს ყველა მხრიდან", - აცხადებს "სამართლიანი არჩევნების" აღმასრულებელი დირექტორი ზურაბ ჭიაბერაშვილი.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" გამგეობის წევრის თინა ხიდაშელის თქმით, **"საარჩევნო ადმინისტრაციების კვლავ პარტიული პრინციპით დაკომპლექტება ნიშნავს, რომ მომავალი არჩევნები ისევე გაყალბდება, როგორც წინა, რადგან პარტიები, როგორც წესი, არჩევნების წინ სასურველ გარიგებებს აუცილებლად მიაღწევენ".**

"თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი დავით ზურაბიშვილიც წინააღმდეგია ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების პარტიული პრინციპის შენარჩუნებისა და აცხადებს, რომ საქართველოში ეს წესი არ ამართლებს, რადგან პარტიები ყოველთვის შეეცდებიან ერთმანეთთან მორიგებას. **"აჯობებდა, რომ შემუშავებულიყო ე.წ. ნეიტრალური ვარიანტი და კომისიები დაეკომპლექტებინათ პროფესიონალებს, მოხელეებს. პარტიული კომისიების არჩევითობის პირობებში კი ყოველთვის იარსებებს ვაჭრობა-გარიგებები",** - ამბობს დავით ზურაბიშვილი.

უკვე მომავალი კვირიდან არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია საკმაოდ სერიოზული ნაბიჯების გადადგმას გეგმავს, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს მომავალი არჩევნებისთვის საკანონმდებლო ბაზის დახვწისთვის ბრძოლა და საარჩევნო პროცესებში სამოქალაქო სექტორის აქტიური ჩართვა.

თურქი გენერალი სამოქალაქო ხელისუფლებას გაფრთხილებას აძლევს

რევაზ ბახტაძე

გენერალური შტაბის უფროსმა პრემიერ-მინისტრი გააფრთხილა, რომ საერო სახელმწიფოში ისლამური ტენდენციების გაძლიერებისაგან თავი შეიკავოს.

თურქეთის გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმა ჰილმი ოზკოკმა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი აბდულა გული "ანტისაერო საქმიანობის" ნახალისებაში დაადანაშაულა. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც სამხედროებმა ისლამური ფესვების მქონე ახალი მთავრობა საჯაროდ გააკრიტიკეს.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა, რომელიც ისლამურ "სამართლიანობისა და განვითარების პარტიას" წარმოადგენს, არმიიდან რამდენიმე ოფიცრის გარიცხვისაგან ოფიციალურად თავი შეიკავა. მათ შეიარაღებულ ძალებში გაწეულ ისლამურ აგიტაციაში ადანაშაულებენ, ამიტომ ისინი, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ავტომატურად ექვემდებარებოდნენ შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნას.

"თურქეთის არმია წლების განმავლობაში საერო ხელისუფლების სადარაჯოზე დგას. ახლა ის მიზანშია ამოღებული", - განაცხადა გენერალური შტაბის უფროსმა. "ანტისაერო პოლიტიკის მხარდამჭერები წლების განმავლობაში შეიარაღებული ძალების შეზღუდვას ცდილობენ, ამიტომ ჩვენ თავდაცვითი რეფლექსები ჩამოგვიყალიბდა, რათა ამგვარ მცდელობებს წინ აღვუდგეთ", - დასძინა ოზკოკმა.

თურქეთის უშიშროების საბჭო, რომელსაც სამხედროები აკონტროლებენ, წელიწადში ორჯერ იკრიბება და ისლამურ პროპაგანდაში ეჭვმიტანილი ოფიცრების გასარიცხ სიას ადგენს. აბდულა გული კი გენერლების მორიგ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა.

აღსანიშნავია, რომ 1997 წელს სამხედროებმა "სამართლიანობის პარტიის" წინამორბედ "ჭეშმარიტების პარტიას" ხელისუფლების დატოვება აიძულეს, რომლის ნანგრევებზე ამჟამინდელი მმართველი პარტია ჩამოყალიბდა.

გასული წლის ნოემბერში გამართული არჩევნებისას გენერალმა ოზკოკმა განაცხადა, რომ არმია სახელმწიფოს რადიკალური ისლამის საფრთხისაგან დაიცავს. სამოქალაქო ფასეულობების დასაცავად თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა 1960 წლის შემდეგ სამი გადატრიალება მოაწყვეს. რეალურად, სამხედროები თურქეთში უმაღლეს ძალაუფლებას ფლობენ და დემოკრატიული მმართველობის მცველებად მოიაზრებიან.

ჯერჯერობით, მმართველ "სამართლიანობისა და განვითარების პარტიას" კომენტარი არ გაუკეთებია.

"სამართლიანობის და განვითარების პარტიასა" და სამხედროებს შორის დაპირისპირება ჩადრების ტარების თაობაზე დაიწყო. მოქმედი კანონმდებლობით, ქალებს საზოგადოებრივ ადგილებში ჩადრით გამოჩენა აკრძალული აქვთ. ისლამისტური პარტია კი ამას მორწმუნეთა უფლებების დარღვევად მიიჩნევს. არჩევნებამდე აბდულა გული აცხადებდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში ამ კანონს გააუქმებდა. თუმცა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აღნიშნულმა საკითხმა მეორე პლანზე გადაიწია.

"ჩვენ ყველა კონფესიასა და პირად ცხოვრებაში მის გამოხატვას ვცემთ პატივს. ჩვენ არავის ვაკრიტიკებთ რწმენის, ურწმუნოების ან აღმსარებლობის ფორმის გამო", - განაცხადა გენერალმა ოზკოკმა.

"თუმცა, ჩვენ არ შევურიგდებით ჩადრების - როგორც რესპუბლიკური ტრადიციების წინააღმდეგ მიმართული სიმბოლოს ტარებას", - ხაზგასმით აღნიშნა გენერალური შტაბის უფროსმა ისლამურ საფრთხეზე საუბრისას.

სამოქალაქო ხელისუფლებასა და სამხედროებს შორის დაპირისპირება იმ ფონზე გამწვავდა, როდესაც შეერთებული შტატები ანკარაზე ზეწოლას ახდენს, რათა ერაყის წინააღმდეგ მოსალოდნელ ომში ამერიკულ სახმელეთო ჯარებს თურქეთის ტერიტორიის გამოყენების უფლება მისცეს. დღემდე თურქეთის ხელისუფლება ვაშინგტონს უარს ეუბნება. დაძაბულობა უდიდეს გავლენას იქონიებს ქვეყნის შიგნით პოლიტიკურ ბალანსსა და თურქეთის ევროპულ მომავალზე.

ერდოგანი ბაქო-ჯეიჰანის მშენებლობის დაჩქარებას მოითხოვს

პირველი გვერდიდან

ირანთან და რუსეთთან ბუნებრივი აირის გარანტირებულ შესყიდვაზე უკვე გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები.

საინფორმაციო სააგენტო "ფრანს პრესის" ინფორმაციით, ალიევის მრჩეველმა საგარეო პოლიტიკის საკითხებში ნოვრუზ მამედოვმა განაცხადა, რომ ორმხრივი მოლაპარაკებებისას ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იქნებოდა შაჰ-დენიზის გაზის თურქეთში ექსპორტი. აზერბაიჯანული მხარის მტკიცებით, თუ გაზსადენის მშენებლობა თებერვალში საბოლოოდ არ შეთანხმდა, მაშინ პროექტი უახლოესი 4-5 წლის განმავლობაში, პრაქტიკულად, ვეღარ განხორციელდება.

თურქეთის ენერგეტიკის მინისტრმა გაზსადენის მშენებლობის ჩაშლის შესაძლებლობა გადაჭრით უარყო. "დღეს თურქეთი ევროპის ენერგეტიკულ რეზერვუარად ყალიბდება, ამიტომ თურქეთი ორ ფუნქციას შეასრულებს: პირველი - როგორც სატრანზიტო ქვეყანა, რომელიც რუსულ, ირანულ და აზერბაიჯანულ გაზს ევროპისაკენ გაატარებს; მეორე - თურქეთი თავად იქნება ამ გაზის მომხმარებელი და, სავარაუდოდ, მესამე ქვეყნებში გადამყიდველი. ჩვენ მსგავსი ვარიანტი შეიძლება თურქმენეთისა და ყაზახეთის მთავრობებსაც შევთავაზოთ", - განაცხადა ჰილმი გულერმა.

თურქეთის მთავრობა დიდი ხანია, რაც ჭარბი გაზის საბერძნეთში გადაყიდვის თაობაზე ათენთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. ანკარას იმედი აქვს, რომ საბერძნეთში გაზის რეექსპორტით შეძლებს აზერბაიჯანიდან, ირანიდან და რუსეთიდან მიღებული ჭარბი აირის "თავიდან მოცილებას". "ჩვენ მოლაპარაკებულები ვართ საბერძნეთის ხელისუფლებასთან. ასე რომ, არანაირი პრობლემა არ იქნება", - აღნიშნა ენერგეტიკის მინისტრმა აზერბაიჯანულ გაზზე საუბრისას.

რეჯებ ერდოგანი

REUTERS

თურქეთის ლიდერი პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევს პირისპირ შეხვდა. მოლაპარაკებები, ძირითადად, ენერგეტიკის, რეგიონული უსაფრთხოებისა და ვაჭრობის შესახებ მიმდინარეობდა.

ბაქოში მყოფმა რეჯეებ ერდოგანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირებისას ანკარა კვლავინდებურად მხარს უჭერს აზერბაიჯანს. "**იმედი გვაქვს, რომ პრობლემა უმოკლეს ხანში მოგვარდება აზერბაიჯანის სასარგებლოდ**", - აღნიშნა ერდოგანმა. "ჩვენ აზერბაიჯანელ ძმებთან ერთად ვართ".

თურქეთის ლიდერმა ბაქოში განაცხადა, რომ გაცილებით ეფექტური იქნება, თუ მთიანი ყარაბაღის შესახებ მოლაპარაკებები სამმხრივი ფორმატით - აზერბაიჯანის, სომხეთისა და თურქეთის მონაწილეობით გაიმართება. აღსანიშნავია, რომ თურქეთსა და სომხეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები ჯერ კიდევ არ არის დამყარებული.

ერდოგანის ახალი ინიციატივის შესახებ სომხეთის ხელისუფლებას ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია.

საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე თურქეთმა თავის საგარეო და პოლიტიკურ პრიორიტეტად ახლად წარმოქმნილ თურქულენოვან სახელმწიფოებთან ურთიერთობა გამოაცხადა. თუმცა, რეგიონულმა არასტაბილურობამ, ახალი მეზობლების ეკონომიკურმა სიდუხჭირემ, რუსეთის სამხედრო ყოფნამ და თავად თურქეთის შეზღუდულმა ფინანსურმა და პოლიტიკურმა რესურსებმა ანკარას გრანდიოზული გეგმების შეჩერება გამოიწვია.

ამას გარდა, უკანასკნელი წლების განმავლობაში თურქული ელიტის მთელი ყურადღება ევროკავშირში გაწევრიანებისკენ იყო გადატანილი, რაც ანკარას აღმოსავლეთით აქტიური პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას აღარ აძლევდა.

ერდოგანის თანმხლებ ბიზნესმენთა დელეგაციის ხელმძღვანელის თუგრულ ერკინის აზრით, ანკარა აღმოსავლური პოლიტიკის აღორძინებას ცდილობს. "ევრაზია ძალზე დიდია და... ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები, ძირითადად, აქ ვითარდებოდა. მართალია, ევროკავშირში გაწევრიანება ჩვენს უმთავრეს მიზნად კვლავ რჩება, მაგრამ სხვა ალტერნატივებიც გვაქვს; მათ შორისაა კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოები".

ექსპერტების აზრით, კოპენჰაგენის სამიტის შემდეგ, როდესაც თურქეთს ევროკავშირში გაწევრიანებაზე კიდევ ერთხელ უთხრეს უარი, ანკარამ საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების ერთგვარი რევიზია მოახდინა და ყურადღება კვლავ აღმოსავლეთს მიაპყრო. ენერგეტიკული პროექტების დაჩქარებაზე გაკეთებული აქცენტი კი, ნავთობითა და გაზით მდიდარ სახელმწიფოებთან ერთად, პირველ რიგში საქართველოს აძლევს ხელს.

აზერბაიჯანის შემდეგ ერდოგანი თურქმენეთსა და ყაზახეთს ესტუმრება.

სომხეთის სახელმწიფო ტელევიზიის შეფად პრეზიდენტის თანაშემწე დაინიშნა

რევაზ ბახტაძე

საპრეზიდენტო არჩევნების წინ კოჩარიანის მომხრეები და მოწინააღმდეგეები ერთმანეთს პოლიტიკურ მკვლელობებში ადანაშაულებენ

ოთხშაბათს პრეზიდენტ რობერტ კოჩარიანის თანაშემწე ალეკსან ჰარუთიუნიანი სომხეთის სახელმწიფო ტელე-რადიო მაუწყებლობის უფროსად დანიშნეს. მან შეცვალა ორი კვირის წინ მოკლული ცნობილი ჟურნალისტი ტიგრან ნაღდალიანი.

ალეკსან ჰარუთიუნიანი სომხეთის სახელმწიფო ტელე-რადიო მაუწყებლობის მმართველმა საბჭომ ერთხმად აირჩია. ეს კანდიდატურა პრეზიდენტმაც დაამტკიცა. ამავე დროს, კოჩარიანმა ხუთწევრიანი მმართველი საბჭოს შემადგენლობაში ცვლილება შეიტანა და საბჭოს ერთ-ერთი წევრი გაათავისუფლა.

"სხვა ალტერნატივა არც არსებობდა", - აღნიშნა საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა ჰენრიკ ჰოვანისიანმა. მისი მტკიცებით, ჰარუთიუნიანი ნაღდალიანის ახლო მეგობარი იყო და სატელევიზიო საქმესაც ძალიან კარგად იცნობს.

სახელმწიფო ტელევიზიის ახალ შეფს ამჟამინდელი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ყოველთვის მაღალი თანამდებობები ეჭირა. ახალ პოსტზე დანიშვნამდე იგი საგარეო პოლიტიკისა და ადგილობრივი მთავრობის საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველი იყო. მანამდე მას სახელმწიფო ტელევიზიის საქმიანობის ზედამხედველობა ევალებოდა.

2001 წელს განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, სომხეთის ყველაზე დიდი ტელეკომპანია პრეზიდენტის მკაცრი კონტროლის ქვეშ რჩება. სომხეთის საზოგადოებრივი ტელე-რადიო მაუწყებლობის კომპანია პრეზიდენტის პოლიტიკას უჭერს მხარს და წინასაარჩევნო მარათონში კოჩარიანის ერთ-ერთ კოზირად ითვლება.

აღსანიშნავია, რომ მმართველი საბჭოს ხუთივე წევრს პრეზიდენტი ნიშნავს. ერთ-ერთი მათგანი აშოტ მანუკიანი სამშაბათს გადადგა და ადგილი დაუთმო კოჩარიანის ახალ რჩეულს ვართან კოპიანს, რომელიც მეორე დღესვე მმართველი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს.

მართალია, ნაღდალიანის ჩაცხრილვის შემდეგ კოჩარიანმა განაცხადა, რომ დამნაშავეების დასასჯელად "ყველაფერს გააკეთებს", მაგრამ, ჯერჯერობით, გამოძიებას კონკრეტული ვერსია არ გააჩნია. სამაგიეროდ, ჟურნალისტის მკვლელობა წინასაარჩევნო სპეკულაციისათვის მომგებიან თემად გადაიქცა.

პრეზიდენტის ზოგიერთმა მხარდამჭერმა მკვლელობის ჩადენაში ოპოზიცია დაადანაშაულა, რაც, რასაკვირველია, მოახლოებულ არჩევნებში პრეზიდენტის იმიჯის შელახვის მცდელობად მონათლა.

საპასუხო ბრალდებებსაც არ დაუყოვნებია და ოთხშაბათს 16 ოპოზიციური პარტიის გაერთიანებამ გააკეთა განცხადება, რომ ნაღდალიანის სიკვდილი სომხეთში გამეფებული "დაუსჯელობის სინდრომით" არის გამოწვეული. "არსებული ისტერია პოლიტიკურ ოპონენტებთან ანგარიშსწორებას ისახავს მიზნად", - ნათქვამია ერთობლივ განცხადებაში.

ოპოზიციურმა პარტიებმა სამართალდამცავ ორგანოებს კიდევ ერთხელ მოუწოდეს, რომ გამოიძიონ 1999 წლის ოქტომბერს, სომხეთის პარლამენტში მომხდარი მკვლელობა, რომელსაც ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი და თავდაცვის მინისტრი შეეწირა. ოპოზიციონერთა თქმით, ნაღდალიანი ერთ-ერთი მთავარი მოწმე იყო და მას ჩვენება უახლოეს სასამართლო პროცესზე უნდა მიეცა.

მიმომხილველების აზრით, ჰარუთიუნიანის დანიშვნა ტელევიზიის შეფად კიდევ უფრო მეტ ეჭვს წარმოშობს. 1999 წელს მომხდარ მკვლელობაში დაკავებულ ეჭვმიტანილთა შორის თავდაპირველად ჰარუთიუნიანიც იყო. თუმცა, არასაკმარისი სამხილის გამო, იგი მალევე გაათავისუფლეს.

ბევრი დღემდე დარწმუნებულია, რომ პარლამენტში განხორციელებული ტერაქტი პრეზიდენტ კოჩარიანის დაკვეთილი იყო და ჰარუთიუნიანის დანიშვნა ამის კიდევ ერთი დასტურია.

ჟურნალისტის მკვლელობას ევროპის საბჭოც გამოეხმაურა. "ცნობილი ჟურნალისტის მკვლელობა მხოლოდ ამ პიროვნების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული არ არის, არამედ მთელ თავისუფალ მედიაზე მიტანილი იერიშია", - ნათქვამია გენერალური მდივნის ვალტერ შვიმერის მიერ სტრასბურგიდან გამოგზავნილ განცხადებაში. "მოვუწოდებ სომხეთის ხელისუფლებას, რომ გამოძიების პროცესი რაც შეიძლება ღიად ჩაატაროს და დამნაშავეებს პასუხი აგებინოს".

ჩრდილოეთ კორეამ თავისი გაიტანა

ბოთა უტიაშვილი

შეერთებული შტატები იძულებული გახდა, უარი ეთქვა თავის უკომპრომისო პოლიტიკაზე და ჩრდილოეთ კორეისთვის მოლაპარაკებების დაწყება შეეთავაზებინა. ფხენიანი, როგორც ჩანს, მაინც მიიღებს ამერიკისაგან უსაფრთხოების წერილობით გარანტიას, რასაც ასე დაჟინებით მოითხოვს.

რამდენიმე კვირის წინ ჩრდილოეთ კორეამ ჩათვალა, რომ მისი დროც მოვიდა და ზედიზედ დაიწყო პროვოკაციული ნაბიჯების გადადგმა. ჯერ ამაყად აღიარა, რომ არღვევდა 1994 წლის შეთანხმებას და ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობას აგრძელებდა, შემდეგ აამოქმედა ბირთვული რეაქტორი, რომელზეც პლუტონიუმს აწარმოებს და ქვეყნიდან გააძევა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორები.

კორეელი ჯარისკაცები

REUTERS

საპასუხოდ, შეერთებულმა შტატებმა შეუწყვიტა ჩრდილოეთ კორეას ნავთობის მიწოდება, შეწყვიტა ყოველგვარი მოლაპარაკებები და ეკონომიკური სანქციებით დაემუქრა.

ფხენიანმა უკან არ დაიხია და განაცხადა, რომ სანქციების დაწესებას ომის გამოცხადებად ჩათვლიდა. რამდენიმე დღის მანძილზე მთელი აზია ელოდებოდა, რითი უპასუხებდა ამას ვაშინგტონი. ორიოდე დღის წინ კოლინ პაუელმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა მზადაა ჩრდილოეთ კორეასთან მოლაპარაკებები განაახლოს. სააგენტო „როიტერის" ცნობით, სავარაუდოდ, მხარეები განაახლებენ 2000 წლის ერთობლივ კომუნიკეს, სადაც ნათქვამია, რომ ორ ქვეყანას ერთმანეთისადმი მტრული ზრახვები არ ამოძრავებს და რომ ისინი თანახმანი არიან, განიხილონ შემდგომი თანამშრომლობის შესაძლებლობები. ამის შემდეგ, სავარაუდოდ, აღდგება ჩრდილოეთ კორეისათვის ნავთობის მიწოდება.

საინტერესოა, რომ მაშინ, როდესაც ერაყის მთავრობა ლამის ტარაკნების წამალსაც მალავს იმის შიშით, რომ გაეროს ექსპერტებმა ის ქიმიურ იარაღად არ ჩათვალონ, ჩრდილოეთ კორეამ აშკარად განაახლა ბირთვულ იარაღზე მუშაობა.

როგორ დაჯაბნა (თუნდაც, დროებით) მასზე გაცილებით ძლიერი სახელმწიფოები?

საერთოდ, თავიდან ურჩი სახელმწიფოების წინააღმდეგ საერთაშორისო საზოგადოება დიპლომატიურ იზოლაციას იყენებს, თუ ამან არ გაჭრა - ეკონომიკურ სანქციებს და უკიდურეს შემთხვევაში დგება სამხედრო მოქმედებების საკითხი.

ჩრდილოეთ კორეის მეტი დიპლომატიური იზოლირება შეუძლებელია. ეს ქვეყანა ისედაც განცალკავებულობისა და გარიყულობის სიმბოლოდ მიიჩნევა.

რაც შეეხება ეკონომიკურ სანქციებს, ფხენიანზე ესეც ნაკლებად იმოქმედებდა, რადგან ამ ქვეყანას სავაჭრო ურთიერთობები მხოლოდ ჩინეთთან და რუსეთთან აქვს (თუ არ ჩავთვლით არაბულ ქვეყნებში „სკადების" გაყიდვას) და ისიც უმნიშვნელო. ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ერთადერთი საკვებია დღეში 200 გრამი ბრინჯი და ისიც ადგილზე მოჰყავთ.

რაც შეეხება მესამე შესაძლებლობას - ძალის მუქარას ან მის გამოყენებას - ფხენიანმა თავიდანვე სწორად გათვალა, როდესაც მათი გამოყენება გამორიცხა. ამერიკის მთელი ყურადღება ხომ ახლო აღმოსავლეთზეა კონცენტრირებული. მიუხედავად ამერიკული სამხედრო დოქტრინისა, რომელიც შესაძლებლად მიიჩნევს რამდენიმე რეგიონში ომის ერთდროულად წარმოებას, ვაშინგტონმა საქმეში სამხედროების ჩარევა მიზანშეუწონლად ჩათვალა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ღატაკ ჩრდილოეთ კორეას მილიონნიანი არმია ჰყავს, რომელიც ომის დაწყების შემთხვევაში, საზღვრიდან 60 კილომეტრში მდებარე სეულს განადგურებით ემუქრება. სწორედ ეს ორი ფაქტორი - სილატაკე და სამხედრო ძლიერება აიძულებს ჩრდილოეთ კორეის მეზობლებს: სამხრეთ კორეას, იაპონიას, ჩინეთსა და რუსეთს, რომ ძალზე ფრთხილად მოეკიდონ ამ ქვეყანაში ომის დაწყების შესაძლებლობას.

ასე რომ, ამერიკა იძულებული გახდა, კომპრომისზე წასულიყო, თუმცა ამით ვერავინ ვერაფერი მოიგო - ვერც ჩრდილოეთ კორეის მეზობლებმა, რომლებსაც კიდევ დიდხანს მოუწევთ დენთის კასრზე ჯდომა, ვერც თვითონ 200 გრამ ბრინჯზე მცხოვრებმა ჩრდილოეთ კორეელებმა და ვერც საერთაშორისო საზოგადოებამ, რომელსაც უსაფრთხოების ერთ-ერთი ქვაკუთხედი, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა, ნელ-ნელა ხელიდან ეცლება.

არიელ შარონს კორუფციაში ადანაშაულებენ

ბოთა უტიაშვილი

არჩევნებამდე სამი კვირით ადრე ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი სერიოზულ სკანდალში გაეხვა. ლიბერალურმა გაზეთმა „ჰაარეცმა" გამოაქვეყნა იუსიტიციის სამინისტროს საიდუმლო დოკუმენტები, რომლებშიც საუბარია არიელ შარონისა და მისი ვაჟების მიერ უკანონო სესხის აღების შესახებ.

გამოძიების მასალებით ირკვევა, რომ შარონმა სამხრეთ აფრიკელი სირილ კერნისაგან მილიონნახევარი დოლარი ისესხა და ეს ფაქტი სახელმწიფო კონტროლიორისაგან დამალა. ფული შარონს სხვა ვალის დასაფარად სჭირდებოდა. წინა არჩევნებზე მან ამერიკული კომპანია „ანექს რისერჩისაგან" საარჩევნო კამპანიისათვის შემოწირულობა მიიღო. ისრაელის კანონების მიხედვით, უცხოეთიდან შემოწირულების მიღება აკრძალულია, ამიტომ მას ფულის დაუყოვნებლივ დაბრუნება მოსთხოვეს. თანხის შოვნა მან თავისი რანჩოს დაგირავებით სცადა, მაგრამ რაკი ეს რანჩო არენდით აღებულ მიწაზე იყო განთავსებული, ამის გაკეთება შეუძლებელი აღმოჩნდა. მაშინ იგი იძულებული გახდა, რომ ფული სამხრეთ აფრიკელისგან ესესხა. ზოგიერთი ებრაული გაზეთი ამტკიცებს, რომ საქმე ეხება არა სესხს, არამედ ქრთამს.

შარონი ყველაფერს უარყოფს და აცხადებს, რომ ეს ყველაფერი ცილისწამებაა და არჩევნების წინ მის დისკრედიტაციას ისახავს მიზნად რომ იგი მზადაა ფაქტებითა და დოკუმენტებით დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა.

ისრაელის გენერალურმა პროკურორმა დაადასტურა, რომ მისი უწყება ნამდვილად დაინტერესდა შარონის ოჯახით და იქვე განაცხადა, რომ არჩევნების დასრულებამდე შეაჩერებს გამოძიებას. შარონის მთავარმა კონკურენტმა, შრომის პარტიის ლიდერმა ამრ მიცნამ, რომლისთვისაც ეს სკანდალი ნამდვილი ღვთის წყალობაა, შარონს მოუწოდა: ან დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, ან გადადგეს. „არიკი (არიელის კნინობითი ფორმა) ჩუმად არ უნდა იყოს. მან ან უნდა აუხსნას ხალხს რა ხდება, ან გადადგეს. თავისი მოქმედებებით შარონი ამტკიცებს, რომ იგი არ არის შესაფერისი კანდიდატი".



ისრაელის პრემიერ-მინისტრს სერიოზული ბრალდებების უარყოფა მოუწევს

გაზეთ „მაარივის" მიმომხილველი ჰამი შალევი წერს: „რაც უფრო მეტად ცდილობს შარონი, გაექცეს ხმებს მისი კორუმპირებულობის შესახებ, მით უფრო დაჟინებით მიჰყვებიან ეს ხმები, რომლებიც მის ოჯახამდე, მის მამულამდე აღწევენ. რაც უფრო მეტად ცდილობს იგი თავისი სახელიდან ლაქების ჩამოცილებას, მით უფრო მკვეთრი ხდება ეს ლაქები".

სულ ორი კვირის წინ შარონი კიდევ ერთ სკანდალში გაეხვა, რომელიც ლიკუდის პარტიაში პრაიმერიზზე დელეგატთა მოსყიდვას უკავშირდებოდა. მაშინ იგი იძულებული გახდა, გაეთავისუფლებინა ვიცე-პრემიერი ნაომი ბლუმენტალი.

ახლანდელი სკანდალი, სავარაუდოდ, დიდ გავლენას იქონიებს არჩევნების შედეგებზე. თუკი ადრინდელი სოციოლოგიური გამოკითხვებით 120 კაციან კნესეტში შარონის „ლიკუდს" 42 ადგილი უნდა მოეპოვებინა, ხოლო შრომის პარტიას - 22, გუშინწინ, „ჰაარეცის" მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, ეს ციფრები შესაბამისად 27-სა და 24-ს შეადგენს. კორუფციის სკანდალში არაერთხელ გახვეულა შრომის პარტიაც. ამიტომ, როგორც ასეთ დროს ხშირად ხდება ხოლმე, სულ უფრო მეტი ამომრჩეველი იხრება შედარებით ახალი, არატრადიციული შინუის პარტიისაკენ, რომელიც კორუფციისა და ულტრარელიგიური პარტიების საწინააღმდეგო და გადასახადების შემცირების ლოზუნგებით გამოდის. მას 17 მანდატის მოპოვებას უწინასწარმეტყველებენ. საპარლამენტო უმრავლესობის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შეიძლება სწორედ ამ პარტიამ შეასრულოს.

ისრაელის არმიის რადიოს მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, ებრაელთა 46 პროცენტი მაინც შარონს უჭერს მხარს, რადგან ქვეყანა ბოლო ორი წელია, ფაქტობრივად, ომის მდგომარეობაში ცხოვრობს, ამიტომ დღის წესრიგში უსაფრთხოების საკითხები დომინირებს. ეს კი კონსერვატორ შარონს უკეთეს პოზიციაში აყენებს, ვიდრე ლიბერალ მიცნას. მართალია, მიცნასაც აქვს გენერლის წოდება (ისრაელში - როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში - გენერლობა მაღალი თანამდებობის დასაკავებლად ლამის აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს), მაგრამ ტერორიზმთან ბრძოლაში შარონი უფრო უკომპრომისოა, ხოლო შრომის პარტია პალესტინის კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის ოსლოს შეთანხმების ერთგულია. გახშირებული ტერაქტებიც კონსერვატორების წისქვილზე ასხამს წყალს. მიმომხილველები, რომლებიც აქამდე შარონს იოლ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ, დღეს უკვე ამბობენ, რომ, მართალია, ლიკუდი უპირატესობას ინარჩუნებს, მაგრამ 28 იანვრამდე ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

იყავით სპეზზე!

და მოიგეთ მრავალი პრიზი ჯეოსელთან ერთად!

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას: ავტომობილი ნივა, **VESTEL**-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და **DVD** სისტემის მაგნიტოფონები "ელიტელექტრონიქსისაგან"* **SAMSUNG**-ისა და **NOKIA**-ს ტელეფონები, ელ-გენერატორი, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფუმერია.

ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:

- იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი
- უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას:

ჯეოსელში ლაი-ლაი ბარათებით სარგებლობა შესაძლებელია 1997 წლიდან?

კვირის კითხვას ჯეოსელი დაგისვამთ ტელევიზიის ("რუსთავი 2" და "პირველი არხი"), რადიოს ("ფორტუნა", "ფორტუნა +") და გაზეთის ("24 საათის" და "ალია") საშუალებით.
გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:

- კი -დარეკეთ ნომერზე 111**
- არა-დარეკეთ ნომერზე 222**

ჯეოსელი

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 ან 822 770 177

*ელიტელექტრონიქსის მაღაზიები: თბილისი, მარჯანიშვილის 19 და ალმაშენებლის 146 ბათუმი: გამსახურდიას 47, ერას 91; ქუთაისი: გრიშაშვილის 31.
**ერთი ზარის ღირებულებაა 0.288 ლარი

საახალწლო ფასდაკლება ჯეოსელში!

აბონენტთა საყურადღებოდ!
ა.წ. 11 დეკემბრიდან თქვენ შეგიძლიათ უფასოდ გადაიფორმოთ ნომერი. იჩქარეთ!!! აქცია ძალაშია 2003 წლის 26 იანვრამდე.

მოკლედ

თბილისი. 15 იანვრიდან თბილისი, შესაძლოა, ბუნებრივი აირის გარეშე დარჩეს. სააქციო საზოგადოება "თბილგაზს" დეკემბერში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურიდან – ცხრა მილიონი ლარიდან, ჯერჯერობით, არც ერთი თეთრი არ გადაუხდია. "თბილგაზის" გენერალური დირექტორის ვახტანგ ცაავას განცხადებით, ორ მილიონ ლარს მობილიზებას თავად კომპანია გაუკეთებს, დარჩენილი თანხის დაფარვის საკითხი კი სამთავრობო დონეზე მას შემდეგ გადაწყდება, რაც სამთავრობო დელეგაცია "იტერას" სათავო ოფისში ხელშეკრულების გაფორმებას შეძლებს. ***"ინტერ-პრესი"***

■ ■ ■

თბილისი. "თბილგაზს" ლიცენზიის ჩამორთმევა ემუქრება. სემეკის თავმჯდომარის ელიზბარ ერისთავის განცხადებით, თვის ბოლომდე "თბილგაზის" ხელმძღვანელობამ სემეკის მიერ დადგენილ პირობებზე დამაკმაყოფილებელი განაცხადი უნდა წარმოადგინოს. როგორც ერისთავმა განაცხადა, სემეკი არ გაუგრძელებს "თბილგაზს" ლიცენზიას, თუ მისი ხელმძღვანელობა რამდენიმე მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს. "თბილგაზს" ევალება მოსახლეობისაგან მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის ამოღების მკვეთრი გაუმჯობესება, უსაფრთხოების გარანტიების წარმოდგენა, ბუნებრივი აირის უწყვეტი მოწოდება, ვინაიდან ხშირ გათიშვებს სავალალო შედეგები მოსდევს. მოთხოვნებს შორისაა, ასევე, გადახდის მექანიზმის შეცვლა, ანუ ინკასატორების ინსტიტუტის გაუქმება. ამასთანავე, სემეკი "თბილგაზს" აძლევს რეკომენდაციას, რომ ჩატარდეს მენეჯერთა კონკურსი და გამარჯვებულები დაინიშნონ მენეჯმენტის განსახორციელებლად. რაც შეეხება ტექნიკურ პერსონალს, მისი შეცვლა არ იგეგმება. ***კავკას-პრესი.***

■ ■ ■

თბილისი. 13 იანვარს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა მოსკოვში რუსულ კომპანია "იტერასთან" ბუნებრივი აირის მოწოდებაზე გრძელვადიანი ხელშეკრულების დადების თაობაზე მოლაპარაკებებს გამართავს. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს პრესცენტრის ინფორმაციით, მირცხულავა მოსკოვში 12 იანვარს გაემგზავრება. მოლაპარაკებების დროს საბოლოოდ გადაწყდება "იტერას" შვილობილი კომპანიის "საქგაზის" ბედიც. "თბილგაზის" გენერალური დირექტორი ვახტანგ ცაავა კი იმედოვნებს, რომ მოსკოვში მოლაპარაკებებისას 1998 წლის დავალიანება, რომელიც 23 მილიონ ლარს შეადგენს, რესტრუქტურიზირებული იქნება. მოსკოვში კომპანია "იტერასა" და ქართულ მხარეს შორის შვიდწლიანი ორმხრივი ხელშეკრულება უნდა დაიდოს, რომელიც გაზის შეუფერხებელ მოწოდებას ითვალისწინებს. ***კავკას-პრესი.***

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს საგარეო ვალის ძირითადი ნაწილის გასტუმრების ერთი წლით გადავადების თაობაზე პარიზის კლუბთან მოლაპარაკებების დასაწყებად მთავრობა სავალუტო ფონდის თანხმობას ელის. სახელმწიფო მინისტრის მოადგილის გიორგი ისაკაძის განცხადებით, 2002 წელს გადასახდელი პროცენტი მთლიანად დაფარულია და იმედია, „სავალუტო ფონდის დასკვნა დადებითი იქნება"

ფინანსთა მინისტრის მოადგილის ზურაბ სოსელიას განაცხადებით, სავალუტო ფონდი ვალის 2004 წლამდე გადავადების წინააღმდეგი არ არის. როდის გაიმართება მოლაპარაკებები კლუბთან, სოსელიას თქმით, ძნელი სათქმელია, რადგან მოლაპარაკებებში მონაწილეობა უნდა მიიღოს თორმეტმა კრედიტორმა ქვეყანამ. სავარაუდოდ, შესაძლოა, მოლაპარაკებები გაზაფხულზე გაიმართოს. საქართველოს საგარეო ვალი კრედიტორი ქვეყნებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისადმი, დაახლოებით, სამ მილიარდ 700 მილიონ ლარს შეადგენს. ***მედია-ნიუსი.***

■ ■ ■

თბილისი. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოს მთავრობისთვის მიცემული 20-ზე მეტი რეკომენდაციიდან შესასრულებელი რამდენიმე დარჩა. სახელმწიფო მინისტრის მოადგილის გიორგი ისაკაძის განცხადებით, პაკეტი ითვალისწინებს 2003 წლის ბიუჯეტისა და იმ საგადასახადო კანონმდებლობის დამტკიცებას, რაზეც აგებულია ბიუჯეტის პროექტი. საგადასახადო კანონმდებლობა გულისხმობს გარკვეული გადასახადების გაზრდას. პაკეტი ასევე მოიცავს შავი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონპროექტს. ***მედია-ნიუსი.***

■ ■ ■

თბილისი. კომპანია "ეი-ი-ეს თელასმა" ქალაქის გამრიცხველიანების პროცესი განაახლა. ამჟამად გამრიცხველიანებაზე დედაქალაქის სხვადასხვა უბნებში რამდენიმე ჯგუფი მუშაობს. ზოგან მინაში კაბელების ჩაყრა, ზოგან - ბოძების დამონტაჟება, ზოგან კი უშუალოდ მრიცხველების დამონტაჟება მიმდინარეობს. ამერიკული კომპანია ქალაქის სრულ გამრიცხველიანებას მაისის ბოლოსთვის ვარაუდობს. პარალელურად მიმდინარეობს დაბალი ძაბვის ქსელების რეაბილიტაციაც. აღნიშნული სამუშაოებისათვის "ეი-ი-ეს თელასმა" ის ცხრა მილიონი დოლარი მიიღო, რომელიც ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ საქართველოს მთავრობას გრანტის სახით გამოუყო. აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ამ თანხით "ეი-ი-ეს თელასისადმი" საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანება დაფარა. "ეი-ი-ეს თელასის" 300 ათასი აბონენტიდან 18 პროცენტი ჯერაც გაუმრიცხველიანებელია. ***"ინტერ-პრესი"***

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ტერიტორიაზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა აპრილში წალკიდან დაიწყება, იტყობინებიან პროექტის ძირითად ინვესტორ კომპანია "ბი-პი"-ში. მილების პირველი პარტია ბათუმში 22 იანვარს ჩამოვა. საქართველოში ჩამოიტანენ 20 ათასამდე მილს, რომელთა უმეტესობა იაპონიაში დაამზადა კომპანია „სუმიტომო კაშიმა ფაიფმილმა". მილებთან ერთად, ბათუმში ჩამოვა მილებისთვის სპეციალური საფარი, რომელიც წარმოებულია მალაიზიაში. ბათუმის ნავსადგურიდან მილებსა და საფარს შპს „საქართველოს რკინიგზა" გადაზიდავს.

მშენებლობის დაწყებამდე მილები შეინახება სპეციალურ საწყობებში რუსთავში, თეთრ წყაროში, წალკაში, ბაკურიანის „ანდეზიტში", ახალციხეში, მარნეულსა და ბათუმში, სადაც სარეზერვო საწყობი იქნება. ***მედია-ნიუსი.***

■ ■ ■

ბაქო. "შაჰ-დენიზის" გაზის პროექტის რეალიზაციის სანქციონირებისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის მშენებლობის გაჭიანურება არანაირად არ არის დაკავშირებული ანკარასთან. ამის შესახებ განაცხადა აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტმა ნატიკ ალიევმა. მისი თქმით, აზერბაიჯანიც და თურქეთიც მზად არიან, განაგრძონ თანამშრომლობა ენერგეტიკულ სფეროში. როგორც ალიევმა აღნიშნა, თურქეთის სამართლიანობისა და განვითარების მმართველი პარტიის ლიდერის რეჯებ ტაიპ ერდოგანის ბაქოში ვიზიტის დროს ენერგეტიკული თანამშრომლობის შესახებ საკითხები არ განუხილავთ, მას ინფორმაცია მიაწოდეს ენერგეტიკულ პროექტებზე, რომლის რეალიზებასაც აზერბაიჯანი მომავალში აპირებს. ***კავკას-პრესი.***

■ ■ ■

თბილისი. სააქციო საზოგადოება "თბილავიამშენში" მალე ვერტმფრენების მასიური სარემონტო სამუშაოები დაიწყება. ერთი მი-8 ტიპის ვერტმფრენის სარემონტო სამუშაოები საწარმოში ამჟამადაც მიმდინარეობს. მათ ქართული მხარე ყაზანის ვერტმფრენების მწარმოებელი ქარხნის წარმომადგენლებთან ერთად ახორციელებს. ტექნოლოგიების სრულად ათვისების შემდეგ "თბილავიამშენი" აღნიშნულ სამუშაოებს დამოუკიდებლად გააგრძელებს და როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო შვეულმფრენების სარემონტო სამუშაოებს განახორციელებს. ***"ინტერ-პრესი"***

■ ■ ■

ბაქო. 2003 წლის ბოლოსათვის აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის საქონელბრუნვა, დაახლოებით, 500 მილიონ დოლარს მიაღწევს, უკვე 2004 წლისათვის აუცილებელია ამ მაჩვენებლის გაზრდა მილიარდ დოლარამდე. ამის შესახებ განაცხადა თურქეთის მმართველი პარტიის (სამართლინობისა და აღორძინების) ლიდერმა რეჯებ ერდოგანმა 8 იანვარს ბაქოში თურქ ბიზნესმენებთან შეხვედრაზე.

მისი თქმით, ასევე აუცილებელია აზერბაიჯანის ეკონომიკაში თურქული ინვესტიციების მოცულობის ზრდა, მათ შორის, ნავთობის სექტორში. როგორც ერდოგანმა აღნიშნა, 2001 წლის შედეგებით თურქული კაპიტალის წილი აზერბაიჯანის ნავთობსექტორში 723 მილიონ დოლარს შეადგენს, ნავთობკომპანია TPAO-ს დაბანდებების ჩათვლით, თურქული ინვესტიციების მოცულობა აზერბაიჯანის ეკონომიკაში ერთ მილიარდ დოლარს აღწევს. ***კავკას-პრესი.***

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2003 4 - 10 იანვრის მდგომარეობით



მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები		UKE	US$	€uro	¥en
	UKE		0.622	0.6531	0.0052
	US$	1.6078		1.0502	0.0084
	€uro	1.5308	0.9522		0.008
	¥en	191.72	119.25	125.25	

2003 წლის 10 იანვრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

ევრო	1	2.3265 ლარი
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	1	3.5603 ლარი
შვეიცარიული ფრანკი	1	1.5956 ლარი
აშშ დოლარი	1	2.2100 ლარი
თურქული ლირა	1 000 000	1.3261 ლარი
იაპონური იენი	1	0.1859 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0692 ლარი
აზერბაიჯანული მანათი	1 000	0.4514 ლარი
სომხური დრამი	100	0.3796 ლარი
უკრაინული გრივნა	10	3.1432 ლარი

კერძო აუდიტორის შეფასებით, „იტერას„ ბიზნეს-გეგმა ელემენტალურ მოთხოვნებს ვერ პასუხობს

ბენო ბალაბანელის ფოტო

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში უკვე დამთავრდა "იტერას" მიერ წარდგენილ "აზოტის" ბიზნეს-გეგმაზე მუშაობა. მინისტრის მოადგილის გენო მალაზონიას განცხადებით, სამინისტრომ მოიწონა ბიზნეს-გეგმის საბოლოო ვარიანტი, სადაც "იტერამ" ყველა შესაბამისი უწყებისა და სამინისტროს შენიშვნა გაითვალისწინა. როგორც ქონების მართვის სამინისტროში აცხადებენ, სააქციო საზოგადოება "აზოტის" პრივატიზების პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი სწორედ ახლა იწყება. დაახლოებით, ერთი თვის ვადაში მომზადდება და გაფორმდება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება. სამინისტროში ირწმუნებიან, რომ ეს პროცესი საჯარო იქნება და მასში ჩართულები იქნებიან: პარლამენტის წევრები, რუსთავის მერია, არასამთავრობოები და მასმედია.

"აზოტს" რუსთავის ბიუჯეტის რამდენიმემილიონიანი დავალიანება აქვს. რუსთავის საკრებულომ და მერიამ ქონების მართვის სამინისტროსაგან იმის გარანტია მოითხოვეს, რომ "იტერა" ამ ვალს დაფარავს, ხოლო ქარხნის სოციალურ-კულტურული ობიექტები (ურეკის, მანავის პანსიონატები, სპორტკომპლექსი, კულტურის სასახლე და ასე შემდეგ) ახალ მესაკუთრეს არ გადაეცემა. ქონების მართვის მინისტრის მოადგილემ გენო მალაზონიამ მათ ორივე პირობის შესრულება აღუთქვა.

"საბიუჯეტო დავალიანება გაწერილი იქნება სამ წელზე. არც ერთი სოც-კულტურული ობიექტი, რომელიც საწესდებო კაპიტალში შეტანილი არ არის, მასში არც ახლა შევა და, შესაბამისად, მათ "იტერა" ვერ მიიღებს," - განაცხადა მალაზონიამ რუსთავის მერიაში სტუმრობისას.

რუსთავის საკრებულომ იმის გამო, რომ მისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა "იტერას" მიერ სამინისტროში წარდგენილი ბიზნეს-გეგმა, ამ დოკუმენტის მოძიება და შეფასება ერთ-ერთ დამოუკიდებელ აუდიტორულ საკონსულტაციო ფირმას სთხოვა. ფირმის დირექტორის ირაკლი მაღრაძის თქმით, ბიზნეს-გეგმა საკმაოდ ზერელედ არის დაწერილი და ელემენტარულ მოთხოვნებს ვერ პასუხობს.

"მასში არ ჩანს ფინანსური წყაროები ანუ ის, თუ საიდან უნდა შემოვიდეს "აზოტში" ფული. უფრო მეტიც, იქ საერთოდ არაფერი წერია საწარმოს ვალების თაობაზე," - აცხადებს მაღრაძე. აუდიტორული ფირმის წარმომადგენელი საკმაოდ მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ დოკუმენტში ტერმინი "ინვესტიცია" გამოყენებული არ არის და მის ნაცვლად ყველგან "კრედიტია" ჩაწერილი. გენო მალაზონიას განმარტებით, "აზოტი" ფინანსურად ძალზე სავალალო მდგომარეობაშია და მასში ინვესტიციის ჩადება დიდ რისკთანაა დაკავშირებული. მისი თქმით, ამ შემთხვევაში ტერმინების ცვლილება საქმის არსს არ ცვლის.

ქონების მართვის სამინისტროსგან ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაზე ერთობლივი მუშაობის შეთავაზების შემდეგ რუსთავის მმართველობასა და თვითმმართველობაში შეწყვიტეს "აზოტისა" და "იტერას" მიმართ მკვეთრი განცხადებების გაკეთება. ერთადერთი ადამიანი, რომელიც "იტერას" დისკომფორტს ჯერ კიდევ უქმნის, "აზოტის" რეაბილიტაციის მმართველი ნიკოლოზ ბაკაშვილია. ნაახალწლევს ცნობილი გახდა, რომ მან "საქგაზის" წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა და "აზოტისადმი" არსებული 2,587 მილიონი დოლარის დავალიანების გადახდა მოითხოვა. ეს თანხა "აზოტს," როგორც გადამუშავების ღირებულება, ისე ეკუთვნის "საქგაზისაგან". სასამართლომ ვალის გადახდის ბრძანება გასცა და 3 იანვარს რეაბილიტაციის მმართველის მოთხოვნით დაყადაღდა "აზოტში" არსებული "საქგაზის" კუთვნილი გვარჯილა. იმავე დღეს "საქგაზმა" ეს გააპროტესტა.

"მათ თქვეს, რომ ქარხნის ამუშავებას აპირებდნენ და ყადაღის გამო ამას ველარ გააკეთებენ. ქარხანა შემოდგომიდან გაჩერებულია და, თურმე, ზუსტად ახლა უნდა აემუშავებინათ. ოღონდ მათ ქარხანა აამუშაონ და მეორე დღესვე ავხსენი ყადაღა გვარჯილას. ახლა "საქგაზს" ხელს არაფერი უშლის, თუმცა სასამართლო განჩინება კვლავ ძალაშია," - განაცხადა რეაბილიტაციის მმართველმა.

პარალელურად, "აზოტში" მუშაობა დაიწყო სამთავრობო კომისიამ, რომელსაც ქონების მართვის სამინისტრო ხელმძღვანელობს. კომისიამ უნდა შეისწავლოს, თუ როგორ დაუგროვდა ვალები ქარხანას, როგორ და რა პირობებში დაიდო "საქგაზთან" გადამუშავების ხელშეკრულება და ასე შემდეგ. სამთავრობო კომისიამ უკვე გამოითხოვა საჭირო დოკუმენტაცია და მისი დასკვნა რამდენიმე კვირაში მზად იქნება.

"24 საათი"

რკინიგზის აღდგენამ კიდევ ერთი ნაბიჯით დაგვაშორა აფხაზეთი

პირველი გვერდიდან

ვლადიმერ პაპავას. მისი აზრით, ადლერი-სოხუმის სარკინიგზო მონაკვეთზე მოძრაობის აღდგენა კონტრაბანდის ზრდაზე მნიშვნელოვან გავლენას არ იქონიებს. ასეთი საქონელი რუსეთიდან აფხაზეთის გავლით საქართველოში რკინიგზის გარეშეც უპრობლემოდ აღწევდა. **"უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ რკინიგზის ამოქმედებით აფხაზეთისთვის, ფაქტობრივად, რუსეთის ეკონომიკური სივრცე იხსნება, რომელიც გაცილებით მიმზიდველია აფხაზეთისთვის თავისი მასშტაბების გამო, ვიდრე ქართული ბაზარი; მით უმეტეს, მისი უამრავი პრობლემის გათვალისწინებით",** - აცხადებს პაპავა.

ამ მდგომარეობას ქართული ეკონომიკისთვის სერიოზული ნეგატიური შედეგების მომტანად მიიჩნევს სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე იოსებ არჩვაძეც. თუმცა, მისი განცხადებით, წლების განმავლობაში საქართველოს ეკონომიკას აფხაზეთში რკინიგზის ამოქმედების გარეშეც მნიშვნელოვანი ზარალი ადგება. **"რუსეთთან არსებული პრობლემების გამო დაუცველია ქვეყნის ეკონომიკური საზღვრები. რუსეთი ხელს უწყობს საქართველოში დემპინგური ფასებით საქონლის შემოტანას, რაც ანგრევს ქართულ ბაზარს, თავად რუსეთის ეკონომიკა კი ამით დამატებით სტიმულს იღებს",** - აცხადებს არჩვაძე. მისი შეფასებით, საქართველო, ჩრდილოელი მეზობლის ანექსიური ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით, ყოველწლიურად ორი მილიარდი დოლარით ნაკლებ მთლიან შიდა პროდუქტს აწარმოებს. სახელმწიფო ბიუჯეტი კი დაახლოებით 300 მილიონი დოლარის ოდენობის საგადასახადო შემოსავლებს კარგავს, რაც ქვეყნის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ამჟამინდელ ოდენობას თითქმის უტოლდება.

არჩვაძის ინფორმაციით, თავის დროზე აფხაზეთის რკინიგზის დაახლოებით 200 - კილომეტრიანი ხაზის მომსახურე პერსონალის 90-95 პროცენტს ქართველები შეადგენდნენ. ახლა კი სავსებით რეალურია, რომ ამ ხაზის ინფრასტრუქტურის მომსახურებისთვის კადრები რუსეთიდან ჩამოვლენ. **"თუ რკინიგზა, რომელიც ახლა სოხუმამდე ამოქმედდა, ოჩამჩირემდე და გალამდეც გაიხსნება, ქართველი ლტოლვილების აფხაზეთში დაბრუნება წარმოუდგენელი გახდება. ამიტომ, ვინც რკინიგზას გააკონტროლებს, აფხაზეთის კონტროლიც მის ხელში აღმოჩნდება",** - მიაჩნია არჩვაძეს.

საკმაოდ ოპტიმისტურად არის განწყობილი "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორი აკაკი ჩხაიძე. როგორც მან "24 საათს" განუცხადა, ტექნიკური თვალსაზრისით, რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია და მასზე მოძრაობის აღდგენამ, შესაძლოა, ავარიული შემთხვევები გამოიწვიოს. ჩხაიძის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რუსეთთან თავისი პოზიციის გატანა მეტად გაუჭირდება, ადლერი-სოხუმის რეისი უახლოეს მომავალში მაინც გაუქმდება, ოღონდ არა ზემოხსენებული ტექნიკური, არამედ პოლიტიკური მიზეზების გამო.

იოსებ არჩვაძის თქმით კი, გამართლებული იქნება, თუ აფხაზეთის პრობლემის მოგვარებისთვის საქართველო რუსეთს შესთავაზებს ამ ქვეყნისთვის საინტერესო, გრძელვადიან ეკონომიკურ პროექტებში მონაწილეობას. ეს პროექტები სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის აზრით, ძირითადად, ტურისტულ სფეროს შეიძლება შეეხებოდეს. **"უნდა ვიფიქროთ აფხაზეთის იმ ობიექტებზე, რომლებიც შესაძლებელია, რომ გრძელვადიანი იჯარით, თუნდაც სიმბოლურ ფასად გადაეცეს რუსეთს და ამით მისი ინტერესები დაკმაყოფილდეს",** - აცხადებს არჩვაძე.

გასხვავებული აზრი აქვს ვლადიმერ პაპავას. მისი თქმით, რუსეთმა აფხაზეთში სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენით დაარღვია დსთ-ს ფარგლებში აფხაზეთის ეკონომიკურ ბლოკადასთან დაკავშირებით გაფორმებული შეთანხმება. ამიტომ პაპავა მომხრეა, რომ საქართველომ ეს ფაქტი აქტიურად გააპროტესტოს, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში დსთ-დან გასვლის თაობაზე გააკეთოს განცხადება.

მიწის მესაკუთრეთა უფლებები მთავრობის უუნარობის გამო ილახება

სოფიკო ოხანაშვილი

ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროებისა და მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ორგანიზაციულ-სტრუქტურული პრობლემების, კადრების დაბალი კვალიფიკაციისა და მწირი დაფინანსების გამო, ფერხდება საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების ექვსი პროექტის განხორციელება. ისინი მიწისა და უძრავი ქონების კადასტრისა და რეგისტრაციის სფეროში მუშაობენ. თუ სახელმწიფო სარეგისტრაციო სისტემაში არსებულ პრობლემებს დროულად ვერ მოაგვარებს, საერთაშორისო ორგანიზაციებმა შეიძლება შეწყვიტონ პროექტების განხორციელება. რეალურად შეუსრულებელი დარჩება დონორების მთავარი მიზანი – უფლებათა რეგისტრაცია და გარანტირებული დაცვა, მარტივი და მოქნილი სარეგისტრაციო სისტემის ჩამოყალიბება, უძრავი ქონების ბაზრის განვითარება. ამის შესახებ მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა ჯაბა ებანოიძემ ჟურნალისტებს გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განუცხადა, რომელსაც საქართველოში მოქმედი პროექტების (UNDP, WB, KFW, GTZ) წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

ბესო ბესელიას ფოტო

მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის პრესკონფერენცია

"უნდა განხორციელდეს მიწის კადასტრი, უნდა მოხდეს უკვე აღრიცხულ და შემოწმებულ ქონებაზე უფლების რეგისტრაცია, სახელმწიფომ უნდა დაიცვას საკუთრების უფლება და საქართველოში უნდა ჩამოყალიბდეს მიწის ბაზარი", - ასე ჩამოაყალიბა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის მოთხოვნები ჯაბა ებანოიძემ. მისი თქმით, ამის მისაღწევად სარეგისტრაციო სისტემაში ამჟამად არსებული პრობლემების დაძლევაა აუცილებელი. ებანოიძემ საერთაშორისო ორგანიზაციების პროექტების განხორციელების შემაფერხებელ გარემოებებზე შეაჩერა ყურადღება. **"ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროებსა და სახელმწიფო დეპარტამენტს შორის არის სერიოზული დაპირისპირება, არ ხდება მათ შორის ინფორმაციის გაცვლა. ამის გამო, ამ პროექტებს ექმნებათ სერიოზული პრობლემა და ისინი ვერ ახორციელებენ ქალაქის ტერიტორიაზე სისტემურ რეგისტრაციას",** - აღნიშნა მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა. უწყებრივი დაპირისპირების მიზეზად კი, ებანოიძემ უფლებათა რეგისტრაციის უფლება დაასახელა. მისი თქმით, 1997 წლამდე უფლების რეგისტრაციას ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროები ახორციელებდნენ, ხოლო სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ კანონის მიღების შემდეგ ეს ფუნქცია მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტს გადაეცა. ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროებს კი, რომლებიც ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაში იმყოფებიან, არ სურთ დათმონ რეგისტრაციის უფლება.

მეორე პრობლემა, რაც ასევე აფერხებს პროექტების განხორციელებას, პრესკონფერენციის ორგანიზატორების თქმით, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელთა ძალიან დაბალი კვალიფიკაცია და დეპარტამენტის მწირი დაფინანსებაა. თუმცა ებანოიძის განცხადებით, ეს არ არის არგუმენტი, რომ "მათ თავისი ვალდებულება არ შეასრულონ".

საერთაშორისო ორგანიზაციების პროექტები სახელმწიფოს დაკვეთით ხორციელდება. მათი მთავარი მიზანია არა ცალკეული ნაკვეთების, არამედ სისტემურად მთელი ტერიტორიის მოცვით აიზომოს, დადგინდეს - რეალურად რისგან შედგება ქონება და აღირიცხოს ყველა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს - აქვს თუ არა კონკრეტულ უძრავ ქონებაზე კონკრეტულ პიროვნებას რეალური უფლება. პროექტის ფარგლებში ხდება ყველა მონაცემის შეგროვება, რომელიც შემდეგ გადაეცემა იმ უწყებას, რომელმაც უნდა დაარეგისტრიროს უძრავი ქონება.

მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტიის თქმით, საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა აიძულონ ხელისუფლება, მან კი - ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროები, რომ დაემორჩილონ სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ კანონს: **"ეს ბიუროები ვალდებულები არიან, სისტემური რეგისტრაციის სფეროში მომუშავე ორგანიზაციებს უსასყიდლოდ მისცენ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია."** ებანოიძემ მეორე გამოსავალზეც ისაუბრა. ის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროებისა და მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ერთ უწყებად გაერთიანებას ითვალისწინებს.

მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით შეიქმნა სპეციალური კომისია. მათ შეიმუშავეს კონცეფცია: პირველ რიგში, უნდა გადაწყდეს ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროების საკითხი და აუცილებლად უნდა მოხდეს მიწის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სტრუქტურული და ფუნქციური რეორგანიზაცია, ამ უწყების თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება, ახალი კადრების მოზიდვა.

2002 წლის 26 დეკემბერს მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციამ წერილობით მიმართა საქართველოს პრეზიდენტსა და სახელმწიფო მინისტრს, რათა მთავრობამ დროულად მოაგვაროს საკადასტრო და სარეგისტრაციო სისტემაში არსებული პრობლემები. წინაღმდეგ შემთხვევაში, უკვე ჩატარებული სამუშაოებიც "წყალში ჩაყრილი" გამოვა, რადგან მოძიებული ინფორმაცია დროთა განმავლობაში მოძველდება. ცნობისათვის, ამ დროისთვის უკვე 40-50 მილიონი დოლარის სამუშაოა განხორციელებული.

ბადრი ზარანდიას მკვლელობის ვერსიები

პირველი გვერდიდან

ბადრი ზარანდიას მკვლელობის ადგილზე

თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაციისგან განსხვავებით, ზუგდიდის პოლიცია გუშინ აცხადებდა, რომ ბადრი ზარანდია ორმა ადამიანმა მოკლა. ისინი ნიღბებით იყვნენ და სამხედრო ფორმები ეცვათ. ზარანდიას სხეულზე ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ხუთი ჭრილობა აღენიშნება, რომელთაგან, ექსპერტის დასკვნით, ოთხი სასიკვდილოა. ზარანდიას თანმხლებ ქალბატონს, რომელიც კაფეში სროლის შედეგად ფეხში დაიჭრა, ზუგდიდის საავადმყოფოში ოპერაცია გაუკეთდა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. სხვათა შორის, არაოფიციალურად გავრცელებული ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, მკვლელობის მოტივი, შესაძლოა, ეს ქალიც ყოფილიყო. თუმცა, ზუგდიდის პოლიციაში კატეგორიულად უარყოფენ ქალის გამო მკვლელობის შესაძლებლობას. სამართალდამცველები ასევე გამორიცხავენ, ყაჩაღობის მოტივით ბადრი ზარანდიას მკვლელობას, რადგანაც მისი ავტომობილი, რომელიც კაფესთან იდგა, ბოროტმოქმედებმა ხელუხლებელი დატოვეს. გამოძიება ნაკლებ სავარაუდოდ მიიჩნევს პოლიტიკურ ნიადაგზე მკვლელობასაც, მაგრამ ამ მიმართულებით გარკვეულ სამუშაოს მაინც ატარებს.

რას გულისხმობს მკვლელობის ოფიციალურად გახმაურებული ვერსიები

ბადრი ზარანდიას მკვლელობიდან მეორე დღეს სამართალდამცველებმა საჯაროდ გაახმაურეს ის ვერსიები, რომელთა შესახებაც მკვლელობის ღამით მხოლოდ ჭორის დონეზე საუბრობდნენ. კერძოდ, გუშინ ზუგდიდის პროკურორმა მებრძოლი ჭკადუამ განაცხადა, რომ გამოძიება ერთდროულად რამდენიმე ვერსიაზე მუშაობს. მათ შორისაა ზარანდიას კონფლიქტი ტყეში გახიზნულ ზვიადისტთა ჯგუფთან, იარაღით ვაჭრობა და კონფლიქტი აფხაზებთან.

ოფიციალურად გავრცელებულ ამ ვერსიებს სხვადასხვა ინფორმაცია უდევს საფუძვლად, რის შესახებაც სამართალდამცველები საუბარს ერიდებიან. თუმცა, სანდო წყაროს ცნობით, იარაღით ვაჭრობისა და აფხაზებთან კონფლიქტის ვერსიები ერთმანეთთან უშუალო კავშირშია. გარკვეული ხმების თანახმად, ბადრი ზარანდია იარაღის უკანონო ბიზნესში გარკვეულ მონაწილეობას იღებდა. აქედან გამომდინარე, იგი ამ სფეროში მოღვაწე არაერთი ჯგუფის ინტერესებს დაუპირისპირდა. ამ ჯგუფებში უმეტესწილად ზოგიერთ პარტიზანულ დაჯგუფებას გულისხმობენ. გარდა ამისა, იმასაც ამბობენ, რომ ბიზნესის წარმოებისას ზარანდიას აფხაზების სოლიდური ვალი დაედო. ეს ინფორმაცია ზუგდიდში ჭორად დადის და, სავარაუდოდ, პროკურორის მიერ გამოთქმული ვერსიის მასაზრდოებელი ერთადერთი წყაროა.

რა კავშირს ხედავს გამოძიება ტყეში გახიზნულ "ზვიადისტთა" ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულებსა და ბადრი ზარანდიას მკვლელობას შორის, კიდევ უფრო ბუნდოვანია.

ეს ვერსია ძალზე შორს მიდის და პრეზიდენტის წინააღმდეგ 1998 წლის 9 თებერვალს განხორციელებული ტერაქტის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს უკავშირდება.

როგორ ჭდება ზარანდიას მკვლელობა დანაშაულებრივ ჯაჭვში

მოვლენებს, რომელიც პრეზიდენტის წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტის შემდეგ სამეგრელოში განვითარდა, მოულოდნელი და საეჭვო დასასრული ნამდვილად ჰქონდა. მაშინ, ტერაქტის ორგანიზებასა და მონაწილეობაში ბრალდებულმა რამდენიმე პირმა ზუგდიდში გაერო-ს მისიის ოთხი წარმომადგენელი გაიტაცა. დანაშაულებრივ ჯგუფს გოჩა ესებუა ხელმძღვანელობდა. სოფელ ჯიხაშკარში უცხოელების დატყვევება ერთგვარ შოუდ იქცა. მაშინ ეს ინციდენტი სრულიად მოულოდნელად დასრულდა – მძევლები რიგ-რიგობით გაათავისუფლეს და ერთ-ერთი მძევალი ჯერ კიდევ ტყვეობაში იმყოფებოდა, როცა თავად ესებუა რამდენიმე თანმხლებთან ერთად ისე გაიქცა, რომ თანამოაზრეთა უმეტესობა გაურკვეველ მდგომარეობაში დატოვა. არანაკლებ მოულოდნელი იყო ამ დარჩენილი ტერორისტების სამართალდამცველთა ხელში აღმოჩენა. მაშინ თვითმხილველები ჰყვებოდნენ, როგორ ჩამოიყვანეს ძალოვნებმა ტერორისტები ზუგდიდში ისე, რომ მათთვის იარაღიც კი არ ჩამოურთმევიათ და შემდეგ, ყოველგვარი გამოძიების გარეშე გაათავისუფლეს - შემოირიგეს. რამდენიმე ხანში მალვაში მყოფი ესებუას მიგნება და მისი ადგილზე ლიკვიდაცია ესებუასვე თანამებრძოლებმა ღალატით ახსნეს. სწორედ მოღალატეებზე შურისძიების აქტად იქნა აღქმული ზუგდიდში, გოჩა ესებუას დაკრძალვაზე მისი თანამოაზრის, ზურაბ შონიას აფეთქება. ამ აფეთქების შედეგად, შონიას გარდა, ხუთი ადამიანი დაიღუპა. ამ შურისძიების ავტორად კი ყველამ ესებუასთან ერთად ჯიხაშკარიდან გაქცეული აქტივისტი ზვიადისტი, პრეზიდენტის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის განხორციელებაში დადანაშაულებული პირი, მეტსახელად "კინგ-კონგა" მიიჩნია. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "კინგ-კონგა", რომელსაც სამართალდამცველები უმძიმესი ბრალდებებით ეძებენ, მას შემდეგ სამეგრელოს ტყეებს აფარებს თავს.

საიდან წარმოიშვა ვერსია ბადრი ზარანდიას შურისძიების მიზნით მოკვლის შესახებ და საერთოდ, რა კავშირს ხედავენ სამართალდამცველები ზემოთნაამბობ მოვლენებსა და ბადრი ზარანდიას შორის? მიუხედავად იმისა, რომ ბადრი ზარანდიას ამ ამბების მონაწილე თითქმის ყველა პირთან სამოქალაქო ომისდროინდელი მჭიდრო კონტაქტები აკავშირებდა, ეს ვერსია საეჭვო იმდენად გახლავთ, რამდენადაც ზარანდია 1998 წელს ჯერ კიდევ სასჯელს იხდიდა. თუმცა, როგორც სარწმუნო წყაროდან შევიტყვეთ, ამ ვერსიას საფუძვლად უდევს სამართალდამცველთა მუშაობის მაშინდელი მეთოდები, ანუ, როცა სასჯელაღსრულების დაწესებულებები ჯერ კიდევ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში იყო და პატიმრების მეშვეობით პოლიცია არაერთ ოპერაციას ახორციელებდა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი საუბარია იმაზე, თითქოს, სამართალდამცველებმა ჯიხაშკარის პრობლემის მოგვარებაში ციხიდან ბადრი ზარანდია ჩართეს.

მკვლელობა პოლიტიკური მიზნით

ბადრი ზარანდიას მკვლელობა პოლიტიკურად მკვლელობის ღამესვე მონათლეს ზარანდიას ახალმა პოლიტიკურმა პარტნიორებმა, კერძოდ, ჯაბა იოსელიანმა და ახალშექმნილი "საქართველოს პატრიოტთა კავშირის" სხვა წევრებმა. გუშინ უკვე მათ მკვლელობის კონკრეტული შემკვეთების ვინაობაც დაასახელეს და ეჭვი მოწინააღმდეგე ძალაზე – ნაციონალურ მოძრაობაზე მიიტანეს. პატრიოტთა კავშირის ერთ-ერთი ლიდერის დოდო გუგეშაშვილის თქმით, "ნაციონალები" საპარლამენტო არჩევნების წინ სამეგრელოს რეგიონში გავლენის გაძლიერებას ცდილობენ, რაშიც მათ ხელს სწორედ "პატრიოტთა კავშირის" აქტივისტი ზარანდია უშლიდა. თავად ნაციონალური მოძრაობის ლიდერები ამ ბრალდებას "სრულ უაზრობას" უწოდებენ და თვლიან, რომ იგი ხელისუფლებიდან მოდის. მეტიც, "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი კოტე კემულარია არ გამორიცხავს, რომ ბადრი ზარანდიას მკვლელობა სწორედ ხელისუფლების დაკვეთა იყო. სხვათა შორის, მის ვარაუდს იზიარებს გამსახურდიას მომხრეთა ერთ-ერთი ფრთის ლიდერი ნემო ბურჭულაძეც. მისი თქმით:

"შევარდნაძე ის მეთევზეა, რომელიც თევზის დაჭერას მხოლოდ მღვრიე წყალში ახერხებს. მისთვის მთავარია, ქვეყანაში წინასაარჩევნო გარემო არ შეიქმნას და არჩევნები ჩაიშალოს. ბადრი ზარანდიას მკვლელობაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება".

ამასობაში ზუგდიდში არეულობის ტალღა მართლაც გორდება. გუშინ იქ ჩასულ ჯაბა იოსელიანსა და პატრიოტთა კავშირის სხვა ლიდერებს მათი ორგანიზაციის წევრები დარაზმულები დახვდნენ. ისინი თანამებრძოლის მკვლელობის გამო ანგარიშსწორებით იმუქრებიან.

თავად ზუგდიდში ჩასულმა ჯაბა იოსელიანმა ბადრი ზარანდიას მკვლელობის შემკვეთებად ზურაბ ჟვანია და მიხეილ სააკაშვილი დაასახელა და თქვა, რომ უშუალო შემსრულებლების ვინაობაც იცის. საიდუმლოს ის ჯერ გენერალურ პროკურორსა და შს მინისტრს გაუმხელს და თუ მათგან შესაბამისი რეაგირება არ გაკეთდა, პატრიოტთა კავშირი მკვლელების დასჯას საკუთარ თავზე იღებს.

და ბოლოს, აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების გამო დღეს დევნილთა საპროტესტო აქციის მონაწილენი ზუგდიდში ათიათასკაციანი მიტინგის ჩატარებას გეგმავდნენ. ბადრი ზარანდიას მკვლელობის გამო მიტინგი გაურკვეველი ვადით გადაიდო.

კიდევ ერთი მკვლელობა კახეთში

შობა-ახალი წლის სადღესასწაულო სუფრებს კახეთის რეგიონში კიდევ ერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში, 7 იანვარს, საღამოს, ნასვამ მდგომარეობაში მყოფ ახალგაზრდებს შორის დაწყებული შელაპარაკება და გაწევ-გამოწევა მკვლელობით დასრულდა. თუმცა, მოკლული, ჩხუბის მონაწილე კი არა, გამშველებელი აღმოჩნდა.

შვილის დასახმარებლად ხელჩართულ ჩხუბში ჩარეულ ელდარ ასაბაშვილს მოჩხუბრებმა მჭრელი, ბასრი საგნით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს და გაიქცნენ. დაჭრილია გარდაცვლილის შვილიც – ვალერი ასაბაშვილი.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, შობის დღესასწაულზე მომხდარი მკვლელობის საქმე ჯერ გაუხსნელია, თუმცა, როგორც ყვარლის რაიონის პროკურატურაში აცხადებენ, მკვლელობაში ეჭვმიტანილები, უკვე დადგენილი ჰყავთ და საქმეც უახლოეს დღეებში გაიხსნება.

პატიმრის სისხლით დაწერილი ბარათი

ბექა სისაური,

ქუთაისის მეორე საპყრობილეს პატიმარმა ლევან გაბუნიამ მართლმსაჯულების მიმართ უცნაური პროტესტი გამოხატა. გუშინ მან ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს მამუკა მამალაძეს საკუთარი სისხლით დაწერილი წერილი გაუგზავნა. წერილი 40 სიტყვისგან შედგება და მასში გაბუნია საოლქო სასამრთლოს თავმჯდომარისგან მისი სააპელაციო საჩივრის დროულად განხილვას მოითხოვს. ლევან გაბუნია ქუთაისის საქალაქო სასამართლომ უკვე გაასამართლა და ხულიგნობისთვის მას ოთხი წლით თავისფლების აღკვეთა მიუსაჯეს. თუმცა, მსჯავრდებული თავს უდანაშაულოდ თვლის და პროტესტის ზემოთაღნიშნულ ფორმასთან ერთად საპყრობილეში შიმშილობასაც აგრძელებს. გაბუნიას სააპელაციო საჩივარი და სისხლიანი წერილი საოლქო სასამართლომ გუშინვე მიიღო. ასე რომ ჯერჯერობით უცნობია, როდის გაიმართება სასამართლო პროცესი.

მოკლედ

ვაშინგტონი.. საქართველო გამოირიცხა იმ ქვეყნების "შავი სიიდან", სადაც ადამიანებით უკანონო ვაჭრობა ყვავის. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების ხელმძღვანელის ჯონ მილერის განცხადებით, დედამიწის არც ერთი ადგილი არაა დაცული ჩვენს დროში ისეთი ველური გამოვლინებისგან, როგორიც ტრეფიქინგია.

"ამჟამად "შავ სიაში" შესული არიან - რუსეთი, სომხეთი, ავღანეთი, ბახრეინი, ბელორუსი, ბოსნია, კამბოჯა, საბერძნეთი, ინდონეზია, ირანი, ყირგიზეთი, ლიბანი, კატარი, საუდის არაბეთი, სუდანი, ტაჯიკეთი, თურქეთი და არაბთა გაერთიანებული საემიროები. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს გენერალური პროკურორი წინასწარი გამოძიების ვადის დასრულებამდე მზად არის დაელოდოს რუსეთიდან დამატებით მასალებს და შემდეგ გადაწყვიტოს სამი ჩეჩენის ექსტრადიციის საკითხი. როგორც ნუგზარ გაბრიჩიძე აცხადებს, პროკურატურა, ჯერჯერობით, საგამოძიებო ვადებში არ იზღუდება.

რამდენიმე კვირის წინ ნუგზარ გაბრიჩიძე აცხადებდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთიდან საკმარის მასალებს არ მიიღებდა, სამ ჩეჩენს ქართული კანონმდებლობით გაასამართლებდნენ. გენერალური პროკურორის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ მასალები არ იქნება, მისი სიტყვები ძალაში დარჩება. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი - საქართველოში პროკურატურის თანამშრომელთა გამოცდები გრძელდება. პირველი ტურის მესამე ეტაპს, რომელიც 25 იანვრისთვისაა დაგეგმილი, 250 პროკურორი გაივლის. 100 კითხვაზე საპასუხოდ პროკურორებსა და პროკურატურის გამომძიებლებს 6 საათი ეძლევათ, გამსვლელი ქულის დასაგროვებლად მათ, მინიმუმ, 75 კითხვას უნდა უპასუხონ. საქართველოს სამართალდამცველი სტრუქტურების რეფორმირების ფარგლებში პროკურატურის თანამშრომელთა გამოცდები 2004 წლამდე გაგრძელდება. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს სამოსამართლო სწავლების ცენტრი 2003 წელს 300 მოსამართლეს სპეციალიზებულ სასწავლო სემინარებს ჩაუტარებს, რომელთა თემა ადმინისტრაციული კოდექსი და ადმინისტრაციული პროცესი იქნება.

,წლის განმავლობაში ცენტრი, ამერიკის იურისტთა ასოციაციასთან ერთად, მოსამართლეებს სპეციალურ სემინარებს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის თემებზეც ჩაუტარებს. სემინარი იმ პრობლემების გადაწყვეტის გზებს მიეძღვნება, რომლებიც სასამართლო საქმიანობის პროცესში წარმოიშობა. ამ პრობლემატიკის განსასაზღვრად სამოსამართლო სწავლების ცენტრმა ყველა სასამართლოში კითხვარები გააგზავნა. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. ერთი თვის განმავლობში თავმჯდომარის გარეშე დარჩენილი საოლქო სასამართლოს ხელმძღვანელად, შესაძლოა, საქართველოს უშიშროების საბჭოს თანამშრომელი მაია მწარიაშვილი დაინიშნოს. ერთი წლის განმავლობაში მწარიაშვილი იმ კომისიის მდივანი იყო, რომელმაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ლადო ჭანტურიას ხელმძღვანელობით, სამართალდამცველი და უშიშროების ორგანოების რეფორმირების პროექტი შეიმუშავა. საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე მასთან ერთად ორი სხვა კანდიდატურა, მათ შორის - შს მინისტრის მოადგილე შოთა ასათიანი და გენერალური პროკურორის მოადგილე ვენედი ბენიძე განიხილება. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

ქუთაისი. ქუთაისის პოლიციამ დააკავა 21 წლის ბორის მჟავანაძე, რომელიც ორ თანამზრახველთან ერთად ყაჩაღურად თავს დაესხა იზოლდა მიქაძის ოჯახს და ხელყუმბარის მუქარით გაიტაცა ოქროულობა და საოჯახო ნივთები. ამოღებულია ერთი ხელყუმბარა „ფ-1". **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი საგამოძიებო დეპარტამენტის მარნეულის განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ყაჩაღობისათვის ძებნილი, 31 წლის ბახტირ იუსუბოვი, რომელიც 2000 წლის დეკემბერში თანამზრახველებთან ერთად თავს დაესხა მარნეულში მცხოვრებ მადალოვისა და მამედოვის ოჯახებს და გაიტაცა სხვადასხვა ძვირფასეულობა. **მედია-ნიუსი**.

■ ■ ■

თბილისი. კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა საბაჟო წესების დარღვევის ფაქტზე ამხილეს 38 წლის ნაზიმ სულეიმანოვი, რომელმაც აზერბაიჯანიდან საქართველოში საბაჟო-გამშვებ პუნქტ „წითელი ხიდის" გავლით განბაჟების გარეშე შემოიტანა დაახლოებით 2.400 კგ საავტომობილო ზეთი. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. მოქალაქეების ხვიჩა კიკნაძისა და გურამ ჯავახიშვილის ცემის ფაქტთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე ინტენსიური გამოძიება მიმდინარეობს. ყველა პირობა არის შექმნილი იმისათვის, რომ დამნაშავეები დაისაჯონ, - აცხადებენ თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურატურაში.

კიკნაძე და ჯავახიშვილი ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაში თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციელებს, მათ შორის - პოლიციის უფროსის მოადგილეს, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ვაჟს, გიორგი გამსახურდიას ადანაშაულებენ.

საქმეში არსებობს ექსპერტის დასკვნა, რომელიც ადასტურებს, რომ კიკნაძეს და ჯავახიშვილს სხეულის დაზიანებები ჰქონდათ.

პოლიციელთა შს სამინისტროს სისტემიდან დათხოვნის საკითხს შს სამინისტროს გენერალური ინსპექცია მას შემდეგ განიხილავს, რაც პროკურატურა საქმის გამოძიებას დაასრულებს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. თბილისში მოკლული რუსი პოლკოვნიკის იგორ ზაიცევის საქმე ორ-სამ დღეში საოლქო სასამართლოში წარიმართება. იგორ ზაიცევი თბილისში გასული წლის აგვისტოში მოკლეს. მკვლელობაში ბრალდებული რუსეთის არმიის ოფიცერი, საქართველოს მოქალაქე დავით გაზაშვილია, რომელსაც აღმოაჩნდა როგორც ზემდეგის, ასევე კაპიტნის ჩინები. ვაკე-საბურთალოს სასამართლომ ეჭვმიტანილ დავით გაზაშვილს დაკავებისთანავე 3-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. დავით გაზაშვილს, გარდა მკვლელობისა, ბრალად ედება იარაღის უკანონო ტარება და შენახვა. **კავკას-პრესი.**

გატაცებული ვიცე-პოლკოვნიკი ცოცხალია

ხათუნა ჭანგირაშვილი

ის, რომ ზურაბ დურგლიშვილი ცოცხალია, ერთადერთი დამამშვიდებელი ინფორმაციაა, რომლითაც სამართალდამცველებმა გატაცებულის დედას შიმშილობის დაწყება გადააფიქრებინეს.

გუშინწინ, შიდა ქართლის უშიშროების სამსახურის უფროსთან და ცხინვალის პროკურორთან შეხვედრის შემდეგ, ხუთი თვის წინ გატაცებული, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების ბატალიონის მეთაურის, ზურაბ დურგლიშვილის დედამ და მისმა ახლობლებმა შიმშილობა შეწყვიტეს. არადა, რაიონული გამგეობის შენობის წინ დილიდან შეკრებილი მოშიმშილეები იმუქრებოდნენ, რომ აქციას არ შეწყვეტდნენ მანამ, სანამ უგზოუკვლოდ გაუჩინარებული ვიცე-პოლკოვნიკის ადგილ-სამყოფელის დასადგენად ხელისუფლება და ძალოვანი სტრუქტურები შესაბამის ზომებს არ მიიღებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე თვის წინ დაკარგული დურგლიშვილის ახლობლებს გატაცებულის შესახებ ძალოვანებისგან ახალი არაფერი გაუგიათ, როგორც ჩანს, მათ შორის შეთანხმება მაინც შედგა და შიმშილობის აქციაც შეხვედრა-მოლაპარაკებისთანავე შეწყდა.

"დაკარგული ვიცე-პოლკოვნიკის დედას გამოძიებასთან პრეტენზია არ ჰქონია, რადგან კარგად იცის, რომ ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ – ღია საგამოძიებო მოქმედებები მთლიანად ამოვწურეთ. საქმისთვის საჭირო უმნიშვნელო დეტალების დადგენისთვის უამრავი ხალხი დავკითხეთ. საგამოძიებო მოქმედებებში თავად დაკარგულის დედა და მათი ოჯახის ახლობლებიც გვეხმარებოდნენ. მათი არც ერთი მოთხოვნა უყურადღებოდ არ დაგვიტოვებია", - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ცხინვალის პროკურორმა გურამ ბაბუციძემ, რომლის თქმითაც, ახლა უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ჯერია, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარების თვალსაზრისით.

"ისეთი მძიმე დანაშაულის გამოძიება, როგორიც ადამიანის გატაცებაა, ერთი ამოსუნთქვით არ შეიძლება დასრულდეს. ასეთ შემთხვევებში უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცსამსახურები თანამშრომლობენ გამოძიებასთან. ჩვენ უკვე მათ ოპერატიულ ინფორმაციებს ვუცდით. მათ კი ისეთი სპეციფიური სამუშაოები აქვთ ჩასატარებელი, ყველა დეტალი და ყველა ინფორმაცია -გადასამოწმებელი, რომ ადვილი არ არის სასწრაფოდ მოგვაწოდონ გამოძიებისთვის საჭირო უტყუარი ოპერატიული ინფორმაცია", - აცხადებს ცხინვალის პროკურორი, რომელიც ოსური მხარის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან, სოფელ წუნარიდან გატაცებული ვიცე-პოლკოვნიკის ლიკვიდაციას გამტაცებელთა მხრიდან თითქმის გამორიცხავს, რადგან მისი აზრით, "ვინმეს რომ ზურაბ დურგლიშვილის მოკვლა სდომებოდა, იქვე უპრობლემოდ ჩაიდენდა ამ დანაშაულს", - ასეთია ცხინვალის პროკურორის ვერსია.

ზურაბ დურგლიშვილის გატაცებისა და დაკარგვის დღიდან გამოძიება რამდენიმე ვერსიაზე ერთდროულად მუშაობდა. მათ შორის იყო ვერსიაც იარაღის უკანონო ბიზნესში დურგლიშვილის მონაწილეობის შესახებ. გურამ ბაბუციძე გამოძიების ხელთ არსებულ ძირითად ვერსიებს არ აკონკრეტებს, თუმცა ამბობს, რომ თითქმის ყველა ვერსია, რომელზეც კი გამოძიებამ თავდაპირველად მუშაობა დაიწყო, გადამოწმების შემდეგ მოიხსნა. მისივე თქმით, დურგლიშვილის დაკარგვის საქმესთან დაკავშირებით, ოსი ეროვნების უამრავი ადამიანი იყო დასაკითხი, რაშიც ცხინვალელმა კოლეგებმა გაუწიეს დახმარება.

რაც შეეხება ოს და ქართველ სამართალდამცველებს შორის გუშინ ცხინვალში ჩატარებულ ტრადიციულ ხუთშაბათის შეხვედრაზე მიღწეულ შეთანხმებას ინფორმაციის გაცვლის თაობაზე, ამაში ახალი თითქმის არაფერია. სიტყვიერად ასეთი შეთანხმებისთვის არაერთხელ მიუღწევიათ, თუმცა რეალურად იგი იშვიათად ხორციელდება. აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ გუშინდელ შეხვედრაზე ოსურმა მილიციამ აქეთ მოსთხოვა ქართველ სამართალდამცველებს ოსი ეროვნების მოქალაქეების დაკავების თაობაზე საქმის კურსში ჩაყენება.

"ჩვენ თითქმის ყოველ შეხვედრაზე ვაყენებდით ამ საკითხს, რადგან მძიმე დანაშაულის ჩამდენი კრიმინალები მასიურად აფარებენ თავს ცხინვალის რეგიონს. ინფორმაციის გაცვლასა და ურთიერთთანამშრომლობაზე უარი ოს კოლეგებს არსდროს უთქვამთ, თუმცა საქმით ამას ვერ მივაღწიეთ. ვნახოთ, რას იზამენ ისინი ამის შემდეგ, რადგან გუშინდელ ტრადიციულ შეხვედრაზე უკვე ოფიციალური ვალდებულება აიღო ორივე მხარემ. შეთანხმების მიხედვით, ქართველების დაკავების შემთხვევაში, ოსურმა მხარემ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს ქართველ სამართალდამცველებს", – აცხადებს გურამ ბაბუციძე.

ინფორმაცია

კეთილი ადამიანები თოვლის ბაბუის ნაცვლად

დიღმის ნომერ პირველ ბავშვთა სახლში 110 ბავშვი ცხოვრობს, ბევრს მშობელი ყავს, თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო, მათი უმრავლესობა შვილებს არ ნახულობს. ცამეტი წლის მარის დედა სამი წლის წინათ გარდაეცვალა, მამა რუსეთში წავიდა და მარი მას ყოველდღე ელის. ის იმედს არ კარგავს, რომ მამა აუცილებლად მონახავს და სახლში წაიყვანს.

ახალი წლის დღეებში ბავშვების მოლოდინი იზრდება, ისინი არამარტო მშობლებს, არამედ კეთილ ადამიანებსაც ელოდებიან, რომლებიც მოწყალებას გაიღებენ და საახალწლო საჩუქრებს დაურიგებენ.

დიღმის ბავშვთა სახლი გუშინ, პარლამენტარმა გია ბარამიძემ მოინახულა და ბავშვებს საშობაო საჩუქრები დაურიგა. მოზარდები ტკბილეულობაზე მეტად, მუსიკალური ცენტრის გადაცემამ გაახარა. როგორც თავად თქვეს, დიდი ხანია, რაც დისკოთეკის მოწყობაზე ოცნებობდნენ. ბავშვთა სახლის დირექტორმა ნონა მაღრაძემ გვითხრა, რომ ეს საჩუქარი ბავშვებისთვის პირველი არ ყოფილა. გია ბარამიძის ხელშეწყობით, დიღომში ორი საცხოვრებელი სახლი შენდება, სადაც ბავშვთა სახლში გაზრდილი მოზარდები დაბინავდებიან. შენობაში ოთხი ოჯახი იცხოვრებს, თითოეულში ექვსი ბავშვი იქნება გაერთიანებული.

საახალწლოდ, საავიაციო ქარხანამ ბავშვთა სახლს სამი თვის გათბობის ფული და ოთხი კომპიუტერი აჩუქა. ამას გარდა, გადასცა ხუთასი ლარი, რომლითაც ბავშვებს საახალწლო სუფრა და საჩუქრები გაუკეთეს. თოთხმეტი წლის კახამ გვითხრა, რომ მართალია, საახალწლოდ მათთან თოვლის ბაბუა არ მისულა, სამაგიეროდ, სუფრაზე გოზინაყი და გოჭის ხორცი ჰქონდათ, რითაც, სხვა დროს ნამდვილად არ არიან განებივრებულები. ბავშვები არც განათლების სამინისტრომ დაივიწყა და ისინი ნაძვის ხის ზეიმზე მიიპატიჟა.

"24 საათი"

თათბირი სტიქიის წინააღმდეგ

ცაგერის რაიონის სოფელ ლასურიაში ჩამოწოლილი მეწყრის შედეგების სალიკვიდაციოდ საჭირო სამუშაოებისთვის ფინანსთა სამინისტრო პრეზიდენტის ფონდიდან 200-250 ათას ლარს გამოყოფს. ეს დავალება სამინისტრომ გუშინ, სახელმწიფო მინისტრ ავთანდილ ჯორბენაძესთან გამართულ თათბირზე მიიღო. სახელმწიფო კანცელარიის რეგიონული სამსახურის ინფორმაციით, სტიქიამ სოფელს 7 მილიონი ლარის ოდენობის ზარალი მიაყენა. მეწყერმა მოიცვა დაახლოებით 10 ჰექტარი ფართობი, მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთები და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. დამეწყრილ ზონაში აღმოჩნდა 57 საცხოვრებელი სახლი, უსახლკაროდ დარჩა 224 ადამიანი. მეწყრის ზონაში მოშლილია კომუნიკაციები, სასოფლო გზები, ელექტრო და წყალგაყვანილობა. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო შტაბს რეგიონის რწმუნებულის მოადგილე დავით დარახველიძე ხელმძღვანელობს. სამაშველო სამუშაოებში მონაწილეობენ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, ასევე იმერეთის საგანგებო სიტუაციების რეგიონული სამსახურები.

როგორც თათბირზე ითქვა, 8 იანვრის საღამოსთვის საევაკუაციო სამუშაოები დასრულდა. გამოიყო ტერიტორია ახალი სასაფლაოსთვის, დაახლოებით 400-მდე მიცვალებულის გადასასვენებლად. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობა ყველაზე მეტად ამას განიცდის და ეპიდემიის გავრცელების შიში აქვს, თუმცა, როგორც ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ განაცხადა, ამის საფრთხე არ არსებობს. წვიმა დღესაც გრძელდება, რაც იწვევს მეწყრის აქტიურობას. სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ პირველი რიგის გადაუდებელ დახმარებად სოფელში კვების პროდუქტების შეტანას მიიჩნევს, რისთვისაც საჭიროა სოფლამდე მისასვლელი გზების აღდგენა.

გარდა ამისა, გეოლოგიისა და მიწის მართვის დეპარტამენტებს დაევალათ წინადადებების მომზადება, სად შეიძლება დასახლდეს დაზარალებული მოსახლეობა. ითქვა, რომ 57 ოჯახის ერთად ჩასახლება შეუძლებელია. უნდა განისაზღვროს თითოეული ოჯახისთვის ფულადი დახმარების ოდენობა. აღსანიშნავია, რომ 1998 წელს ამავე რაიონში, სოფელ ორბელში მეწყერით დაზიანებულ 60 ოჯახს თითო ოჯახზე 3.000 ლარი გამოეყო. დამეწყრილი ვენახების ხელახლა გასაშენებლად, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრს დაევალა ტრადიციული ყურძნის ჯიშების - უსახელაურისა და ალექსანდროულის ნერგებით უზრუნველყოფა, თუმცა, როგორც დავით კირვალიძემ განაცხადა, თუ არ მოეწყობა ნაპირსამაგრები, მეწყერი დასახლებას კვლავ სერიოზულ პრობლემას შეუქმნის. კომისია დავალების შესრულების შედეგებზე ერთ კვირაში იმსჯელებს.

მედია-ნიუსი

გამარჯვებულები მონტანაში გაემგზავრებიან

საქართველოში ინგლისური ენის პედაგოგთა დაჯილდოების პროგრამა (კონკურსი) მიმდინარეობს. პირველ ეტაპზე გამარჯვებულ მასწავლებლებს შესაბამისი სერტიფიკატები დაურიგდებათ, ნახევარფინალისტები კი სასურველ წიგნებს შეარჩევენ200 დოლარის ფარგლებში. ნახევარფინალში გასული პედაგოგის სკოლას ორი ათასი დოლარის ექვივალენტის ჯილდო, კომპიუტერი, ან საჭირო სახელმძღვანელოებით შედგენილი ბიბლიოთეკა გადაეცემა.

როგორც პროგრამის კოორდინატორმა ირმა ბარბაქაძემ „მედია-ნიუსთან" ინტერვიუში განაცხადა, წლეულს კონკურსში მონაწილეობა მიიღო 84 მასწავლებელმა. მათში გამარჯვებულს კონკურსის ინიციატორი საბჭო დაასახელებს. გამარჯვებული შვიდი პედაგოგი, რომელთა ვინაობა თებერვალში გახდება ცნობილი, ივნისში მონტანას შტატში გაემგზავრება, სადაც ისინი სტაჟირებას ექვსი კვირის განმავლობაში გაივლიან. მანამდე კი, ერთი კვირის განმავლობაში ვაშინგტონში დაგეგმილ სემინარს დაესწრებიან. ყველანაირ ხარჯს საერთაშორისო განათლების ამერიკის საბჭო გაიღებს. კონკურსში მონაწილეობის მიღება ინგლისური ენის ნებისმიერ მასწავლებელს შეუძლია, რომლებიც ტესტირებას გაივლიან. შარშან ინგლისური ენის ექვსმა პედაგოგმა სტაჟირება მონტანას შტატში გაიარა.

მედია-ნიუსი

მოკლედ

თბილისი. დღეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები თელავის ბავშვთა სახლს ესტუმრებიან და პატარებს საახალწლო საჩუქრებს - ტანისამოსს, ხილს, სათამაშოებსა და ტკბილეულს ჩაუტანენ. **კავკასა-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ ბავშვთა საახალწლო ნაძვის ხის ზეიმს, რომელიც გაერო-ს ბავშვთა ფონდის, ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციის "Save The Children"-ისა და ნორვეგიის დევნილთა საქმეების საბჭოს თანადგომით იქნა ორგანიზებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების წარმომადგენელი სამი ათასამდე ბავშვი ეწვია. **კავკასა-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ქუჩის ფეხბურთის განვითარების პროგრამის ფარგლებში, ევროპის საფეხბურთო ასოციაცია (უეფა) წყალტუბოში სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სტანდარტულ სტადიონს ააშენებს. ბავშვები იქ უფასოდ ივარჯიშებენ. **კავკასა-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისში თავისუფლების მოედნიდან გმირთა მოედნამდე ახალ საგზაო ნიშნებს დაამონტაჟებენ. საგზაო ნიშნებს თან დართული ექნებათ საინფორმაციო დაფები, სადაც მითითებულია საგზაო პოლიციის შესაბამისი განყოფილების ტელეფონი.

საგზაო ნიშნები განაწილდება თავისუფლების მოედნიდან გმირთა მოედნამდე, გმირთა მოედნიდან მეტრო „რუსთაველამდე". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის მეტროპოლიტენის რეაბილიტაციის მსოფლიო ბანკის პროექტი წლეულსაც გაგრძელდება. თანხა, რომელიც გამოიყოფა მეტროპოლიტენისთვის, დედაქალაქის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ დადგინდება.

ეს არის მსოფლიო ბანკის უკვე მეორე კრედიტი, რომელიც მეტროპოლიტენის რეაბილიტაციისთვის გამოიყო. 3 მილიონი დოლარის ოდენობის პირველი კრედიტი მეტროპოლიტენმა მსოფლიო ბანკისგან 6 წლის წინათ მიიღო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ლილოს ნაგავსაყრელის ლიკვიდაცია წლეულს ზაფხულისთვის დასრულდება.

ამ პროექტს დედაქალაქის ბიუჯეტი აფინანსებს. ნაგავსაყრელის ლიკვიდაციაზე მუშაობს ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანია „მშვილდოსანი", რომელმაც სამუშაოები შარშან დეკემბერში დაიწყო. ამ რაიონში ახალი ნაგავსაყრელის შესაძლო ადგილმდებარეობა ჯერჯერობით დადგენილი არ არის. ეს საკითხი უნდა მოგვარდეს თბილისის აეროპორტის ადმინისტრაციასთან ერთად. როგორც ცნობილია, აეროპორტის სიახლოვეს ნაგავსაყრელის მოწყობა დაუშვებელია.**მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის მერიის საქალაქო ტრანსპორტის რეგულირებისა და მართვის სამსახურის უფროსის ოთარ ჭიპაშვილის განცხადებით, საქალაქო ტრანსპორტის სფეროში მომზადებულია ტრანსპორტის განვითარების ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც ახალი ავტობუსების და მგზავრთა გადაყვანის სხვა საშუალებების შემოტანას ითვალისწინებს.

ავტობუსების და ტროლეიბუსების პარკის შევსება და განახლება შესაძლებელს გახდის, შემცირდეს მიკროავტობუსების მარშრუტები. **მედია-ნიუსი**

გადავადებისთვის მიღებული კანონი

"ესენიც ეჟოვები, ბერიები და ძერჟინსკები არიან?"

სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძე დღეს საგანგებო შეკრებას მართავს. სახელმწიფო კანცელარიაში მიწვეულ სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო სამსახურის, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებსა და იურისტებს ერთი რამ ექნებათ განსახილველი - როგორ გადაწყვიტონ რეპრესირებულთა ოჯახის წევრებისთვის პენსიის მომატების საკითხი. რეპრესირებულთა ოჯახის წევრებისთვის პენსიის მომატება სახელმწიფომ ხუთი წლის წინათ ივალდებულა, მერე კი მის შესრულებაზე არ უზრუნია.

გიორგი ისაკაძე: "ასე გაგრძელება, აღარ შეიძლება"

ფოტო ლევანდრის ფოტო

მაკა ჭაიანი

რეპრესირებულთა ოჯახის წევრების ზუსტი რაოდენობა ცნობილი არ არის. ორგანიზაცია "მემორიალში" მათი მხოლოდ ნაწილი, ორი ათასი ადამიანია გაერთიანებული. "მემორიალის" ხელმძღვანელის, ზურაბ რცხილაძის აზრით, ქვეყნის მასშტაბით ასეთი კიდევ 12-14 ათასი ადამიანი იქნება. დაახლოებით იგივე მონაცემებს ფლობენ სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო სამსახურშიც.

პრობლემის არსიც ამ ციფრებში უნდა ვეძებოთ. ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, რომ, როდესაც პარლამენტმა რეპრესირებულთა ოჯახის წევრებისთვის 45-ლარიანი პენსიის დანიშვნა გადაწყვიტა, ამ ადამიანების რაოდენობა, 300-400-ს არ აღემატებოდა, კანონის რატიფიცირების შემდეგ კი, რამდენჯერმე გაიზარდა. რა ვერ გათვალა ჩვენმა ხელისუფლებამ, ცალკე საუბრის თემაა, ფაქტი ის არის, რომ კეთილშობილურ ჟესტად ჩაფიქრებული მისი ნაბიჯი ათასობით ადამიანისთვის დაუსრულებელი ლოდინისა და დამცირების საფუძვლად იქცა.

"არსებობს პარლამენტის მიერ 1998 წელს მიღებული კანონი და პრეზიდენტის 2002 წლის სპეციალური ბრძანებულება, რომელიც ამ კანონის აუცილებელ შესრულებას ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, კანონი არ სრულდება! - აღშფოთებას არ მალავს ზურაბ რცხილაძე, - **საპენსიო ფონდში ამბობენ, ფული ფინანსთა სამინისტრომ უნდა მოგვცსო, ფინანსთა სამინისტროში - საშუალება არა გვაქვსო! როდემდე? 65 წელზე ნაკლები ასაკის რეპრესირებულთა არც ერთი შთამომავალი არა ვართ. უშუალოდ თქვენ არა ხართ რეპრესირებულებიო, რომ გვეუბნებიან, სახლიდან რომ გამომასახლეს, მთელი ჩემი ავლა-დიდება წაიღეს, მამა რომ დამიხვრიტეს და დედა მომიკლეს, ეს არაფერს ნიშნავს? თუ ესენიც ყაჩაღები და კაცისმკვლელები - ეჟოვები, ბერიები და ძერჟინსკები არიან?"**

ხელისუფლებას, რომელმაც რეპრესირებულთა ოჯახის შვილები ტყუილი დანაპირებით გამოკვება, "მემორიალმა" სასამართლოში უჩივლა. მოპასუხე მხარეებს - ფინანსთა სამინისტროსა და მაშინდელ სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდს, გასული წლის მიწურულს, ვაკე-საბურთალოს სასამართლომ კერძო განჩინებით დაავალა კანონის აღსრულება. სულ რამდენიმე დღეში, კერძოდ, 16 იანვარს საკითხს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლო განიხილავს. "მემორიალში" პროცესის მოგების იმედი აქვთ. რაც შეეხება მოპასუხეებს, პრობლემას ისინი განსხვავებულად უყურებენ.

სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო სამსახურში ისევე, როგორც ფინანსთა სამინისტროში არ მალავენ, რომ რეპრესირებულთა ოჯახის წევრებისთვის პენსიების მომატება არც წლევანდელ ბიუჯეტშია გათვალისწინებული. კანონის აღსრულება გადავადებულია, - ამბობენ ერთგანაც და მეორეგანაც. ეს უწყებები მხოლოდ ერთში ვერ თანხმდებიან: ვინ დაფარავს ამ კატეგორიისთვის მომატებული პენსიის ხარჯებს. სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო სამსახურში ფინანსთა სამინისტროსკენ მიუთითებენ, ფინანსთა სამინისტროში - სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო სამსახურისკენ. ეს ძველი და კარგად ნაცნობი დავა ხელისუფლების ამ წარმომადგენლებს შორის ჯერ ისევ ძალაშია - პირველი, ბიუჯეტის ვალდებულებების შესასრულებლად, ხაზინისგან ითხოვს ფულს, მეორე ცდილობს, ეს ვალდებულება თავიდან აიცილოს.

რეპრესირებულთა ოჯახის წევრების პენსიებთან დაკავშირებით, ფინანსთა სამინისტროში ერთ უცნაურ განცხადებასაც აკეთებენ. მინისტრის მოადგილემ, ვასილ გიგოლაშვილმა ჩვენთან საუბრისას, ასეთი რამ თქვა: **"მიღებული კანონის მიუხედავად, თუ ამ კატეგორიისთვის პენსიის მომატება ბიუჯეტის შესახებ კანონში არ იქნა გათვალისწინებული, მატება არ მოხდება."** რო გორც ჩანს, ასეთი განმარტება ქვეყნის მთავარი ფინანსისტებისგან სახელმწიფო მინისტრის მოადგილემაც მიიღო. გიორგი ისაკაძის კომენტარი ამასთან დაკავშირებით ასეთია: **"კანონთან მიმართებაში ფინანსთა სამინისტროს აქვს თავისი მოსაზრება, რომელიც არ უნდა იყოს მთლად გამართული. დღევანდელ შეხვედრაზე ამ უწყებასაც და სხვა მხარეებს საკუთარი პოზიციების დაფიქსირების, რეპრესირებულთა ოჯახის წევრებს კი სიტუაციაში გარკვევის საშუალება ექნებათ. ჩვენ მოვიწვიეთ იურისტებიც. ფაქტია - დღეისთვის არ არსებობს ფინანსური ბაზა იმისთვის, რომ ამ კატეგორიის პენსიები 45 ლარამდე გავზარდოთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება."**

ექნებათ თუ არა მასწავლებლებს ზეღავათიანი გადასახადი გაზზე?!

არდადეგებზე პედაგოგებისთვის სასიხარულო ხმები დაირხა: მათ შეიძლება გაზის გადასახადზე შეღავათი დაუწესდეთ.

"სკოლიდან დამირეკეს და მისამართი გამომართვეს, ასე მითხრეს განათლების სამინისტროდან დაგვიკავშირდნენ და გვთხოვეს მონაცემების მომზადება, რომ მასწავლებლებს გაზზე შეღავათები ექნებათო", - გვითხრა პედაგოგმა ლალი შალვაძემ.

განათლების სამინისტროში "24 საათს" განუცხადეს, რომ ეს ზარი მათგან არ ყოფილა, მსგავსი ჩანაფიქრი იდეაშიც არ არსებობსო.

ერთ-ერთ სკოლაში გვითხრეს, რომ დავალება პედაგოგთა საცხოვრებელი ადგილის მონაცემების შეკრების თაობაზე მათ განათლების სამინისტროდან კი არა, განათლების საქალაქო განყოფილებიდან მიიღეს.

განათლების თბილისის განყოფილების უფროსმა, ედიშერ მაჩაიძემ თქვა, რომ მათ ვიცე- პრემიერმა კახა შენგელიამ დაავალა მონაცემთა შეკრება. "ჯერჯერობით, მუშავდება ინფორმაცია, რომ გაირკვეს გაზის გადასახადზე შეღავათებისთვის რა თანხა იქნება საჭირო, შეძლებს თუ არა ამის განხორციელებას მერია", - გვითხრა მაჩაიძემ.

ლეიბორისტების ლიდერი შალვა ნათელაშვილი აღნიშნულ ღონისძიებას პედაგოგთა გულის მოსაგებ წინასაარჩევნო პიარ-ნაბიჯად მიიჩნევს და მის ავტორებად "მოქალაქეებს" ან "ნაციონალებს" ასახელებს.

როგორც თბილისის ვიცე-პრემიერმა, კახა შენგელიამ "24 საათს" უთხრა, ეს არის მოძრაობის დასაწყისი პედაგოგთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად. მას შესაძლებლად მიაჩნია, რომ გარკვეული პარამეტრებით ამ პროფესიის ადამიანებისთვის შეღავათი დაწესდეს გაზის გადასახადზე. სწორედ ამ პარამეტრების განსასაზღვრად არის საჭირო ზუსტ მონაცემთა ბაზის შექმნა. "ეს რეალური ნაბიჯია და არა პოლიტიკური სვლა", - თქვა კახა შენგელიამ.

ამრიგად, თუ პედაგოგებს გაზის გადასახადის შეღავათზე მაინც დაახვედრებენ ამბავს, მაინცდამაინც ჭორად ნუ ჩათვლიან, მაგრამ თავსაც ნუ დაიიმედებენ.

"24საათი"

სახელოვნებო სასწავლებლების პედაგოგებს ხელფასები ეზრდებათ

საქართველოს კულტურის სამინისტროს, თბილისის მერიის კულტურის სამსახურის, თბილისის მუსიკალური სკოლების დირექტორთა საბჭოს ინიციატივა და აქტიურობა ფინანსთა სამინისტრომ დააფასა: 2003 წლის პირველი სექტემბრიდან სახელოვნებო სასწავლებლების პედაგოგების ხელფასები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგთა ხელფასებს გაუთანაბრდება. ეს ინფორმაცია გუშინ, საქართველოს კულტურის სამინისტროში ახარეს ჟურნალისტებსა და განათლების სისტემის წარმომადგენლებს.

ირინე სანებლიძე

როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტმა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტი პირველი მოსმენისას არ მიიღო. ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის დირექტორი, ზურაბ მიმინოშვილის განცხადებით კანონპროექტის მიხედვით, ბიუჯეტში ასახულია სახელმწიფოს მთავარი პრიორიტეტი - სოციალური დაცვა და განათლება.

განათლების სისტემაში, ზოგადსაგანმანათლებლოსა და სახელოვნებო სფეროებს შორის შრომის ანაზღაურებაში დღემდე არსებული დისბალანსი, აღარ იქნება. "განათლება, არის განათლება და ყველა მიმართულებაზე უნდა ვრცელდებოდეს ერთნაირი პირობები, მათ შორის ხელფასების კუთხითაც", - აღნიშნა ზურაბ მიმინოშვილმა. ახლა ჯერი პარლამენტზეა, რომ ბიუჯეტი მიიღოს.

ხელფასების გათანაბრება მოხდება სახელოვნებო სასწავლებლების პედაგოგთა ატესტაციის შემდეგ, რომელსაც კულტურის სამინისტრო, სავარაუდოდ, ივნისამდე, საზაფხულო არდადეგების დაწყებამდე ჩაატარებს. სახელოვნებო განათლების რვა ათასამდე პედაგოგის ატესტაციის შემდეგ, კატეგორიების მიხედვით მოხდება ამ პედაგოგთა შესაბამისი კატეგორიის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგთა ხელფასებთან გათანაბრება.

თბილისის მუსიკალური სკოლების დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ მზია დადიანმა კულტურის მინისტრს თხოვნით მიმართა, რომ პედაგოგთა ატესტაციის პროცესში დირექტორთა საბჭოც აქტიურად ჩართონ.

კულტურის მინისტრის სესილი გოგიბერიძის აზრით, ატესტაციას ფრთხილი და განსაკუთრებულად ორგანიზებული ფორმით ჩატარება სჭირდება. მინისტრი ფიქრობს, რომ კატეგორიებზე კვოტების დაწესება აუცილებელი გახდება, ანუ სხვადასხვა კატეგორიის პედაგოგების რაოდენობა, ალბათ, განსაზღვრული იქნება.

მრიცხველები, მურაბა და წარმატებული "ბიზნესი"

ჩვენთან მრიცხველების გასაფუჭებლად საკმაოდ აპრობირებული მეთოდი ყოფილა მურაბის გამოყენება. ტკბილ მასასთან გროვდება უამრავი ჭიანჭველა, რომლებიც მჟავას გამოჰყოფენ. ეს კი ელექტრომრიცხველს აფუჭებს. გაფუჭებულ მრიცხველს მოსახლეობის უმეტესობა, განსაკუთრებით - საქართველოს პერიფერიებში, იაფი პროდუქციით ცვლის. მათ სულ არ აინტერესებთ ამ პროდუქციის წარმომავლობა და მიმწოდებელიც ხეირობს.

მურაბის გამოყენება - მრიცხველების გასაფუჭებლად აპრობირებული მეთოდი

გიორგი ბუხაიძის ფოტო

ირინე სანებლიძე

"წლის დასაწყისიდან, მარტო ვაკე-საბურთალოს რაიონში, ორმოცამდე ელექტრომრიცხველი მოუპარავთ, თანაც "აკურატულად", ისე, რომ არაფერი დაუმტვრევიათ და მოუნგრევიათ. სამაგიეროდ, მავნებლებმა ხასიათი გაუფუჭეს ხალხს და "ეი-ი-ეს თელასს" საზრუნავი გაუჩინეს", - გვითხრა ვაკის საყოფაცხოვრებო მომსახურების თანამშრომელმა, რომელსაც გუშინ სამსახურში მისვლისას ორი სამფაზიანი ელექტრო მრიცხველი დახვდა მოპარული სპეციალური კარადიდან.

დროებით უმრიცხველოდ დარჩენილ შპს "საპოვნელას" დენის მოწოდება არ შეფერხებია, სამუშაო დღე თანამშრომლებმა ჩვეულებრივად დაიწყეს, ამიტომ მომხდარი დიდად არ განუცდიათ. უბრალოდ, თითოეული მათგანი აღშფოთებული იყო თავად ფაქტით: "არაფრის ღირსები ჩვენ არ ვართ, ლამაზსა და მოწესრიგებულს ვერაფერს ვირგებთ", - უთხრა ერთმა თანამშრომელმა მეორეს. ვიღაცამ მავნებლობას პოლიტიკური დატვირთვა მიანიჭა - ამაზე მუშაობს მთელი ჯგუფი, რომელსაც "ეი-ი-ეს თელასის" საქართველოდან გაძევება უნდაო.

თავად "ეი-ი-ეს თელასი" კი - მხოლოდ ერთ ვერსიაზე საუბრობს. ეს პირველი შემთხვევა არაა, გვითხრეს. თურმე, ელექტრომრიცხველების გარდა, მრიცხველების დამცავ ამომრთველებსაც საკმაოდ ხშირად იპარავენ და ჰყიდიან... რამდენიმე ხნის წინ, ადრე ჩადენილი დანაშაულისთვის, ქურდებიდან მხოლოდ ერთი დაუჭერიათ, რომელმაც აღიარა, რომ მრიცხველები ხაშურისა და ბათუმის ენერგოგამანაწილებელ სახელმწიფო კომპანიების მიჰყიდა. ჩვეულებრივ, მრიცხველებს თურმე, 5-6 ლარად იბარებენ, სამფაზიანი კი, ისეთი, როგორიც "საპოვნელას" ჰქონდა, "ეი-ი-ეს თელასის" ინფორმაციით, ცოტა უფრო ძვირი ღირს.

"ეი-ი-ეს თელასის" იურიდიულ და უსაფრთხოების სამსახურს არაერთხელ მიუმართავს ქალაქის პოლიციის შესაბამისი რაიონული განყოფილებებისთვის, რომლებიც ყოველ ჯერზე ერთი და იგივეს იმიზეზებენ - ფაქტზე ვერ ვიჭერთ და რა ვქნათო?!

"ეი-ი-ეს თელასის" წარმომადგენლის თქმით, "ეი-ი-ეს თელასის" ყველა მრიცხველს ლოგო აქვს ამოტვიფრული და მათი შესყიდვა ნებისმიერი კომპანიისგან უკანონოა. ეს, როგორც ჩანს, ვიღაცას ხელს სულაც არ უშლის და წარმატებით აგრძელებს თავის "ბიზნესს".

www.24hours.ge 24 B

საშობაო საჩუქრები მათთვის, ვისაც ყველაფერი აქვს

„ნიმან მარკუსი„ გთავაზობთ...

მელორ სტურუა
საკ. კორ. აშშ

უნივერმაღმა, სახელწოდებით "ნიმან მარკუსი", თავისი ახალი საშობაო კატალოგის პრეზენტაციაზე მიმიწვია. მეუღლემ მითხრა: "ნუ წავალთ, საჩვენო არაფერი იქნება. სულაც არ მსურს, კრილოვის მელაკუდასავით ნერწყვი ვყლაპო". და ის ცამდე მართალი იყო. "ნიმან მარკუსი" - ეს არის მაღაზიების ექსკლუზიური ქსელი, სადაც საყიდლებზე დადიან ამერიკის ზემდიდარი ადამიანები, მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას კი ამაზე ხელი არ მიუწვდება. მაგრამ მე მაინც ჩემი გავიტანე და წავედით - როგორც რეპორტიორები და არა როგორც მყიდველები. არც გვინანია.

შამპანური, რომლითაც "ვასვეულებდით" "ნიმან მარკუსის" ახალ საშობაო კატალოგს, უფასო იყო, მაგრამ სხვა დანარჩენი კი...

თუმცა, უმჯობესია გადავფურცლოთ კატალოგი. მაგალითად, ის გვთავაზობს "კადილაკების" (XLR - 2004 წლის) "შეზღუდულ რაოდენობას" - სულ 99 ცალი - 85 ათას დოლარად. მე დავწერე "გვთავაზობს", მაგრამ უფრო ზუსტად - "გვთავაზობდა". ეს ახლო მომავლის "კადილაკები", უკანასკნელ ერთეულამდე, გაიყიდა სულ რაღაც 14 წუთში! საავტომობილო ეგზოტიკის მოყვარულთათვის კატალოგში მითითებულია აუტენტური ლონდონური ტაქსი ფეშენებელური ინტერიერით. ფასი - 59 ათასი დოლარი. ყოვლის მქონეთა შთამომავლებისთვის განკუთვნილია სათამაშოების კომპლექტი, რომელიც შედგება ფილმების გმირებისაგან - სუპერმენი, ბეტმენი, სფაიდერმენი და სხვ. თითოეულის ფასია 7 500 დოლარი. ოლონდაც ჩვენი პატარა გაერთოს... თანამედროვე ხელოვნების მოყვარულთ შეუძლიათ 3 მილიონ დოლარად შეიძინონ ენდი უორჰოლის ნახატი "პლანეტის ათი უდიდესი სპორტსმენი". მასზე გამოსახულია მუჰამედ ალი, პელე, დოროთი ჰემილი, კრის ევერტი და სპორტული სამყაროს სხვა სუპერვარსკვლავები.

ვწრუპავთ უფასო შამპანურს და ვფურცლავთ ფასდაუდებელ კატალოგს. ქალის თეთრეულის ცნობილი ფირმა "Victoria's secret" გვთავაზობს ბრა-ბიუსტჰალტერს, მოოქვილს ვარდის ფორმის 1150 ლალით, ფოთლის ფორმის 1600 ზურმუხტით და 60 ბრილიანტით. ამ შედევრს მოჰყვება ტრუსები, გაკეთებული 2420 ერთეული ლალის, ზურმუხტისა და ბრილიანტისაგან. ფასი - 10 მილიონი დოლარი. საინტერესოა, ასეთი საცვლების მქონე რომელი ქალი მოისურვებს კაბის ჩაცმას? ან რას გრძნობს ის სქელჯიბიანი კაცი, რომელიც ქალს მსგავს საჩუქარს უკეთებს? ტყუილად არ ამბობენ ფრანგები, რომელთაც ამ საქმეში რაღაც გაეგებათ, რომ ვერც ერთი ქალი ვერ მოგცემს იმაზე მეტს, ვიდრე მას აქვს. თუნდაც მას თან ჰქონდეს - ამას უკვე ჩემგან დავამატებ - მთელი საიუველირო მაღაზია, ჩამალული ბიუსტჰალტერსა და მიკროსკოპულ ტრუსებში.

ქალებს "ნიმან მარკუსში" სრული შესაძლებლობა ეძლევათ, მადლიერება გამოხატონ თავიანთი გულუხვი ქმრების თუ საყვარლების მიმართ. ამ მიზნით კატალოგში მითითებულია საჩუქრების შეზღუდული რაოდენობა - ასე რომ, იჩქარეთ! - ოქროს უნიკალური საათი "კარტიესგან", ნორკის სამაჯურით, რათა მაჯა არ გაუუხეშოს თქვენს ერთადერთს. თუმცა, ბედნიერები საათს არ უყურებენ. დიასახლისებს, რა თქმა უნდა, დაინტერესებთ "რუმბა თვითნავიგატორი". ეს რა მხეცია? ეს არის რობოტიმტვერსასრუტი. კნოპზე დაჭერით თქვენ აძლევთ ინფორმაციას, თუ რა მოცულობის სამუშაო აქვს რუმბას ჩასატარებელი - პატარა, საშუალო თუ დიდი ოთახი. რუმბა "ცეკვავს" სპირალური მოძრაობებით, ამავდროულად კი ასუფთავებს პარკეტსაც, ხალიჩებსაც. ჩამონტაჟებული სენსორები მას საშუალებას აძლევს, გვერდი აუქციოს ავეჯს და კიბის საფეხურებზეც კი იხტუნოს. ინფრანითელი სხივები კი "უკრძალავს" რუმბას თავისი მსრუტავი ცხვირის შეყოფას იქ, სადაც საჭირო არ არის. გახსოვთ ძველი შლაგერი - "რუმბა კარგი ცეკვაა, რუმბას ცეკვავს ყველა"? აი, "რუმბა თვითნავიგატორიც" კარგი ცეკვაა, მაგრამ ასე ცეკვა ყველას სულაც არ შეუძლია. საყოფაცხოვრებო ტექნიკის ეს საოცრება 20 ათასი დოლარი ღირს.

თვალის ერთი შევლებით ასე გამოიყურება "ნიმან-მარკუსის" საშობაო კატალოგი. ის, რა თქმა უნდა, შთამბეჭდავია, მაგრამ არა - ერთადერთი. მას წარმატებით უწევს კონკურენციას არანაკლებ შთამბეჭდავი კატალოგი სახელწოდებით "რობ რეპორტის გიდი - მეგზური საუკეთესო საშობაო საჩუქრების სფეროში" (ან "საუკეთესო საშობაო საჩუქრების რობ რეპორტისეული გიდი-მეგზური"). ეს მეგზური ნამდვილი ივან სუსანინია, რომელიც მფლანგველობის უღრან ტყეში შეგიტყუებთ. ამ ტყის ხეებზე ისეთი მაცდური ნაყოფი იზრდება, როგორიცაა ყელსაბამი სუფთა წყლის 44 ბრილიანტით (144 კარატი), ცენტრში მსხლის ფორმის 70-კარატიანი ვარდისფერი ბრილიანტით. ამ უცხო ხილის ფასი 10 მილიონი დოლარია. მამაკაცებისთვის განკუთვნილ საჩუქრებსაც არა უშავს რა. მაგალითად, პლატინისა და ოქროს საათი ფრანსუა-პოლ ჯორნისაგან 1 მილიონ დოლარად. საათში 500 დეტალია და მას შეუძლია რეკვა ნებისმიერ საჭირო დროს, როგორც მაღვიძარას.

რომელ ამერიკელს არ უყვარს სწრაფი მგზავრობა! (გოგოლს ცოტათი მაინც რომ სცნობოდა იანკები, თავისი ცნობილი ფრაზის რედაქტირებას სწორედ ასე გააკეთებდა). თანაც, ფულიც თუ ბლომად აქვს, "რობ-რეპორტის" კატალოგის მიხედვით მის განკარგულებაშია "ფერარი" F1-2000. ეს უბრალოდ "ფერარი" კი არ არის, არამედ - სწორედ ის, რომლითაც დიდმა შუმახერმა ერთ-ერთი თავისი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. შუმახერისეული მხეცის ფასი 1,6 მილიონი დოლარია. მასთან შედარებით თვით "დაიმლერ-კრაისლერის" ჰიბრიდი "მეიბახი-62"-ც კი (ფასი 350 ათასი დოლარი) არცთუ ისე შთამბეჭდავად გამოიყურება. არადა, სულ ტყუილად. ამ ახალ "მეიბახებს", გარდა 550-ცხენისძალიანი ტურბოძრავისა V-12, აქვთ მაცივარი და ჰაერის დამტენიანებელი; მისი ყველა სავარძელი უზრუნველყოფს მძღოლისა და მგზავრების ელექტრონულ მასაჟს.

"რობ რეპორტის" კატალოგის სახელწოდება, როგორც "საუკეთესო და უმაღლესი საშობაო საჩუქრებისა", უნდა გავიგოთ არა მხოლოდ გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობითაც. ასე მაგალითად, საჩუქრების სიაშია "ბოინგ ბიზნეს ჯეტ 2" ფეშენებელური ინტერიერით, უზარმაზარი სამეფო საწოლის ჩათვლით, გიგანტური ციფრული სტერეოფონური ტელევიზორით, საშხაპეთი და სამზარეულოთი, რომელიც 20 მგზავრის მომსახურებას უზრუნველყოფს. ეს "ბოინგი" ღირს 70 მილიონი დოლარი.

და მაინც, საშობაო საჩუქარი-2002-ის რეკორდსმენია არა "ბოინგი" სამეფო საწოლით, არამედ წყალქვეშა ნავი იმავე "რობ რეპორტიდან". ასე რომ, "უმაღლესი" სუბ-მარინა აღმოჩნდა, სიგრძით 213 ფუტი. იგი განკუთვნილია 40 სტუმრისა და ეკიპაჟისათვის და ღირს 80 მილიონი დოლარი. მისი სახელწოდებაა "ფენიქს-1000" და იგი აღჭურვილია 40 ტონა 220-ვოლტიანი ბატარეით. აი, ასეთია ჩიტი ფენიქსი...

მსგავს ჩიტუნიებზე ხელი მიუწვდებათ მხოლოდ "ძლიერთა ამა ქვეყნისათა", დიდი ბიზნესის და ფინანსების კაპიტან ნემოებს, რომლებიც, "კურსკისგან" განსხვავებით, არ იძირებიან.

"რობ რეპორტის" და "ნიმან მარკუსის" მსგავს კატალოგებს კავშირი აქვს უფრო მეტად პატივმოყვარეობის, "ამაოების ბაზართან", ვიდრე შობასთან - დღესასწაულთან, როდესაც ძე უფლისა მოევლინა ქვეყნიერებას. როდესაც მამა ღმერთის შვილი ხორციელი წამოიზარდა და მიიხედ-მოიხედა, თქვა: აქლემი უფრო ადვილად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი მოხვდება სამოთხეში. მაგრამ, როგორც ჩანს, ქრისტემ თავისი ქრისტიანული სოციალიზმის მეშვეობით ვერ გათვალა თანამედროვე კაპიტალიზმის ფარული შესაძლებლობები გლობალიზაციის ეპოქაში.

საშობაო საჩუქრების კატალოგი მათთვის, ვისაც ყველაფერი აქვს, გასართობი საკითხავია, მაგრამ სახიფათოც, თუ უცხოს ჩაუვარდება ხელში. შემთხვევითი არ არის, რომ ისინი გამოცემულია შეზღუდული ტირაჟით და იგზავნება სპეციალური სიების მიხედვით. თუ ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდება, ეს გამოცემები თავისუფლად შეიძლება გადაიქცეს "კომუნისტური პარტიის მანიფესტის" თავისებურ ვარიანტად, არა ნიმანისა და მარკუსისა, არამედ მარქსისა და ენგელსისა. უცოდველი საშობაო სიმღერები კი შეიძლება "ინტერნაციონალად" აჟღერდეს... და გამოაძევონ ტაძრიდან ცოდვილები.

მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ მოხდება. უფრო მალე აქლემი გაძვრება ნემსის ყუნწში...

"ნიმან მარკუსის" საშობაო კატალოგი-2002-ის პრეზენტაციიდან მე და ჩემი მეუღლე "ნერწყვებნაყლაპი" ვბრუნდებოდით, თუმცა შამპანურიც დავლიე. ღამით 80 მილიონ დოლარად ღირებული "ნაუტილუსი" მესიზმრებოდა. დილით კი, სხვის სუფრაზე ნაქეიფარს, ნაბახუსევს გამეღვიძა.

ფაბერჟეს "კვერცხი"

Icon-ის ხელჩანთა გუსტავ კლიმტის ნახატით

ფიალა – კაროლ ბოისისგან


ფოლადის თეფში – ყან ბარბოლიო


"ნაკამაჩის" – მულტიმედია სისტემა

არყის ფრანგული სასმისი

მარგალიტით მოოჭვილი ფეხსაცმელი

"ბარბერის" საათი

თემურ ჩხეიძე – საუკეთესო რეჟისორი

დღეს კულტურის სამინისტროში რეჟისორ თემურ ჩხეიძეს მიხეილ თუმანიშვილის სახელობის საუკეთესო რეჟისორის პრემიით დააჯილდოვებენ. პრემიას, დიპლომსა და 500 ლარის ოდენობის თანხას ცნობილ რეჟისორს მინისტრი სესილი გოგიბერიძე გადასცემს.

პრემია კულტურის სამინისტრომ 1997 წელს დაანესა და ის წესით, ორ წელიწადში უნდა გაცემულიყო. პირველი პრემიის ლაურეატი რობერტ სტურუა გახდა, შემდეგი პრემია კი 1999 წლის ნაცვლად 2001 წელს შალვა გაწერელიას ერგო. წელს პრემიის გაცემა დაგეგმილი იყო 14 იანვარს, თეატრის დღეს, მაგრამ რადგანაც იმ დროისათვის თემურ ჩხეიძე თბილისში არ იქნება, რეჟისორს დაგეგმილზე ადრე დააჯილდოებენ. თემურ ჩხეიძე ამ დღეებში სანკტ-პეტერბურგში, რეპეტიციების დასაწყებად მიემგზავრება. რეპეტიციები აქვს მას თბილისშიც, სადაც მარჯანიშვილის თეატრისთვის ამზადებს სპექტაკლს "პილატე", რომელსაც რეჟისორი მიხეილ ბულგაკოვის "ოსტატი და მარგარიტას" მიხედვით დგამს.

სესილი გოგიბერიძე ამ დღეებში კულტურის სამინისტროს მიერ დაწესებული კიდევ ერთი პრემიით "ხელოვნების ქურუმით" ცნობილ მსახიობს გიორგი გეგეჭკორს დააჯილდოებს. მსახიობის ავადმყოფობის გამო მინისტრი მას თავად ესტუმრება 13 იანვარს სახლში. პრემია – 1000 ლარი, დიპლომი და ოქროს მედალიონი, რომელიც შარშან ოქტომბერში დაწესდა, გეგეჭკორამდე სამინისტრომ მედეა ჩახავასა და მარინე იაშვილს გადასცა. ***("24 საათი")***

გერმანელები იუმორს სერიოზულად ხვდებიან

გერმანია კულტურული შოკიდან გამოდის: პირველად ნახევარი საუკუნის შემდეგ საკუთარ ნაცისტურ წარსულზე კომედიური ფილმი გადაიღეს. ახალგაზრდა გერმანელ რეჟისორებს ახალი და პარადოქსალური აზრი ჩამოუყალიბდათ – ცოდვა შეიძლება სასაცილო იყოს. პირველად გერმანიის ტელევიზიის ისტორიაში, რომელიც აქამდე აკურატულად ეპყრობოდა ნაცისტურ წარსულს, გაჩნდა ფილმი-კომედია ჰებელსის შესახებ. "ჰებელსი და ჰედულდიგი" ასე ჰქვია ახალ ფილმს, რომლის ავტორიც კაი ვასელი გახლავთ.

ფილმი ებრაელ პატიმარზე ჰარი ჰედულდიგზე მოგვითხრობს, რომელიც გარეგნულად ძალიან ჰგავს დოქტორ ჰებელსს. ჩაპლინის შედევრის "დიდი დიქტატორის" ფინალისგან განსხვავებით ნამდვილი ჰებელსი კონცლაგერში ხვდება, ჰარი კი გერმანულ პროპაგანდას ხელმძღვანელობს. ფილმის რეჟისორი ბი-ბი-სისთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობს: "ჩვენ უბრალოდ გვინდოდა ახალი ტალღის შემოტანა კინოში, რომ ნაცისტების დაცინვა შესაძლებელია, გვინდოდა რისკიანი იუმორის გამოყენება გვეცადა". ამ ტიპის იუმორმა კი გერმანული საზოგადოება შოკში ჩააგდო. მიუხედავად იმისა რომ ფილმში პოლიტიკური ქვეტექსტები ნამდვილად არ იკითხება, ვასელის ნამუშევრით ნეონაცისტებიც და ებრაული ორგანიზაციების აქტივისტებიც განაწყენდნენ, ჰარი ჰედულდიგი უბრალოდ ადგილს იცვლის და ყველას აცურებს. ფილმში არც ნაცისტური რეჟიმის სიძლიერე არ არის ნაჩვენები, მაგრამ ამაშიც კი ფილმის ავტორი დაადანაშაულეს. გერმანელი ისტორიკოსის კლაუს ჰესეს აზრით ამგვარი მიდგომა ნაცისტური რეჟიმის სისასტიკეს შეარბილებს: "ვფიქრობ საშიში იქნება ისეთი ფიგურის ტრივიალიზება, როგორიც ჰებელსი იყო". გამოკითხული გერმანელების უმეტესობა მეცნიერის აზრს იზიარებს და მიიჩნევენ, რომ ჰებელსზე, რომელმაც ცოლთან ერთად თავი მოიკლა და ექვსი შვილი მოწამლა, კომედიური ფილმის გადაღება უადგილო იყო – ისტორია სერიოზული საქმეა, ხოლო ნაციის სრულ გამოჯანსაღებას ჯერ ჯიდევ დიდი დრო სჭირდება.

რომის პაპმა „რომაული ტრიპტიქი„ დაწერა

რომის პაპი გამოსაცემად ამზადებს ახალ ლიტერატურულ ნაწარმოებს. იანვრის ბოლოს კრაკოვში "რომაული ტრიპტიქი" გამოვა. წიგნისადმი დიდი ინტერესი გარანტირებულია – გარდა ლიტერატურული ნაშრომებისა კრებულში შევა იოანე პავლე მეორის აზრები მომავალი მემკვიდრის არჩევის შესახებ. პოეტური გამოცემა პირველია პაპის აღსაყდრების შემდეგ, ისე კი მისი ლიტერატურული არსენალი მთელი რიგი ქადაგებების, რამდენიმე პიესის, ესესა და ლექსისაგან შედგება.

კალენდარი

10 იანვარი

სპეციფიური ჩახლეჩილი ხმა და თმის უცნაური ვარცხნილობა, რომელსაც "ანანასს" ეძახიან – ეს ის დამახასიათებელი ნიშნებია, რითიც ადვილად იცნობთ პოპულარულ ბრიტანელ მომღერალს, როდ სტიუარტს.

მართალია, როდ სტიუარტი მუსიკით ბავშვობიდანვე იყო გატაცებული, სკოლაში უკრავდა ჯგუფში The Kool Kats, მაგრამ სერიოზულ მუსიკალურ კარიერაზე მაშინ არ უფიქრია და პროფესიად სპორტსმენობა აირჩია, სტიუარტი ფეხბურთელი გახდა. მერე ყველაფერი შეიცვალა. 1964 წლის ზამთარში როდი მატარებლის სადგურში ბოლთას სცემდა და თან რაღაცას ღიღინებდა. მის სიმღერას შემთხვევით მოჰკრა ყური მომღერალმა ლონგ ჯონ ბოლდრიმ და მათი თანამშრომლობაც დაიწყო. როდ სტიუარტი უკრავდა ჯგუფებში: Jeff Beck Group და The Faces. 1969 წლიდან როდ სტიუარტმა სოლო პროექტებშიც სცადა ბედი. "როდ სტიუარტის ალბომმა" დიდი წარმატება მოიპოვა. ცოტა მოგვიანებით ამას მოჰყვა ჰიტი Tonight's The Night, რომელიც 1976 წელს ჟურნალ "ბილბორდის" ჰიტპარადში რვა კვირის განმავლობაში ლიდერობდა.

გასულ წელს როდ სტიუარტმა მსმენელი მელბურნის კონცერტით გააოცა. დარბაზი გაოგნებული დარჩა, როცა კულისებში მორიგი გასვლის შემდეგ მომღერალი სცენაზე აღარ დაბრუნებულა. ფანები საშინლად გაბრაზებულნი იყვნენ. ისინი ამბობდნენ, რომ ბისზე ელოდებოდნენ სტიუარტს, ის კი ისე წავიდა, რომ ფანებს არც კი დამშვიდობებია. მიუხედავად იმისა, რომ მენეჯერი ამტკიცებდა, კონცერტი არ ჩაშლილა, რადგანაც მომღერალმა Sailing-ის გარდა ყველაფერი იმღერაო, ფანებს არაფრის გაგონება არ უნდოდათ... დღემდე არავინ იცის, რატომ მოხდა ასე. როგორც ამბობენ, როდ სტიუარტი უბრალოდ გუნებაზე ვერ იყო, სიმღერა აღარ მოინდომა და არჩია საღამო ბარში გაეტარებინა. რა უცნაურობებით გაგვაოცებს როდ სტიუარტი ახალ წელს, ჯერ არავინ იცის...

დღეს, 10 იანვარს, **როდ სტიუარტს** 58 წელი შეუსრულდა.

პირველი წელი ჯანსუღ კახიძის გარეშე

თამარ ქერეჭაშვილი

ჯანსუღ კახიძე

2003 წელი პირველი წელია ჯანსუღ კახიძის გარეშე. მისი გარდაცვალებიდან არა ერთი დღე გავიდა და თითქოს განსაკუთრებული არც არაფერი ხდებოდა დღევანდელ საქართველოში. სწორედ იმ საქართველოში, რომლის გარეშეც მისი სიცოცხლე წარმოუდგენელი იყო ... ერთი შეხედვით დალაგებულ ქვეყანას დღეს ჯანსუღ კახიძე აღარ ჰყავს, მაგრამ თავის დროზე უშუქოდ, უგაზოდ, ბედკრულად დარჩენილ თბილისს მუსიკალურ ხელოვნებაში, სწორედ მაესტრო ასულდგმულებდა, საოცარი მუსიკალური დღესასწაულებით ... ფაქტობრივად ჩვენი გადარჩენის პირველი წვეთები მაშინ, 10 წლის წინანდელი "შემოდგომის თბილისით" დაიწყო ...

ძნელია საუბარი ადამიანზე, რომლის თავდადებისა და გაუსაძლისი შრომის ფასად ათწლეულების მანძილზე იქმნებოდა ქართული საკომპოზიტორო, საშემსრულებლო თუ საგუნდო ხელოვნების ისტორია. ქართულ სინამდვილეში ჯანსუღ კახიძის შემოქმედებითი მასშტაბი უპრეცედენტო მოვლენად დარჩება. ვინ ან რამ შეიძლება შეცვალოს ამ ადამიანის ღვაწლი? ... ჯანსუღ კახიძის უკანასკნელი წლების მოღვაწეობა თავისებური მსხვერპლთშეწირვა იყო იმ საოცრებისთვის, რასაც მუსიკა ჰქვია... მის მიერ აჟღერებული ჰანგი კი, სრულიად განუმეორებელი ტემბრითა და გამომსახველობით დარჩება მუსიკის, ქართული სიმღერისა და კულტურის სიყვარულის ჰიმნად.

წლები გაივლის, ცხოვრებაც თავისი დინებით წავა, მაგრამ ვიდრე იარსებებს ქართული კულტურის ფენომენი, მაესტროს ცხოვრება ერთ-ერთ ღირებულ ფურცლად დარჩება. და ამდენად, მისი ღვაწლიც, როგორც მონაპოვარი, ისე აღიქმება ათწლეულების შემდეგ. სწორედ ამიტომ, უკვდავებაში მარადიულ ბატონ ჯანსუღ კახიძეს ვულოცავთ კიდევ ერთ დაბადების დღეს.

აქტიური კულტურა პასიური საზოგადოებისთვის

სამინისტროში კულტურის პრიორიტეტიზაციის გეგმები დასახეს

ვერა ნეფარიძე

ახალი, 2003 წელი კულტურის სამინისტროში აშკარად განახლებული მონდომებით დაიწყეს. სამინისტრო წლის პირველივე დღეებში ახალი წინადადებებითა და ინიციატივებით გამოვიდა, რისი მორიგი დემონსტრირებაც გუშინ სამინისტროში გამართული "მრგვალი მაგიდა" იყო.

როგორ უნდა შუქდებოდეს ქართულ მედიაში კულტურული მოვლენები და როგორ უნდა ითანამშრომლონ ამ საკითხზე მედიის საშუალებებმა კულტურის სამინისტროსთან – ეს საკითხები იყო გუშინდელი შეხვედრის ძირითადი თემა. ჟურნალისტებთან შეხვედრას სამინისტროს კომუნიკაციებისა და ინფორმაციის დეპარტამენტის ახლადდანიშნული დირექტორი გია ქავთარაძე უძღვებოდა; არსებული ვითარების შესახებ საკუთარი ნეგატიური მოსაზრებები გამოთქვეს სამინისტროს თანამშრომლებმაც: გია ცქიტიშვილმა და ზურაბ ოიკაშვილმა. ყველაფრის მიუხედავად, რაც უნდა დაგვიანებულად ეჩვენოს ბევრს გუშინდელი შეხვედრა, ის მაინც დადებითად შესაფასებელია. თუკი ასეთ შეხვედრებს შესაბამისი რეალური შედეგებიც მოჰყვება, მაშინ მითუმეტეს...

"ჩვენი უპირველესი ამოცანა იქნება, ამ სფეროში არსებული ინფორმაცია მოგაწოდოთ სრულყოფილად", - შეგვპირდა გია ქავთარაძე. სამინისტროს წარმომადგენელთა თქმით, აუცილებელია მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმოს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში არსებულ კულტურულ მდგომარეობას; მეტნაკლებად გაშუქდეს რეგიონული კულტურული ცხოვრება და საზოგადოება არ შემოიფარგლოს იმ ინფორმაციით, რომელიც დედაქალაქის საზღვრებს არ სცილდება. სამინისტროს წარმომადგენლებმა არ დამალეს უკმაყოფილება იმის გამო, რომ პრესაში კულტურას არ აქვს პრიორიტეტი (ალბათ, პირიქით რომ ყოფილიყო ის უფრო გასაოცარი იქნებოდა) და ხშირ შემთხვევაში არაპროფესიონალურია პუბლიკაციები, ან ძალზე იშვიათად იბეჭდება ანალიტიკური სტატიები ახალი სპექტაკლების შესახებ და ა.შ. ჩვენი აზრით, ამაში მთლად ასე ცალსახად არ არის პრესის დადანაშაულება მართებული.

ჯერ ერთი, როდესაც სახელმწიფო პოლიტიკა კულტურულ ფასეულობებს არ ანიჭებს პრიორიტეტს, როგორ შეიძლება გაზეთის წამყვანი თემა კულტურა იყოს; როდესაც სახელმწიფოს მხრიდან უგულებელყოფილია კულტურა, ეს ნიშნავს, რომ ბიუჯეტიდან არ ფინანსდება ეს სფერო და შესაბამისად, ოფიციოზის დონეზე კულტურული ცხოვრება ვერანაირ მხარდაჭერას ვერ იღებს. მეორეს მხრივ, გაზეთი დემოკრატიულ ქვეყანაში სრულიად დამოუკიდებელი (ოფიციალური ორგანოებისგან) ორგანოა და აქედან გამომდინარე, სახელმწიფო სტრუქტურას არ უნდა აოცებდეს, რომ საგაზეთო ფურცლებზე მისი ინტერესები მისდა სასურველად არაა გამოხატული; ისე არც ამის მიღწევა იქნებოდა რთული, დაინტერესებული მხრიდან სათანადო ძალისხმევა და აქტივობა რომ არსებობდეს.

შეხვედრაზე წარმოდგენილი უახლოესი გეგმების მიხედვით, უნდა ვივარაუდოთ, რომ კულტურის სამინისტრო წელს დატვირთული გრაფიკით იმუშავებს. უახლოეს დღეებში განახლდება სამინისტროს ოფიციალური ვებ-საიტი, რაზედაც უკვე მუშაობს დაქირავებული ჯგუფი. ორ კვირაში ერთხელ კი ტრადიციული ბრიფინგები დამკვიდრდება.

კინოთეატრის ბედი საქართველოში

არჩილ მელიქიშვილი

კინოთეატრი "რუსთაველი"

ლევან ხუციშვილის ფოტო

დღეს ქართული კინოწარმოება აღარ არსებობს და ამას ზოგი მთავრობას აბრალებს, ზოგიც - ქვეყნის საერთო ეკონომიურ სიდუხჭირეს. არადა, მთავარი მიზეზი კინოსურათების გასაღების ბაზრის არარსებობაა. ფილმების საზღვარგარეთ გაყიდვას არ ვგულისხმობთ, უბრალოდ, საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს კინოგაქირავების ქსელი. კინოთეატრების უმრავლესობა კი ისეთ მდგომარეობაშია, არ მგონია, ადამიანს იქ შესვლის სურვილი გაუჩნდეს. შესაბამისად, უბრალო მაყურებლისთვის ძალიან ძნელია, ამა თუ იმ ახალი ფილმის ნახვა.

თუმცა, ამ ბოლო დროს, კერძო ინვესტიციების დახმარებით, ძველი კინოთეატრების ბაზაზე რამდენიმე ახალი და თანამედროვე კინოთეატრი გაიხსნა ("რუსთაველი", "ამირანი", "ელისო"). ჩვენ გავესაუბრეთ ამ სამივე კინოთეატრის მესვეურებს და შევეცადეთ, გაგვეგო, რა პერსპექტივები აქვს საქართველოში ამ სახის ბიზნესს.

კინოთეატრის მენეჯერებისა და მფლობელების თქმით, მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რომ საქართველოს მოქალაქეებს უმრავლესობისთვის ძალიან ძნელია, ერთ ბილეთში ხუთი-შვიდი ლარის გადახდა, რაც კინოთეატრში მისული მაყურებლის რაოდენობას ამცირებს. საოცარია, მაგრამ ყველაზე დიდი პოპულარობით საბავშვო ფილმები გამოირჩევა. ამის ახსნა საკმაოდ მარტივად შეიძლება - უფროსები ფულს საკუთარი თავისთვის ვერ იმეტებენ, მაგრამ შვილებისთვის თუ შვილიშვილებისთვის ბილეთს მაინც ყიდულობენ. როგორც კინოთეატრ "ამირანის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ქეთი მოდებაძე ამბობს, - ხშირად ხდება, როდესაც დედები შვილებს კინოდარბაზში უშვებენ, თავად კი გარეთ ელოდებიან ფილმის დამთავრებას.

ისიც აღსანიშნავია, რომ მაყურებელი, ძირითადად, მხიარული და გასართობი ჟანრის ფილმებს ეტანება, "სერიოზული კინო" ნაკლებად აინტერესებთ. კინოთეატრ "ელისოს" ხელმძღვანელობამ, ექსპერიმენტის სახით, გადაწყვიტა, საღამოს სეანსზე მაღალი მხატვრული დონის ფილმები გაეშვა, მაგრამ "ელისოს" მენეჯერის, დავით მარის თქმით, ამ იდეამ ჯერჯერობით არ გაამართლა და იძულებულები გახდნენ, საღამოს სეანსზე ისევ უფრო შემოსავლიანი, შედარებით მარტივი სიუჟეტის მქონე ფილმები გაეშვათ. ალბათ, გამართლება ამასაც აქვს. დღევანდელი ცხოვრების რიტმი იმდენად დაძაბულია, რომ მაყურებელი კინოთეატრებში, ძირითადად, დასასვენებლად და სხვადასხვა პრობლემების დასავიწყებლად მიდის. აღარავის უნდა, ფილმს ჩაულრმავდეს.

ერთგვარი სიძნელე ფილმების ქართულ ენაზე თარგმნაც გახლავთ. კინოსურათების უმრავლესობა ხომ რუსეთიდან შემოდის - შესაბამისი რუსული გახმოვანებით. ქართველი თინეიჯერების უმრავლესობამ კი რუსული ძალიან ცუდად იცის და კინოთეატრების მესვეურებს ჩამოტანილი ფილმების ქართულად გახმოვანება უწევთ. სრულყოფილი და მაღალხარისხიანი დუბლიაჟის განხორციელება ძვირი სიამოვნებაა, რისი საშუალებაც კინოთეატრებს არ აქვთ. ფილმების ქართულად გახმოვანება კუსტარულად ხდება, შესაბამისად, ხმის ხარისხი და თანამედროვე ფილმებისთვის დამახასიათებელი სპეცეფექტები იკარგება.

და მაინც, მიუხედავად მრავალი სიძნელისა, საქართველოში კინოთეატრის კულტურა ნელა, მაგრამ მაინც იკიდებს ფეხს. მაგალითად, წელს "რუსთაველი" საკუთარი სახსრებით ახალი კინოთეატრის გახსნას აპირებს. თანამედროვე კინოთეატრების ამუშავება საქართველოს სხვა რეგიონებშიც იგეგმება, თანაც - ხელისუფლების მხრიდან ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე.

"ბითლზი" ბენსონის პერსპექტივით

ალბანის ისტორიისა და ხელოვნების ინსტიტუტში გაიხსნა გამოფენა, რომელიც ექსკლუზიურად "ბითლზს" ეძღვნება. წარმოდგენილია 80-მდე ფოტოჟურნალისტის ნამუშევარი ჯგუფის ტურნეებიდან და ასევე ის ექსპონატები, რომლებიც "ბითლზის" ფანებისგან შეგროვდა.

თუმცა, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჰარი ბენსონის ფოტოები. ის ხომ "ბითლზს" მრავალი ისტორიული მოგზაურობისას ახლდა თან და ფირზე ასახავდა მათი ყოველდღიური ცხოვრების ყოველ დეტალს.

"ბითლზისა" და ბენსონის თანამშრომლობა 1964 წელს დაიწყო, როდესაც შოტლანდიური გაზეთის კორესპონდენტი რედაქტორმა პარიზში გააგზავნა – ბენსონს გაზეთისთვის "ბითლზის" შესახებ უნდა შეეგროვებინა მასალა. ფოტოგრაფიც მათ ყველგან დაჰყვებოდა, უღებდა სურათებს. მას დაფიქსირებული აქვს ის კადრები, როდესაც პოლ მაკარტნი და ჯორჯ ჰარისონი ეიფელის კოშკის ღია ბარათებს ათვალიერებენ, ჯონ ლენონი კი ნაპოლეონის ბიუსტს ასახიერებს. იმ ღამეს, როდესაც ჯგუფმა გაიგო, რომ ამერიკაში მიემგზავრებოდა, ლენონმა პოლს თავში ბალიში ჩაარტყა, რასაც შემდეგ დანარჩენებიც აყვნენ. ბუნებრივია, ბენსონიც იქვე იყო და მან ფოტოების ამ სერიას "ბალიშით ბრძოლა" უწოდა. მოგვიანებით კი აღიარა, რომ ისინი მისი საყვარელი ქმნილებებია.

ფლორიდაში ბენსონმა ბიჭები ზღვაზე გადაიღო, როდესაც ისინი ახალგაზრდა, ბიკინებში გამოწყობილ ქალებს ეარშიყებოდნენ. ერთ სურათზე რინგო სტარია აღბეჭდილი, როდესაც ის ტალღებში მდგარ გოგონას ესაუბრება, დანარჩენები კი მათ ირგვლივ დგანან. ბენსონი ჯგუფთან ერთად იყო მაშინაც, როდესაც ისინი ამერიკაში პირველად გაემგზავრნენ. ჰარი ბენსონი იმყოფებოდა იმ ოთახშიც, სადაც ბითლზებმა აღმოაჩინეს, რომ ედ სალივანის შოუში მიიღებდნენ მონაწილეობას. ბენსონი მათთან იყო, როდესაც სიმღერა I Want to Hold Your Hand დიდ ათეულში აღმოჩნდა...

როგორც თავად დარწმუნდით, ბენსონის ფოტოების ხილვა "ბითლზის" მრავალ თაყვანისმცემელს გაახარებს. გამოფენა "ბითლზი": მაშინ და დღეს" (The Beatles: Now and Then) 2 მარტამდე გრძელდება.

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დელეგაციები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)



გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამბავში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით გეთქოვენის "ომეარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

ლეგენდარული ზაგალო კვლავ "სელესაოს" სამსახურშია

ბრაზილიამ ნაკრების ახალი მწვრთნელი დაასახელა

აკა ტონია

შემოდგომაზე კორეის ნაკრების წინააღმდეგ გამართულ ამხანაგურ მატჩში ის კვლავ მიიწვიეს ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელად, მხოლოდ ერთ შეხვედრაში, მხოლოდ იმიტომ, რომ "სელესაო" მწვრთნელის გარეშე იყო დარჩენილი. კორეაში 3:2 გამარჯვება მარიო ("ლობო") ზაგალოსთვის საიუბილეო, რიგით მე-100 იყო ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში, შესანიშნავი კარიერის შესანიშნავი დასასრული... ყოველ შემთხვევაში, ასე გვეგონა ყველას.

მარიო ზაგალო, მეტსახელად "El Lobo", რაც პორტუგალიურ ენაზე მგელს ნიშნავს, ახლა 74 წლის არის. 10 მარტს ის 75-ის გახდება. ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში მან 48 მატჩი ჩაატარა და 2-ჯერ დაეუფლა მსოფლიო თასს (1958 და 1962 წლებში). 1966 წლიდან სამწვრთნელო საქმიანობას მიჰყო ხელი და "ბოტაფოგოს" ჩაუდგა სათავეში. 1970 წელს კი ბრაზილიის ნაკრებს დაუბრუნდა მწვრთნელის ამპლუაში და კვლავ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ყოველივე ამის შემდეგ წვრთნიდა ცნობილ ბრაზილიურ კლუბებს - "ფლუმინენსეს", "ფლამენგოს", "ვასკო და გამას", კუვეიტშიც კი მუშაობდა. 1994 წელს ის კვლავ "სელესაოს" დაუბრუნდა, ამჯერად ტექნიკური დირექტორის პოსტზე - იგივე მეორე მწვრთნელად, და კვლავ მსოფლიო თასი – რიგით მეოთხე! 4 წლის შემდეგ ის მთავარი მწვრთნელის პოსტს დაუბრუნდა და ბრაზილია მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა, ეს კი ამ ქვეყანაში ტრაგედიად აღიქმება. ზაგალო დაითხოვეს და მან საკლუბო საქმიანობა განაგრძო, მისმა შემცვლელმა სკოლარიმ კი ბრაზილიას მეხუთე ტიტული მოუტანა. როგორც სტატიის დასაწყისში ვთქვით, გასულ წელს ზაგალო კვლავ დაუბრუნდა ნაკრებს და საიუბილეო გამარჯვებით გამოემშვიდობა კიდეც მას. ზაგალო მსოფლიო ფეხბურთის ისტორიის ყველაზე ტიტულოვანი ადამიანია, ის მსოფლიოს 4-გზის ჩემპიონია. მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში ასეთი შედეგისთვის ერთად აღებულ ყველა თაობას არ მიუღწევია.

კარლოს ალბერტო პარეირა და ზაგალო

რამდენიმე დღის წინათ გაუწყებდით ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, რიკარდო ტეიშეირას განცხადების შესახებ, რომ ის მომავალ კვირას ნაკრების ახალი მწვრთნელის ვინაობას გაამხელდა, ვისაუბრეთ შესაძლო კანდიდატებზეც, მაგრამ ზაგალო არ გვიხსენებია - ოღონდ არა იმიტომ, რომ შევცდით. ზაგალო მთავარ მწვრთნელად არც დაუნიშნავთ, მაგრამ...

მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატზე, როდესაც ზაგალო ბრაზილიის ნაკრებს წვრთნიდა, მას ერთი კაცი ეხმარებოდა – მაშინდელი ტექნიკური დირექტორი, კარლოს ალბერტო პარეირა. 1994 წელს, როდესაც ზაგალო ნაკრებში ტექნიკური დირექტორის პოსტზე დაბრუნდა, მთავარი მწვრთნელი სწორედ კარლოს ალბერტო პარეირა იყო – ამ ტანდემმა ორივეჯერ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა ბრაზილიის ნაკრებს.

რიკარდო ტეიშეირამ ახალი მწვრთნელის დანიშვნისას ფსონი ამჯერადაც წარმატებაზე დადო: ბრაზილიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად კვლავ კარლოს ალბერტო პარეირა დაინიშნა, ტექნიკურ დირექტორად კი... მარიო ზაგალო – ისტორია მეორდება!

8 იანვარს რიო დე ჟანეიროში, ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის შენობაში პრეს-კონფერენცია გაიმართა, სადაც ოფიციალურად გაცხადდა, რომ "სელესაოს" კვლავ ეს დუეტი ჩაუდგება სათავეში.

რიკარდო ტეიშეირამ ამით ის გეგმა განახორციელა, რომელიც ყველაზე ოპტიმალური იყო მისთვის. ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ყოველთვის მიიჩნეოდა პარეირას და ზაგალოს დიდ მეგობრად, ის მათ ბრმად ენდობა. იყო საუბრები, რომ ტეიშეირას ნაკრების სათავეში 1994 წლის გუნდის ხელმძღვანელობის მოყვანა სურდა, რაც გააკეთა კიდეც: პარეირას და ზაგალოს გარდა, "სელესაოს" დაუბრუნდა გენერალური მენეჯერი, ჟაირო ლეალი, ფიზმომზადების მწვრთნელი პაულო პაიშაო, ხოლო ექიმის პოსტს მორასი სანტანა დაიკავებს.

8 იანვრის პრეს-კონფერენციაზე პარეირამ მომავალ გეგმებზეც ისაუბრა. მან განაცხადა, რომ არაფერში სჭირდება "უკან ყურება" და რომ მხოლოდ მომავალზე ფიქრობს. ახალმა მწვრთნელმა თავი ვერ დააღწია რომარიოზე საუბარს. თავის დროზე ამ ფეხბურთელთან მასაც ჰქონდა კონფლიქტი, თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ჯგუფში შექმნილი რთული მდგომარეობის გამო (ბრაზილიის ნაკრებს მაშინაც ჰქონდა ჯგუფიდან გასვლის პრობლემა), პარეირამ და ზაგალომ რომარიო გუნდში დააბრუნეს, ამ უკანასკნელმა კი მადლიერება ურუგვაის წინააღმდეგ გადამწყვეტ მატჩში გატანილი 2 გოლით გამოხატა, შემდეგ კი მსოფლიოს ჩემპიონატის გმირიც გახდა. 1998 წელს, როდესაც მთავარი მწვრთნელი ზაგალო იყო, რომარიო მსოფლიო ჩემპიონატს მიღმა დატოვეს - ვითომდა ტრავმის გამო... რომარიოს და ზაგალოსთან საბოლოოდ გაფუჭდა ურთიერთობა, თუმცა - არა პარეირასთან: კარლოს ალბერტოს დღემდე არ დავიწყებია, რომ 1994 წლის ტრიუმფს სწორედ რომარიოს უნდა უმადლოდეს. "2006 წლის ჩემპიონატზე რომარიო 40 წლის იქნება და ჩვენც იძულებული ვართ, სხვა ალტერნატივები ვეძებოთ, თუმცა თუ ის ამ დროისათვის კვლავაც ჩინებულ ფორმაში იქნება, გამორიცხული არაფერია", - განაცხადა პარეირამ.

ძნელი სათქმელია, რა იქნება 2006 წელს, მაგრამ რომარიო კვლავინდებურად ბრწყინავს, მისი "დაჩაგვრა" კი გულშემატკივრის კიდევ ერთხელ გაღიზიანებას გამოიწვევს. ლუის ფელიპე სკოლარი ხალხის რისხვას მხოლოდ იმიტომ გადაურჩა, რომ რომარიოს გარეშეც მოიგო მსოფლიო ჩემპიონატი. წინააღმდეგ შემთხვევაში ბრაზილიაში კარგა ხანს ვერ დაბრუნდებოდა, ისევე როგორც ზაგალო - 1998 წელს. მსოფლიოს ჩემპიონატზე განცდილი მარცხი გულშემატკივრებმა რომარიოს შინ დატოვებას დააბრალეს. აღსანიშნავია, რომ, მიღწევების მიუხედავად, ბრაზილიაში ზაგალო მაინც ისე არ უყვართ, როგორც ის ამას იმსახურებს. ის ჯიუტი, შეუვალი ხასიათის კაცად არის ცნობილი.

1994 წლის ჩემპიონატის გამარჯვებამ პარეირასაც "უშველა". მთელი ტურნირის განმავლობაში მას უმოწყალოდ აკრიტიკებდნენ, რადგან გუნდს "ზედმეტად ევროპული მანერით" ათამაშებდა, თუმცა კანონით - "გამარჯვებულებს არ ასამართლებენ," ბრაზილიაშიც მოქმედებს.

დავუბრუნდეთ პრეს-კონფერენციას. რომარიოს ალტერნატივებზე საუბრისას პარეირამ, პირველ რიგში, ახსენა ბრაზილიის ამომავალი ვარსკვლავი, 18 წლის რობინიო. ეს სუპერ ტალანტი ამჟამად "სანტოსში" თამაშობს, თუმცა მთელი ევროპა მასზე ნადირობს. ახლად დანიშნულმა მწვრთნელმა ქების სიტყვები არ დაიშურა თავისი წინამორბედის, ლუის ფელიპე სკოლარის მისამართით: "ის, რომ ბრაზილია მეხუთედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, საგრძნობლად გვიადვილებს მომავალ სამუშაოს. სკოლარი უდიდესი მწვრთნელი იყო, რომელმაც ბრაზილიას უდიდესი სიხარული აჩუქა", - აღნიშნა პარეირამ. საფეხბურთო ფილოსოფიის მხრივ, ამ ორ მწვრთნელს შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაა: სკოლარი გუნდს 3-4-2-1 სქემით ათამაშებდა, პარეირა კი, ისევე როგორც ზაგალო, ყოველთვის წმინდა 4-4-2-ით "თამაშობს".

ბრაზილიის ნაკრების მომავალი მატჩი ჩინეთის ნაკრების წინააღმდეგ 12 თებერვალს არის დანიშნული და, სავარაუდოდ, ჰონგ კონგში გაიმართება. შემდეგ კი ძველ მეგობართან ელით შეხვედრა (სკოლარი და მისი პორტუგალია).

ფეხბურთში, ისევე როგორც, საერთოდ, ცხოვრებაში, ისტორიები ხშირად მეორდება. პარეირას და ზაგალოს დუეტი ბრაზილიის ნაკრებს 1970 და 1994 წლებში ედგა სათავეში და "სელესაო" ორივეჯერ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ბრაზილიელთა წარმატებების გადამკიდე, პორტუგალიურ ენაზე 5-მდე თვლა მთელმა მსოფლიომ ისწავლა, ნუთუ 2006 წელს 6-მდეც ვისწავლით?..

კაზუიუკი ტოდა და დაისუკე ისიკავა ევროპაში ითამაშებენ

იაპონური "სიმიძუ ეს-პალსის" ორი ფეხბურთელი, შეიძლება, უახლოეს მომავალში ევროპულ კლუბებში აღმოჩნდეს. როგორც ირკვევა, კაზუიუკი ტოდა და დაისუკე ისიკავა თავის კარიერას, შესაბამისად, ინგლისურ "სანდერლენდსა" და ფრანგულ "სტრასბურში" გააგრძელებენ.

ტოდა, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატზე იაპონიის ნაკრების შემადგენლობაში ოთხივე მატჩი ჩაატარა და გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი ბრაზილიელი ზაგალოს მოსვლის შემდეგ დაკარგა, ინგლისში გამგზავრებას აპირებს და "სანდერლენდის" შემადგენლობაში ორკვირიან სინჯებზე დარჩება. იაპონელი ნახევარმცველი, უკვე დიდი ხანია, რაც ევროპის რომელიმე ჩემპიონატში თამაშზე ოცნებობს.

თავის მხრივ, იაპონელებს წამყვანი ფეხბურთელის დაკარგვა უჭირთ. "ეს-პალსის" ახალი მწვრთნელი, ტაკეში ოკი იმედოვნებს, რომ ინგლისურ კლუბთან ტოდას მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდება და კლუბის წამყვანი ფეხბურთელი ყოფილი მწვრთნელის განკარგულებაში დაბრუნდება. აღსანიშნავია, რომ თუ ტოდა ინგლისში გადავა, ის პრემიერლიგის მესამე იაპონელი ფეხბურთელი გახდება. ამჟამად ნისლიან ალბიონზე თამაშობენ - ინამოტო ("ფულჰემი") და აკინორი ნისიზავა ("ბოლტონი").

რაც შეეხება ისიკავას, რომელმაც ასევე ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატზე, უკვე ჩავიდა საფრანგეთში და "სტრასბურში" სინჯებზე იმყოფება. "მე ყველაფერს ვიღონებ იმისთვის, რომ "სტრასბურის" მწვრთნელს თავი მოვაწონო და კლუბში დავრჩე, – ამბობს 22 წლის მცველი, – დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი მომავალი ამ ფრანგულ კლუბს დაუკავშირდება".

გარდა ამისა, შესაძლოა, "ეს-პალსმაც", რომელმაც ჯეი-ლიგის შარშანდელი გათამაშება მისთვის უჩვეულო მე-12 ადგილზე დაასრულა, აზიის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, სამხრეთ კორეელი ან ჩჟუნ ხვანი მოისაკლისოს. თავდამსხმელი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატზეც გამოიჩინა თავი, იმედოვნებს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ინგლისის ჩემპიონატში ითამაშებს. ბვანის პირველი ცდა უშედეგოდ დასრულდა. შარშან მან "ბლექბერნ როვერსთან", თითქმის, გააფორმა კონტრაქტი, მაგრამ პედანტმა ინგლისელმა ჩინოვნიკებმა ხვანს ბრიტანეთის სამუშაო ვიზა არ აღირსეს.

მიოლერი ფეხბურთიდან მიდის

გერმანიის ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა, ანდრეას მიოლერმა განაცხადა, რომ "შალკე 04-თან" კონტრაქტის გაგრძელებას არ აპირებს. ფეხბურთელის თქმით, მის სპორტულ კარიერაში წლევანდელი სეზონი უკანასკნელი იქნება. "ძალიან მინდა, დარჩენილ ოთხ თვეში კარგი თამაში ვაჩვენო და შემდეგ ლამაზად წავიდე," – თქვა 35 წლის ფეხბურთელმა.

"მიოლერი ის ფეხბურთელია, რომელიც საზეიმო გაცილებას იმსახურებს", – მიაჩნიათ გერმანელებს. 1996-1999 წლებში ის დორტმუნდის "ბორუსიას" შემადგენლობაში გერმანიის ჩემპიონი გახდა. 1997 წელს კი იმავე კლუბთან ერთად ჩემპიონთა ლიგა მოიგო. საინტერესოა, რომ მისი ადრეული წარმატებები ტურინის "იუვენტუსს" უკავშირდება, სწორედ იმ გუნდს, რომელიც დორტმუნდელებმა 1997 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში დაამარცხეს.

ბარსელონადან ლისაბონში

უახლოეს ორ დღეში "ბარსელონას" ბრაზილიელი ფეხბურთელი, ჯოვანი ლისაბონში გაემგზავრება, სადაც ადგილობრივ "ბენფიკასთან" კონტრაქტს გააფორმებს. კატალონიური პრესსამსახურის ცნობით, ორ კლუბს შორის შეთანხმება 7 იანვარს მოხდა. თუმცა, "ბენფიკას" ხელმძღვანელობა კონტრაქტის პირობებზე საუბარს ერიდება და აცხადებს, რომ ეს კლუბის საშინაო ინფორმაციაა.

პორტუგალიური პრესა კი არ ცხრება. მისი ინფორმაციით, ცხადდება, რომ ჯოვანის ახალი კლუბი ფეხბურთელს გადაუხდის იმ ხელფასის მხოლოდ 35 პროცენტს, რასაც "ბარსელონაში" იღებდა (ესპანეთში ფეხბურთელის წლიური ხელფასი 2 მილიონ ევროს შეადგენდა). დანარჩენ თანხას კი კატალონიური კლუბი დაფარავს.

რაც შეეხება ჯოვანის, ის აცხადებს, რომ "ბენფიკაში" თამაშისთვის აბსოლუტურად მზად არის. პორტუგალიას უახლოესი მატჩი 11 იანვარს აქვს. "11 იანვარს ჩემი დაბადების დღეა და ყველაფერს ვიღონებ, რომ "ბენფიკას" გამარჯვებაში დავეხმარო," – ამბობს ჯოვანი.

რობერტო კარლოსს კარიერის დასრულება იტალიაში სურს

მადრიდის "რეალის" ბრაზილიელ მცველს, რობერტო კარლოსს კარიერის დასრულება იტალიაში აქვს გადაწყვეტილი, კერძოდ - მილანის "ინტერში".

ოთხშაბათს იტალიურ გაზეთ "Gazzetta dello Sport"-თვის მიცემულ ინტერვიუში კარლოსმა კიდევ ერთხელ განაცხადა ის, რასაც აქამდეც ხშირად იმეორებდა. "ინტერში" ის მადრიდში გადაბარგებამდე თამაშობდა და არასოდეს მალავს, რომ სიამოვნებით დაუბრუნდებოდა ყოფილ კლუბს. "მომავალი ორი წლის მანძილზე უთუოდ "რეალში" ვითამაშებ, მაგრამ ამის შემდეგ, შესაძლოა, მორატიმ და პერესმა მიაღწიონ შეთანხმებას. პირადად მე სიამოვნებით დავამთავრებდი ჩემს კარიერას "ინტერში", - განაცხადა კარლოსმა.

"ინტერის" შემადგენლობაში ბრაზილიელი 1995/1996 წლებში თამაშობდა. 30 შეხვედრაში მან 6 გოლი გაიტანა, შემდეგ კი გაყიდეს. მილანელთა მწვრთნელი მაშინ ინგლისელი როი ჰოჯსონი იყო, სწორედ მან გადაწყვიტა კარლოსის გასხვისება.

თავად ფეხბურთელი იტალიელთა გადაწყვეტილებას ასე ხსნის: "იტალიაში განსხვავებული შეხედულება აქვთ იმაზე, თუ როგორ უნდა თამაშობდეს მცველი. მე ხშირად ვერთვები შეტევებში, რაც იქ დაუშვებელია. მორატისთანაც და ჰოჯსონთანაც შესანიშნავი ურთიერთობა მქონდა, თუმცა "რეალის" წინადადებაზე მათ უარი ვერ თქვეს", - ამბობს კარლოსი და იმ წლებს იხსენებს, რომლებიც მილანში გაატარა: "მილანში ბედნიერად ვცხოვრობდი. არასოდეს დამავიწყდება ჩემი უკანასკნელი მატჩი. როდესაც შეხვედრა მორჩა და მანქანაში ჩავჯექი, გარეთ უამრავი ბავშვი დამხვდა, რომლებსაც 6-ნომრიანი მაისურები ეცვათ. ისინი დიდ ხანს მოსდევდნენ ჩემს მანქანას. ეს შესანიშნავი იყო..."

რობერტო კარლოსი

პიზარო ფიტცფელდს აკრიტიკებს

"ბაიერნის" რიგებში აჯანყებაა. პერუელმა კლაუდიო პიზარომ და ხორვატმა ნიკო კოვაჩმა ოტმარ ჰიტცფელდის პოლიტიკის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლეს. საქმე ის არის, რომ ფეხბურთელებს მოწყინდათ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა და მწვრთნელისგან თავის გამოჩენის შანსს მოითხოვენ. ორივე ფეხბურთელს კონტრაქტი 2005 წლამდე აკავშირებს ბავარიულ კლუბთან, ამიტომ სულაც არ სურთ, მთელი ეს დრო სათადარიგოთა სკამზე გაატარონ.

ფეხბურთელებმა "ბაიერნის" ესპანურ შეკრებაზე თავისი უკმაყოფილება ხმამაღლა გამოხატეს. "ამ დღემდე სხვას არაფერს ვაკეთებ გარდა იმისა, რომ მეორე წრისთვის სასურველი ფორმა აღვიდგინო, – აცხადებს პერუელი, – და თუ კვლავ თამაშგარე მდგომარეობაში აღმოვჩნდები, მაშინ გუნდის შეცვლაზე დავიწყებ ფიქრს".

ხორვატი ლეგიონერი კი უფრო თავმდაბალი იყო. მან განაცხადა: "მე ძალიან კარგი ფეხბურთელი ვარ იმისთვის, რომ სათადარიგოთა სკამზე ვიჯდე".

თუმცა, ნიკო კოვაჩის უკმაყოფილება მაინც აშკარაა. რაც შეეხება პიზაროს, იგი პრინციპულად არ ცხრება და არც ჰიტცფელდის კრიტიკას ერიდება.

იგი პერუელ მწვრთნელს ტაქტიკასაც უწუნებს და ამბობს, - "ბაიერნი" დაცვითი სტილის ფეხბურთს თამაშობს, მე კი შემტევი ფეხბურთის მოტრფიალე ვარ და ჩემი გადარწმუნება ძალიან რთული იქნება".

კლაუდიო პიზარო

რაგბი

ქართველებმა ტუნისელები უარით გაისტუმრეს

ქართველ ბორჯღალოსნებს, მსოფლიო თასისთვის უკეთ მომზადების მიზნით, შეიძლებოდა, ადრე დაგეგმილი სამი ტესტ-მატჩის ნაცვლად, მეოთხე მატჩი გაემართათ. საქართველოს ნაკრებთან ამ მეოთხე მატჩის გამართვის სურვილი ტუნისის ნაკრებს გაუჩნდა.

ჰაატა თოთაძე

ინფორმაცია ტუნისელთა ამ სურვილის შესახებ ორი დღის წინ გავრცელდა, გუშინ კი მატჩის გამართვის თარიღიც დადგინდა - 16 იანვარი. უცხოურ სააგენტოებს თუ დავუჯერებთ, მატჩის გამართვა გადაწყვეტილია, თუმცა...

"სავარაუდოდ, ტუნისელებთან მატჩი არ შედგება. ამის მიზეზი, ორგანიზაციული პრობლემების გარდა, ისიც არის, რომ ჩვენი ნაკრების რამდენიმე წევრი, რომელთა გამოცდასაც ვაპირებდით, ამჟამად ტრავმირებულია. საქართველოს რაგბის კავშირს კი სახსრები არ გააჩნია, ასეთ არაფრის მომცემ მატჩზე გააგზავნოს მოთამაშეები საქართველოდან. აღსანიშნავია, რომ ტუნისის ნაკრები არაა იმ დონის გუნდი, რომელთანაც თამაში საოცნებო იყოს, და მეორეც - შეხვედრა ნაადრევად იმართება. ტუნისის ნაკრებისთვის ეს თარიღი ხელსაყრელია, ჩვენ კი არაფერში გვარგია 16 იანვარს თამაში", - განუცხადა "24 საათს" საქართველოს რაგბის კავშირის მედია მენეჯერმა, გია კუბლაშვილმა.

ტუნისის ნაკრები იანვრის ბოლოს და თებერვლის დასაწყისში რუსეთის ნაკრებს უნდა შეეჯიბროს მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე გასასვლელად. აქედან გამომდინარე, აფრიკელებს საქართველოს ნაკრებთან პაექრობა ამ მნიშვნელოვანი მატჩისთვის მოსამზადებლად ერთობ წაადგებოდათ, ბორჯღალოსნებს კი ერთა თასის გათამაშების დაწყებამდე ჯერ დიდი დრო აქვთ დარჩენილი და ტუნისთან თამაში მათ არაფერს შემატებს. პირველ მატჩს ქართველები პორტუგალიის ნაკრებთან 15 თებერვალს გამართავენ. ბორჯღალოსნები ამ მატჩისთვის საფრანგეთში მოემზადებიან, იქვე ექნებათ შეკრებაც. პორტუგალიელები კი საწვრთნელ პროცესს სამშობლოში გაივლიან. იანვრის თვეში პორტუგალიაში მოთამაშე ნაკრების წევრები ყოველ ხუთშაბათს ივარჯიშებენ. ქართველებთან თამაშამდე ორი კვირით ადრე კი მზადების გადამწყვეტ ეტაპს დაიწყებენ. მატჩამდე ერთი კვირით ადრე გუნდს ლეგიონერებიც შეუერთდებიან.

უკვე დადგინდა იტალიისა და საქართველოს ნაკრებების ტესტ-მატჩის გამართვის თარიღი. გუშინ იტალიის რაგბის კავშირმა ნაკრების მიერ წელს გასამართი მატჩების კალენდარი გამოაქვეყნა. იტალიელებისთვის საქართველოსთან მატჩი რიგით მეცხრე იქნება და 6 სექტემბერს გაიმართება.

საკლუბო სიახლეები კი ასეთია: სამი დღის წინ განახლდა საფრანგეთის ჩემპიონატი მეორე დივიზიონში. ლიდერი, როგორც შესვენებამდე იყო, კვლავაც "ბრივია", რომელმაც 92:7 "ობენი" გაანადგურა. მამუკა მაგრაქველიძის "მონპელიე" ისევ მეორე ადგილზეა და ლიდერს ერთი ქულით ჩამორჩება. ბოლო ტურში ქართველმა მორკინალმა "მეტრო რასინგის" წინააღმდეგ მხოლოდ 4 წუთს ითამაშა, რადგან ტრავმა მიიღო. "მონპელიემ" კი მეტოქე 19:13 დაამარცხა. მეტოქის რიგებში კვლავ არ უთამაშია გრეგუარ იაშვილს. ტოპ 16-ში (უმაღლეს დივიზიონში) გადასვლის შანსი კიდევ ერთ ქართველს, ბესიკ ხამაშურიძეს აქვს. მისმა "ოშმა" სტუმრად "ბაიონი" დაამარცხა და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე დამკვიდრდა. გაიმარჯვა "ლა როშელმაც", რომლის ღირსებასაც სოსო ნიკოლაენკო და გია ჩხაიძე იცავენ, ირაკლი აბუსერიძის "ორიაკი" კი "მარმანდთან" შეხვედრაში ფრეს დასჯერდა. ქართველმა ნახევარმცველმა მხოლოდ 8 წუთი დაჰყო მოედანზე.

საუკეთესოებს ლონდონში გამოავლენენ

ჯეისონ რობინსონი

ფაბიენ გალტიე

სპორტის სხვა სახეობების მსგავსად, რაგბის მმართველი ორგანიზაცია (IRB) ყოველი წლის გამორჩეულ სპორტსმენებს, გუნდებს და მწვრთნელებს ასახელებს. გასული წლის გამორჩეულთა ვინაობა 26 იანვარს გაირკვევა.

დაჯილდოების ცერემონიალი ლონდონში, სასტუმრო "ლენდმარკში" გაიმართება. "წლევანდელი ცერემონიალი რიგით მეორეა და, სანახაობრივი თვალსაზრისით, შარშანდელზე გაცილებით უკეთესი იქნება", - ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა IRB-ს წარმომადგენელმა. ინგლისურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ცერემონიალი, დაახლოებით, სამ საათს გაგრძელდება, მანამდე კი IRB-ს ხელმძღვანელები და წლის საუკეთესო მორაგბის ტიტულის კანდიდატები ერთობლივ პრესკონფერენციას მოაწყობენ.

ტიტულის შარშანდელი მფლობელი, ირლანდიელი ქით ვუდი წელს კანდიდატთა შორის არ არის, რადგან, ტრავმის გამო, მას დიდი ხნით მოუწია დასვენება. სამაგიეროდ, მისი თანამემამულე, ბრაიან ოდრისკოლი გამარჯვების ერთ-ერთ კანდიდატად არის მიჩნეული. მასთან ერთად ტიტულის მოპოვების რეალური შესაძლებლობა საფრანგეთის ნაკრების შერკინების ნახევარმცველს, ფაბიელ გალტიეს აქვს. მათ გარდა კანდიდატები არიან: ჯეისონ რობინსონი (ინგლისი), რიჩარდ მაკკიუ (ახალი ზელანდია) და ჯო ვან ნიკერკი (სამხრეთ აფრიკა).

2002 წლის საუკეთესო მორაგბის გარდა, IRB დაასახელებს საუკეთესო გუნდს და მწვრთნელს, ასევე - ახალგაზრდებს შორის გამორჩეულ ჭაბუკ და ქალ მორაგბეებს.

ქადრაკი

კასპაროვს მილიონს ედავებიან

გარი კასპაროვი

ისრაელის საერთაშორისო ბანკსა და გარი კასპაროვს შორის რამდენიმე წლის წინათ დაწყებული ურთიერთობა უაღრესად იძაბება. ბანკის წარმომადგენლები ცდილობენ, არც თუ დიდი ხნის წინათ გაცემული კრედიტი პირადად კასპაროვს დააფარინონ და, ბუნებრივია, მოჭადრაკის მხრიდან დიდ წინააღმდეგობას აწყდებიან.

ეს ისტორია რამდენიმე წლის წინათ დაიწყო. კასპაროვმა და ისრაელის მოქალაქე ორმა მისმა კომპანიონმა ჩამოაყალიბეს კომპანია "Kasparov chess company". კომპანიის მიზანი მთელს მსოფლიოში ჭადრაკის პოპულარიზაცია იყო. ამის გარდა, ნებიმიერ მსურველს ინტერნეტის საშუალებით შეეძლო ონლაინ რეჟიმში თამაში, საჭადრაკო სამყაროში მომხდარ ამბებზე ახალი ინფორმაციებისა და თვით კასპაროვისგან რჩევების მიღება. რადგან მოჭადრაკეს პროექტის გასახორციელებლად საკმაო სახსრები არ გააჩნდა, კომპანიონებმა ისრაელის ბანკიდან აიღეს კრედიტი. მართალია, თანხა არ ზუსტდება, მაგრამ ბანკის წარმომადგენელთა თქმით, ის მილიონ დოლარს სცილდება. ვარაუდის მიუხედავად, პროექტი წარმატებული არ გამოდგა. ამის მიზეზად სარეკლამო კამპანიის არასწორად წარმართვას მიიჩნევენ, თუმცა სხვა მიზეზებსაც ასახელებენ. ასეა თუ ისე, პროექტი ჩაიშალა და კომპანიამაც არსებობა შეწყვიტა. ბანკმა მაშინვე სცადა კუთვნილი ფული დაებრუნებინა, მაგრამ მისი ცდა მაშინ უშედეგოდ დასრულდა. რადგან კომპანია ოფიციალურად აღარ არსებობს, ბანკის წარმომადგენლები თანხის დაფარვას მთლიანად გარი კასპაროვს სთხოვენ, რაზეც ის, ბუნებრივია, უარს აცხადებს.

ამერიკის ერთ-ერთი შტატის სასამართლომ, სადაც ეს კომპანია რეგისტრირებული იყო, ბანკის მოთხოვნა არამართებულად შეაფასა. საქმე ისაა, რომ თავად კასპაროვს ბანკთან არანაირი ურთიერთობა არ ჰქონია და არც რაიმე დოკუმენტზე აქვს ხელი მოწერილი. ამ ურთიერთობას მისი კომპანიონები წარმართავდნენ.

მოჭადრაკის ადვოკატის განცხადებით, ბანკს სურს, კასპაროვის სახელით ისარგებლოს და ფული იშოვოს, რასაც ისინი არაფრის დიდებით არ დაუშვებენ.

ისრაელის ბანკსა და კასპაროვს შორის ურთიერთობა კი უაღრესად დაიძაბა. ამის გამო, კასპაროვმა ისრაელში ჩასვლასა და იქ ორი მატჩის ჩატარებაზე უარი განაცხადა. გარდა ამისა, სავარაუდოა, რომ კასპაროვი ნიუ-იორკში დანიშნულ კომპიუტერთან პაექრობაზეც უარს იტყვის. ყოველ შემთხვევაში, ასე ურჩევენ მას ადვოკატები, რათა ვითარება კიდევ უფრო არ დაიძაბოს.

კალათბურთი

ჭირვეული შაკილი

"ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" ვარსკვლავმა, შაკილ ო`ნილმა განაცხადა, რომ 2004 წლის ოლიმპიადაზე ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში არ ითამაშებს. "საკმარისია. მე უკვე ორი მედალი მოვიპოვე. როცა ვთამაშობდი, ჩვენ ზედიზედ 55 გამარჯვება ვიზეიმეთ და არ მინდა, ეს მიღწევა შევბღალო," – განაცხადა "ლეიკერსის" გიგანტმა. შაკილ ო`ნილმა საუბარში ისიც თქვა, რომ ნაკრებში ითამაშებდა მხოლოდ მისი მწვრთნელის, ფილ ჯექსონის ხელმძღვანელობით, რომელმაც უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში NBA-ის 9 საჩემპიონო ტიტული მოიგო.

ეს განცხადება შაკილ ო`ნილმა პროტესტის ნიშნად გააკეთა, რაც "დრიმ თიმის" მწვრთნელად "ფილადელფიელი" ლარი ბრაუნის დანიშვნას უკავშირდება.

"მწვრთნელი ლარი ბრაუნი იქნება? ალბათ, 2004 წელს მუხლი მეტკინება, – ასე გამოეხმაურა ბრაუნის დანიშვნას შაკილ ო`ნილი, – მოკლედ, თუ ფილი ნაკრების მწვრთნელი არ იქნება, ტკივილს არ ავიტან. ლარი ძალიან კარგი კაცია. კალათბურთში ბევრს მიაღწია. წარმატებებსაც ვუსურვებ და სიკვდილამდეც მიყვარს, მაგრამ...".

1994 წელს შაკილ ო`ნილმა ტორონტოში მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო. ორი წლის შემდეგ კი - ატლანტის ოლიმპიური თამაშები. ო`ნილისგან განსხვავებით, "ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" კიდევ ერთმა ლიდერმა, კობი ბრაიანტმა ოლიმპიადაში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა.

მოკლედ

ჩოგბურთი. რუსი მარატ საფინი ნეგატიურად შეხვდა ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე, შესაძლოა, დოპინგ-ტესტები ჩატარდეს. ის ტურნირის "ლაზარეთად" გადაქცევის წინააღმდეგია და მიაჩნია, რომ დოპინგი ჩოგბურთის უმთავრესი პრობლემა არ არის. თავის მხრივ, ამერიკელმა ანდრე აგასიმ, რომელმაც მელბურნში საჩვენებელ ტურნირში ითამაშა, მხარი დაუჭირა დოპინგ-ტესტების ჩატარებას, რათა "სუფთა თამაში" გაიმართოს.

■ ■ ■

ფორმულა 1. ალან მაკინში ფორმულა 1-ში სპორტულ კარიერას მაინც გააგრძელებს. მან "რენოსთან" კონტრაქტი გააფორმა და გუნდში ტესტ-პილოტად იმუშავებს. შეგახსენებთ, რომ შარშანდელი სეზონის ბოლოს მაკნიში და ფინელი მიკა სალო "ტოიოტამ" გაათავისუფლა. მაკნიში სპორტული კარიერის გაგრძელებას ამერიკულ "ინდი კარში" აპირებდა, მაგრამ ფრანგული საჯინიბოს წინადადება მას უფრო მიმზიდველად მოეჩვენა. "რენოს" საპრიზო პილოტები კი არიან - იარნო ტრული და ფერნანდო ალონზო.

■ ■ ■

ველოსპორტი. კანადური კვებეკ-სიტი იმედოვნებს, რომ 2008 წელს უმასპინძლებს მრავალდღიანი ველორბოლის - "ტურ დე ფრანსის" ერთ-ერთ ეტაპს. კვებეკელებმა ამ მოთხოვნით უკვე გააგზავნეს განაცხადი შეჯიბრების ორგანიზატორთა პარიზის შტაბ-ბინაში. "ტური" საფრანგეთის საზღვრებს უკვე გასცდა. თუმცა, ევროპის საზღვარი ჯერ არასდროს გადაუკვეთავს. კვებეკ-სიტის მერმა, ჟან-პოლ ლ` აიემ განაცხადა: "თუ ამ უფლებას მოვიპოვებთ, ეს შესანიშნავი საჩუქარი იქნება ჩრდილოეთ ამერიკის ამ ქალაქის 400 წლის იუბილესთვის, სადაც მოქალაქეთა უმრავლესობა ფრანგულად საუბრობს".

რალი

აფრიკაში მიდის ქარავანი

აქამდე პარიზი-დაკარის სახელით ცნობილი უპრესტიჟულესი ავტორალი, რომელიც საიუბილეო 25-ე რბოლას სახელ და მარშრუტშეცვლილი შეხვდა, ამ ასპარეზობისთვის დამახასიათებელი ჩვეული რიტმით მიმდინარეობს. ერთნი ასპარეზობას ტექნიკური პრობლემების გამო ეთიშებიან, მეორენი კი აფრიკის ქვიშიან დიუნებს ვერ უმკლავდებიან, ზოგიც საჭეს ვერ იმორჩილებს...

გიგა გურასაშვილი

"ტელეფონიკა დაკარი-2003"-მა უკვე შვიდი ეტაპი განვლო. ამ ხნის განმავლობაში გამოიკვეთნენ ლიდერებიც და აუტსაიდერებიც, თუმცა ასპარეზობის დასრულებამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა და, ბუნებრივია, სურათი არაერთხელ შეიცვლება. მანამდე კი ზოგადად მიმოვიხილოთ შეჯიბრება.

მას შემდეგ, რაც საავტომობილო ქარავანმა ბებერი კონტინენტიდან აფრიკაში გადაინაცვლა, ავტორალის მონაწილეებს უამრავი ფათერაკი გადახდათ თავს. აფრიკის უდაბნოში შესული ეკიპაჟებიდან პირველი უსიამოვნება Honda-ზე ამხედრებულ მოტოციკლეტისტს, ესპანელ გარსია მოჩალეს შეემთხვა. საკმაოდ მძიმე ავარიაში მოყოლილი პირენეელი ასპარეზობისას სკამიდან გადმოვარდა და შვეულმფრენით უახლოეს საავადმყოფოში მიავლინეს ხელის ორმაგი მოტეხილობით.

აფრიკულ ეტაპზე წარუმატებლად აიღო სტარტი "დაკარის" ისტორიაში ერთადერთმა ტრიუმფატორმა ქალმა, გერმანელმა იუტა კლეინშმიდტმა. გერმანელი მრბოლელი, რომელიც 2001 წელს Mitsubishi-ით საჭესთან იჯდა, წელს კი საექსპერიმენტო Volkswagen-ის Baggy-ის მართავს, მანქანის ბორბალი დაუზიანდა და საბურავიც გაუსკდა, თუმცა შემდგომ ეტაპებზე მან მაინც განაგრძო რბოლა.

ავტორალი "დაკარ 2003"-ის ტრასაზე

მეხუთე ეტაპი ავტორალისთვის გარდამტეხი აღმოჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ რალის პირველმა სპეციალურმა მონაკვეთმა ყველას საკუთარი ადგილი მიუჩინა. მეხუთე ეტაპისთვის სტარტზე გასულ ქარავანს უდაბნოში 285 კილომეტრი ჰქონდა გადასალახი. ეს არც ისე დიდი მანძილია ავტორალისთვის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ეკიპაჟებს ქვიშაში და კლდოვან მონაკვეთებზე უნდა ეასპარეზათ და გზად უამრავი ტრამპლინი ხვდებოდათ, ამოცანა ბევრად რთულდებოდა. საქმეს ტრასაზე არსებული რამდენიმე პარალელური გზაც აძნელებდა. შტურმანები იძულებულნი იყვნენ, სხვადასხვა ვარიანტიდან უმოკლესი და საუკეთესო აერჩიათ. მეხუთე ეტაპზე პირველი მარცხი კვადროციკლ Yamaha-ს მესაჭეს, ბელგიელ სტივ ვანდენბერგს შეემთხვა - სპეციალური მონაკვეთის 116-ე კილომეტრზე, ტექნიკური პრობლემის გამო, ვანდენბერგი იძულებული გახდა, ტრასიდან გადაეხვია. ასეთივე დანაკლისი განიცადა წარმომადგენლობის თვალსაზრისით მეორე უდიდესმა იაპონურმა გუნდმა Nissan-მა - ტექნიკური პრობლემების გამო, ტრასიდან ფრანგმა ტიერი დე ლავერნმა 244 კილომეტრიდან გადაუხვია და შესაბამისად "დაკარი-2003"-საც გამოეთიშა.

მეექვსე ეტაპის მთავარი მოვლენა (ქალაქებს - ელ ბორმასა და ჰადამესს შორის) "უდაბნოს მელიას," ფრანგ ჟან-ლუი შლესერს უკავშირდება. უკვე მეორე წელია, რაც შლესერი ფინიშის ხაზის გადაკვეთაზე ოცნებობს. ფრანგმა, ტექნიკური პრობლემის გამო, 67-ე კილომეტრზე შეწყვიტა რბოლა და ასპარეზობას დროზე ადრე გამოეთიშა. არ გაუმართლა შლესერის მუდმივ პარტნიორს, ხოსე-მარია სერვიასაც - ქვიშის ხაფანგიდან ამოსაძრომად მან, დაახლოებით, ნახევარი საათი დაკარგა.

რაც შეეხება სატვირთო მანქანების კლასს, აფრიკულ ლანდშაფტს იოლად გაუმკლავდა DAF-ის ჰოლანდიური ეკიპაჟი ჟერარდუს დე როოის თავკაცობით. როგორც ჩანს, მათი სახით, რუსულ კამა-სა და ჩეხურ Tatra-ს სერიოზული კონკურენტები გაუჩნდა. ხიფათი კი არც ამ კლასში მოასპარეზე ეკიპაჟებს დაკლებია.

პირველი სერიოზული გამოცდა მათ ჰადამეს-ჰატის მეშვიდე ეტაპის მარათონულ 500-კილომეტრიან სპეცმონაკვეთზე ელოდათ. დიდი მანძილის გარდა, ეკიპაჟებს მაღალი ქვიშის დიუნებიც საფრთხეს უმზადებდა, რადგან იქ ორიენტაციის დაკარგვა პოზიციების მნიშვნელოვანი გაუარესების ტოლფასია. მართალია, Tatra-ს პილოტს, კარელ ლოპრაისს ორიენტაციასთან დაკავშირებით პრობლემა არ შექმნია, მაგრამ უმძიმეს ავარიაში კი მოჰყვა. მისი Tatra საშინლად დაილეწა. საბედნიეროდ, თავად ლოპრაისსა და ეკიპაჟის სხვა წევრებს არაფერი დაშავებიათ. რეიდების ვეტერანმა კი, რომელიც ყოველ წელიწადს პირობას დებს, რომ ბოლოჯერ ასპარეზობს, მაყურებელთა რიგებში გადაინაცვლა.

გაზეთი 24 საათი
უფასო განცხადებების ქვითარი
ბინები, ავტომობილები, ცხოველები, ვასტავლი, მოგასაპირება, სამუშაო, მასწავლობა
10.01.03 N-8

ბინები

იყიდება

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000, ტელ: 899 901729.

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფასს: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება 2-ოთახიანი ბინა ვერაზე, საერთო ფართი 80 კვ.მ. ლარსის შესახვევი №5. 22 48 91

იყიდება 5-ოთახიანი ბინა ფოთში. პორტთან. 15 000-ად. 32 86 20

იყიდება ბინა აღმაშენებლის 97-ში. 65 36 76, 8(99) 57 62 97

იყიდება ორსართულიანი აგარაკი ცხვარიჭამიაში 1200 კვ.მ. ნაკვეთით. 58 09 34, 8(93) 32 40 25

იყიდება ერთოთახიანი ბინა მეტრო სარაჯიშვილთან 8(8), ბ/აირით, ტელეფონით, რემონტით, მუდმივი წყლით, აივნით. ფასი 4000 $. 68 02 35

იყიდება ოთხოთახიანი ბინა ვაკეში, საცურაო აუზთან 6(16), გარემონტებული, ტელეფონით. 100 კვ.მ. 32 26 24

იყიდება ორთაჭალაში 2-სართულიანი აგურის შენობა (750 კვ.მ.) სარდაფით, მიწის ნაკვეთით. 75 53 55

იყიდება 2-ოთახიანი მაღალფენრიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის 118-ში, 38-30-62, 899 55-04-48.

სასწრაფოდ, იყიდება 3+2 გაერთიანებული გადაკეთებული ბინა ნერეთლის 55 ნომერში, ა/ფარეხით, მე-4 სართული. ს/ფასი 56 000. 899 51-58-54.

მიწის ნაკეთი

იყიდება 900 კვ.მ. მიწის ნაკვეთი საბურთალოზე, ლვოვის ქუჩაზე. გამოდგება მრავალსართულიანი სახლის მშენებლობისათვის. 75 53 20

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

ბინები

ქირა, ბირაო

ქირავდება!

სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

ქირავდება 2,5-ოთახიანი ბინა მეტრო „რუსთაველთან". 93 83 14

ვაქირავებ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას პარლამენტთან ახლოს, ბესიკის ქუჩა №9-ში, დღიურად. 92 03 85, 99 94 67, 8(93) 33 03 86

კომერს. ფართი

ქირავდება სავალუტო პუნქტი რუსთაველის ქუჩაზე. 93 83 14

მანქანები

იყიდება BAS 2106, 1983 წლის. ლურჯი. კარგ მდგომარეობაში. ხიდი ოდნავ ხმაურობს. საწყისი ფასი 650 $. 68 02 35

შევიძენ მუხლუხა ამწე-კრანს-PDK-ს, ბულდოზერს - DT 130-ს, ბეტონის კვანძს ყბ-145-ს ან ყბ-90-ს. 25 34 34, 39 78 24, 8(99) 24 77 99

სწავლება

თსუ დოცენტი მოამზადებს აბიტურიენტებს მათემატიკაში. შეიძლება ბინაზე მისვლაც. 30 81 42

ვამზადებ ჰუმანიტარულ საგნებში სკოლის მოსწავლეებს ბინაზე მისვლით. 32 50 71, 8(99) 25 58 20 ნატო

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურს თქვენი მიზნების გათვალისწინებით. 95 45 22

შეგასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71

მოვამზადებ ინგლისურ ენაში ნებისმიერი ასაკის მსურველს ბინაზე მისვლით. 79 70 02

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

შეგასწავლით!

კომპიუტერზე საოფისე პროგრამებს ინდივიდუალურად (WINDOWS, Word, Exell, Internet), ფასი 60 ლარი, ჭავჭავაძის 74, მე-9 სართ. 908 ოთახი.

ტელ: 25-35-48, 23-53-69 - თამილა.

სხვადასხვა

იყიდება დოლარის ამომცნობი იაფად. 93 83 14

იყიდება პიანინო „სუიტა". 93 83 14

გვესაჭიროება შოთის პურის მცხობელი. 98 42 21

თარგმნა და ბეჭდვა ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებზე უმოკლეს ვადაში. 79 70 02

ვარ 24 წლის. პროფესიით ჟურნალისტი. ვფლობ კომპიუტერის საოფისე პროგრამებს. გთხოვთ გამომეხმაუროთ. 76 26 43, 8(99) 15 69 02 ნანა

იყიდება დოგის, აღმოსავლეთ ევროპული და გერმანული ნაგაზის ლეკვები აცრით და საბუთებით.
- ვწვრთნი ძაღლებს (სტაჟიანი კინოლოგი) და დავიტოვებ ძაღლებს შენახვით.

897 575 116 ხვიჩა.

ვყიდი უხმარ ფოტოაპარატს „კიევ-17". 29 04 15

